ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№153 (12832) 2 ივლისი ხუთშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი



# ჯოკოვიჩის გავარდა

» გვერდი 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ევროლიგა რუსთავში იხსნება

ევროტურნირები 2009/10

## იწყებენ ოლიმპი და ზესტაფონი

» გვერდი 2

# ისევ ჩხუბი

## ისევ რუმინეთთან, ისევ გუნდი გუნდზე



» გვერდი 12



## რუსებისგან სლოვაკმა გვიხსნა

» გვერდი 12 ჭიდაობა



## პირველად, ანა მაკას წინააღმდეგ

» გვერდი 12 ჩოგბურთი



## ბენზემა რეალშია!

» გვერდი 7 ტრანსფერი

# სანიკიძით იტალიელები დაინტერესდნენ

» გვერდი 13

ფერარა, ბოლონია...





## ფეხბურთის ფედერაციას კუპერთან კითხვები აქვს

» გვერდი 3

ინტერვიუ გოგი კავთარაძესთან

ევროპის ლიგა

ევროპის ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

## ლისბერნი-ზესტაფონი

(ჩრდ. ირლანდია)-(ზესტაფონი, საქართველო)

2 ივლისი-9 ივლისი



გია გეგუჩაძე

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

# რომ არ წაგვიგია, ესეც ხომ კარგია?

## გეგუჩაძე: გავითავისოთ, რომ ქართული ფეხბურთის ღირსებას ვიცავთ

გია გეგუჩაძის ფორმაციის „ზესტაფონი“ დღეს პირველად იასპარეზებს ევროტურნირებზე. იმერლები ევროპის ლიგის სადებიუტო გათამაშებაში ჩრდილოეთი ირლანდიის „ლისბერნს“ სტუმრად ეთამაშებიან. ამ ტურნირისთვის ზესტაფონელები სლოვენიაში მოემზადნენ და ამხანაგური მატჩები ძლიერ მეტოქეებთან გამართეს.

საინტერესოა, როგორ აფასებს გუნდის მომზადების დონეს „ზესტაფონის“ თავკაცი, რა აზრისაა მეტოქესა და ლისბერნელებთან მომავალ მატჩებზე, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებზე... ერთი სიტყვით, ჩრდილოეთ ირლანდიაში გამგზავრებამდე ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ზესტაფონელთა მთავარ მწვრთნელ გია გეგუჩაძეს გავესაუბრეთ.

**- 2 ივლისიდან ახალ სეზონს ევროტურნირის მატჩით იწყებთ. რამდენად კმაყოფილი ხართ გუნდის მომზადების დონით?**

- საამისოდ ყველაზე კარგი შემფასებელი მომავალი მატჩებია, მით უმეტეს ევროტურნირი. ვნახოთ, როგორ წარმოჩნდება ჩვენი გუნდი ოფიციალურ თამაშებში. ყოველ შემთხვევაში, სლოვენიური მოსამზადებელი შეკრებით უკმაყოფილო არ ვარ. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**- მომზადებისთვის დრო დიდი არ გქონდათ. ეს მოკლე პერიოდი რამდენად ნაყოფიერად გამოიყენეთ?**

- დრო მართლაც არ იყო დიდი. რა თქმა უნდა, მაქსიმალურად შევეცადეთ, ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოგვეყენებინა. არც იმას დავმალავ, რომ გარკვეული ხარვეზებიც იყო, მაგრამ არა ისეთი, მზადების პროცესზე სერიოზული გავლენა რომ მოეხდინა.

**- ხარვეზებში რას გულისხმობთ?**

- დროის სიმცირის გამო, შემჭიდროებული გრაფიკით მოგვიწია მომზადება. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა მეტი სათამაშო პრაქტიკა გვქონოდა, მაგრამ... არ გამოვიდა. თუმცა რა გაეწყობა, ამ ნაკლის აღმოფხვრა ახალი სეზონის მსვლელობისას მოგვიწევს.

**- ამხანაგური შეხვედრების შედეგს მწვრთნელები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ ხოლმე. სლოვენიაში ყველა საკონტროლო მატჩი ფრედ ითამაშეთ. ამაზე რას იტყოდით?**

- რომ არ წაგვიგია, ესეც ხომ კარგია? მაგრამ... ცუდია, რომ არც მოგვიგია... ანუ, ნეგატივიც არის და პოზიტივიც. ერთსაც ვიტყოდი - მართალია, საკონტროლო მატჩები გვქონდა, მაგრამ შედეგს მაინც ვანიჭებდით მნიშვნელობას.

**- სლოვენიურ შეკრებაზე სხვადასხვა კომპონენტზე იმუშავეთ, ფიზიკური კონდიციები, გამძლეობა, გუნდის შეთამაშება, სხვადასხვა ტაქტიკური სქემის მოსინჯვა... ამ მხრივ რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- გუნდის ფიზიკური მომზადება საკმაოდ მაღალ დონეზეა, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. რაც შეეხება შეთამაშებასა და ტაქტიკურ სქემებს, ეს ჯერ კიდევ დასახვეწი გვაქვს და სამუშაო პროცესში ამაზეც ვიმუშავებთ.

**- აქამდე 5 ფეხბურთელი დაიმატეთ, ახალი ფეხბურთელების ადაპტაცია რამდენად კარგად მოხდა და მათზე რას იტყოდით?**

- უპრობლემოდ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ახალწვეულებმა თანაგუნდელებს ადვილად გაუგეს. რაც შეეხება ახალწვეულებს, მათ მართლაც რეალურად შეუძლიათ ჩვენი გუნდის გაძლიერება და მჯერა, ასეც იქნება

**- გუნდის დაკომპლექტება უკვე დაასრულეთ, თუ კიდევ უნდა ველოდეთ „ზესტაფონში“ ახალი ფეხბურთელების გამოჩენას?**

- არა, გუნდი ჯერ კიდევ არაა ბოლომდე დაკომპლექტებული. კიდევ გვინდა გაძლიერება და ვნახოთ, ეს რამდენად გამოგვივა.

**- სლოვენიაში ჩატარებული ამხანაგური მატჩებიდან რომელ შეხვედრაში წარმოჩნდა „ზესტაფონი“ ყველაზე უკეთ?**

- ეს შეხვედრები სხვადასხვა შემადგენლობით ჩავატარეთ. ახალწვეულთა გარდა ახალგაზრდა მოთამაშეებს დავაკვირდი, მოთამაშეებს პოციზიებიც შევუცვალეთ. გარდა ამისა, სათამაშო კონდიციებს ვაკვირდებოდი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია. ასე რომ, რომელიმე კონკრეტული თამაშის გამოყოფა ნამდვილად გამიჭირდება.

**- მაინც რომელი სქემები მოსინჯეთ?**

- არაერთ ვარიანტზე ვიმუშავეთ, 4-4-2, 4-3-3, 4-5-1, 4-1-3-2... ეს სქემები მოვსინჯეთ. სქემა ერთია, მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანია, თუ რამდენად კარგად ასრულებენ ფეხბურთელები ამ სქემის მიხედვით მიცემულ დავალებებს. ამ მხრივ კი პოზიციური მომენტებიც იყო და ისიც წარმოჩნდა თუ რაზე გვაქვს სამუშაო.

**- ხუთშაბათს ევროპის ლიგის პირველ მატჩს „ლისბერნთან“ სტუმრად გამართავთ. მეტოქეზე ახლა მეტი იცით, ვიდრე წილისყრისას...**

- ერთი რამ ნათელია, ნებისმიერი მეტოქე ყოველთვის პატივისცემას იმსახურებს და ამ საკითხს ჩვენც ასე ვუდგებით. მათ თავიანთი კოზირები აქვთ და ჩვენ ჩვენი. რა თქმა უნდა, მათი სისუსტეების ფონზე, ჩვენი ძლიერი მხარეების გამოყენებას შევეცდებით.

**- ჩვენი ინფორმაციით, „ლისბერნის“ თამაშის ფრაგმენტები მოიპოვეთ. რა წარმოდგენა შეგექმნათ ამ გუნდზე?**

- კი, ფრაგმენტები ვნახე, გარდა ამისა კომპეტენტურმა ხალხმა სიტყვიერადაც დაგვიხასიათა ეს გუნდი. ასე რომ, გარკვეული წარმოდგენა მართლაც გვაქვს ამ გუნდზე, მაგრამ ეს ინფორმაცია ამომწურავი არ არის. „ლისბერნი“ ტიპურ ბრიტანულ სტილში მოთამაშე გუნდია, ფლანგებიდან მაღალ ჩაწოდებებით, საჰაერო ორთაბრძოლებითა და ძალისმიერ თამაშით გამოირჩევიან.

**- და რისი თქმა შეგიძლიათ, ეს ბარიერი უნდა გაიაროთ. მეთანხმებით?**

- დიახ, ჩვენი მიზანი სწორედ ესაა და მჯერა, ასეც იქნება.

**- ლურგანში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

- ეს ეტაპი ორი მატჩისგან შედგება. ჩვენი მიზანი ომდევნო ეტაპზე გასვლაა და ასეც უნდა მოხდეს.

**- ზოგი თვლის, რომ „ზესტაფონს“ შეუძლია სტუმრადაც მოიგოს, მინიმუმ არ წააგოს მაინც. თქვენ რას ფიქრობთ?**

- არწაგება ჩვენს გეგმაში არ შედის, მსგავსი ტერმინი ლექსიკონიდან ამოღებული გვაქვს. ასე რომ, ლურგანში მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ.

**- 2 ივლისის მატჩში დისკვალიფიცირებული უჩა ლობჟანიძე დაგაკლდებათ. უჩა სასტარტოს ფეხურთელია და თქვენი გუნდისთვისაც მცირედი დანაკლისი არ უნდა იყოს...**

- ლობჟანიძე ჩვენთვის მართლაც საგრძნობი დანაკლისია. თუმცა შეუცვლელი არავინაა. ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ ლობჟანიძის სათანადოდ შეცვლა. ზემოთაც გითხარით, სლოვენიაში მზადებისას ფეხბურთელებს პოზიციები შევუცვალეთ, სხვადასხვა ადგილზე მოვსინჯეთ მოთამაშეები. დანაკლისისგან არავინაა დაზღვეული და მზადების პროცესში გადაადგილებებს სწორედ ამიტომ მივმართეთ.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- თანაბრად.

**- მხოლოდ გასვლით მატჩს გულისხმობთ, თუ მთლიანად ამ ეტაპს?**

- პირველი მატჩი ბევრს გადაწყვეტს. ჩვენ მხოლოდ ერთი მიზანი გვაქვს - მოგება! ბოლოსთვის ერთსაც დავამატებდი, ევროტურნირებზე საქართველოდან სულ 4 გუნდი მონაწილეობს. მინდა ყველას წარმატებები ვუსურვო. ყველა ფეხბურთელმა უნდა გაითავისოს, რომ ევროტურნირებზე მხოლოდ ჩვენი კლუბის კი არა, ქვეყნისა და მთლიანად ქართული ფეხბურთის ღირსებას ვიცავთ. რაც უფრო მეტი ქართული გუნდი გამოვა წარმატებით ევროტურნირებზე, მით უფრო მაღალი იქნება ჩვენი რეიტინგი. ეს კი ყველა ჩვენი კლუბისთვის მნიშვნელოვანია.

**დავით ცაბაძე**

## მხოლოდ ერთი მეკარით

### ანუ, ლისბერნი მეორე ეტაპს აღარ გეგმავს?

გუშინ დილით „ზესტაფონი“ თბილისიდან ჩარტერული ავიარეისით ბელფასტში გაფრინდა და გრინვიჩის დროით 14:30 საათზე იქაურ აეროპორტში დაეშვა. ჩვენები „რედისონში“ დაბინავდნენ, საღამოს 7 საათისთვის კი ავტობუსით გეზი ქალაქ ლურგანისკენ აიღეს. უკვე ნახევარ საათში ზესტაფონელები ადგილობრივი „გლენავონის“ არენა „მურნევიუ პარკზე“ ვარჯიშობდნენ. წვრთნა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. ამის შემდეგ **გია გეგუჩაძის** გუნდმა, რომელსაც დისკვალიფიცირებული **უჩა ლობჟანიძე** აკლია, ისევ სასტუმროს მიაშურა. მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთელებს თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა.

...და ერთი საინტერესო დეტალი, რომელი უეფას ვებგვერდზე, „ლისბერნთან“ დაკავშირებით აღმოვაჩინეთ - რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ლისბერნელთა განაცხადში მხოლოდ ერთი მეკარეა (ამ დროს კი რუსთავ[illegible] „ოლიმპის“ მეტოქე ფარერების ბ36-ს განაცხადში ერთბაშად 3 მეკარე ჰყავს - ავტ). თუ ეს შეცდომა არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ „ლისბერნი“ მომდევნო ეტაპზე გასვლას არ გეგმავს.

დაბოლოს - ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ლისბერნი“-“ზესტაფონის“ პირველი მატჩში „მურნევიუ პარკზე“ თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება. შეხვედრას უნგრელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **ტამაშ ბოგნარი** იქნება, ასისტენტები კი **გაბორ ეროში და ლასლო ვიშოკაი**, ხოლო მეოთხე მსაჯის ფუნქციას **როლანდ ვაიზერი** შეასრულებს.

**დავით ცაბაძე**

# რეპეტიცია და სხვა რეპუტაცია

ევროპის ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

## ოლიმპი-ბ 36

(რუსთავი, საქართველო)-(ტორსჰავნი, ფარერები)

2 ივლისი-9 ივლისი

იყო დრო, ფარერის კუნძულებიდან გუნდის სტუმრობა საქართველოში სიხარულს იწვევდა. მათთან დიდ ანგარიშით მოგება გარანტირებული გვქონდა. 1996 წელს ბათუმის „დინამომ“ „ჰაფნარ ბოლტფელაგი“ 6:0 და 3:0 დაამარცხა. ეროვნულ ნაკრებთა დონეზეც, მოყვარულ კუნძულელებს მათსავე მოედანზე შავი დღე ვაყარეთ...

თუმცა ქართული ფეხბურთის დაძაბუნებამ, რამდენიმე წლის წინ „ვიტ ჯორჯიას“ გასვლითმა ფარერულმა მარცხმა (0:3) და 2007 წლის მარტში ნაკრების არადამაჯერებელმა თბილისურმა გამარჯვებამ (3:1) დაგვაფიქრა, რომ ფარერებთანაც აღარ მოდის გამარჯვება ასე იოლად...

დღეს რუსთავის „ოლიმპი“ ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში „ბ 36-ს“ (ტორსჰავნი) ხვდება და ბოლო წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, გუნდში სიფრთხილე იგრძნობა.

გუშინ საღამოს სტუმრებმა რუსთავის სტადიონზე ივარჯიშეს. მათ შემადგენლობაში ორი ლეგიონერია - სიერა ლეონეს ნაკრების ფორვარდი **ბრიმა კორომა** და ინგლისელი **სამუელ ენდრიუ მელსონი**. „ბ 36-ში“ ფარერების ნაკრების ორი წევრიცაა - მცველი **ჰერბერტ იაკობსენი** და ნახევარმცველი **იაკობ ბორგი**.

გუნდის ვარჯიშიდან გამომდინარე, აშკარა გახდა, რომ სტუმრები აქცენტს დაცვით ფეხბურთზე გააკეთებენ. მთავარმა მწვრთნელმა **მიკაელ ტომასენმა** ძირითადი ჯგუფი ჯერ 4-3-2-1 სქემით განალაგა, მაგრამ მალევე 4-1-4-1-ზე გადააწყო. ვარჯიშის შემდეგ სტუმრებმა თბილისის დათვალიერება მოითხოვეს. რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა **ვარლამ კილასონიამ** კი „ლელოს“ რამდენიმე კითხვაზე უპასუხა:

- აშკარაა, რომ თავიდანვე უპირატესობას დაგვითმობენ და დაცვაში ჩაჯდებიან. ასეთ მეტოქესთან კი თამაში ყოველთვის რთულია. ვფიქრობ, საჭირო იქნება სწრაფი გადაწყვეტილებები, „კედლისა“ და ფლანგების მაქსიმალური გამოყენება.

**- მცირე მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ შეუძლია კი გუნდს სწრაფი ფეხბურთის თამაში?**

- საკმარისი დრო არ გვქონდა, მაგრამ მაინც მჯერა, ჩვენი ფეხბურთელები მეტოქეს სისწრაფეშიც აჯობებენ და გამძლეობაშიც.

**- სხვათა შორის, ფარერელებმა კლასში საგრძნობლად მოუმატეს...**

- კი, ვარჯიშზე თეორიული განსწავლულობა გამოაჩინეს. ფეხბურთელები ყველა დავალებას ვერ ასრულებენ, მაგრამ კარგად მახსოვს - ადრე ბურთს ფეხს რომ აცილებდნენ, ახლა მართლა უსწავლიათ თამაში და მსგავსი რამ აღარ ხდება. ამიტომაც ვეუბნები ბიჭებს, რომ რთული თამაში იქნება და პირველიდან ბოლო წუთამდე სრული მობილიზაცია დაგვჭირდება.

**- სიცხეში თამაში სასიამოვნო არ არის, მაგრამ ფარერელებთან, შესაძლოა, ამ ფაქტორმა მეთორმეტე მოთამაშის როლი შეასრულოს...**

- მეც ასე ვფიქრობ. მათთვის 20 გრადუსიც კი ხვატია. თუმცა, მეორე მხრივ, სიგრილეში ჩვენი ბიჭებიც უფრო ცოცხლად ითამაშებდნენ...

სტუმართა შემდეგ მოედანზე გამოჩდნენ „ოლიმპის“ ფეხბურთელები, რომელთა შორის არ იყვნენ ტრავმირებული გაგა **ჩხეტიანი**, ჯერაც გამოუცდელი **დავით კაკულია** და **თენგიზ ჩიკვილაძე**. დავინტერესდით და გავარკვიეთ, რომ ეს უკანასკნელი გუნდიდან წასულა.

კილასონიამ ვარჯიშზე ყურადღება სწრაფ ფლანგურ კომბინაციებზე გაამახვილა, ბოლოს „ორკარაც“ გაჩაღდა. შემადგენლობები ასეთი იყო:

A გუნდი - **შეყრილაძე, ლონლაძე, ლომიძე, ზ. ქელიძე, სეთურიძე, გორდეზიანი, გ. ქელიძე, მეგრელაძე, სირბილაძე**; B გუნდი - **ალავიძე, მაჭავარიანი, რეხვიაშვილი, გილაური, ბაბუნაშვილი, დობროვოლსკი, ხუბუა, მიკუჩაძე, ფიფია**.

მატჩი 17:30 საათზე დაიწყება. გუშინ გვიანობამდე ასე იყო ცნობილი, რომ თამაში ტელევიზიით არ გადაიცემა.

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

## სიონი

ბოლნისის „სიონმა“ ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო. გავრცელებული ხმები, თითქოს დაფინანსების შემცირების გამო კლუბი დაიშლებოდა, არ დადასტურდა. საბედნიეროდ, „სიონი“ ჯერაც სიცოცხლისუნარიანია და უმაღლეს ლიგაში ბრძოლისთვის მზადაა, მაგრამ ის, თუ რომელი ადგილებისთვის იბრძოლებს ქვემოქართლური კლუბი, ეს უკვე სხვა საქმეა. ამის გარკვევას „სიონის“ მთავარ მწვრთნელ ოთარ კორღალიძესთან შევეცადეთ...



ინტერვიუ ოთარ კორღალიძესთან

# ამბიცია? გააჩნია, როგორი გუნდი გვეყოლება...

**- ბატონო ოთარ, სად ვარჯიშობს გუნდი ამჟამად?**

- ბოლნისში ვემზადებით. ვარჯიში 20 ივნისს დავიწყეთ, თბილისში შევიკრიბეთ და ფიზკულტურის ინსტიტუტის მოედანზე და კუს ტბაზე ვვარჯიშობდით. სხვათა შორის, ფიზინსტიტუტში ბატონმა გუჯა გუგუშვილმა მოედანი ძალიან კარგ მდგომარეობაში დაგვახვედრა, პირდაპირ გესიამოვნებოდა ვარჯიში... ბოლნისში 28 ივნისიდან გადმოვინაცვლეთ. საკმაოდ ნორმალური პირობები შეგვიქმნეს, ერთჯერადი კვება და მოთამაშეებს ადგილზე დასვენების საშუალება აქვთ. ბუნებრივია, საკონტროლო თამაშებსაც ვგეგმავთ.

**- საინტერესოა, რა სიახლეებია გუნდში?**

- ბევრი ფეხბურთელი წავიდა... კახა ალადაშვილმა კარიერა დაასრულა, წავიდნენ რეზო გოცირიძე, სულიკო დავითაშვილი, კობა შალამბერიძე, ლადო კაკაშვილი, ჯაბა მუჯირი, ირაკლი შენგელია... კოკა მიკუჩაძე და ზაზა ჭელიძე რუსთავის „ოლიმპს“ ევროპის ლიგაში დაეხმარებიან. თუმცა არ არის გამორიცხული, მიკუჩაძე დაგვიბრუნდეს. რაც შეეხება ჭელიძეს, ის ჩვენ გვეკუთვნის და ევროთასების შემდეგ დაგვიბრუნდება. მას შანსი მივეცი, რომ თავი მაღალ დონეზე გამოიჩინოს და ევროპულ კლუბებს თავი მოაწონოს. შალამბერიძის კი მიკვირს - რატომღაც, ცხინვალის „სპარტაკში“ წასვლა მოისურვა და ხელი არ შემიშლია.

**- ამდენი ფეხბურთელის სანაცვლოდ, ვინ დაიმატეთ?**

- დავიმატეთ უგუნდო გია იმედაძე, ნახევარმცველი ლომაშვილი, რომელიც „ზესტაფონში“ დაიწყო შარშანდელი სეზონი და შემდეგ ქუთაისის „ტორპედოში“ გააგრძელა. ჩვენთან იყო ლაშა ვაშაკიძე, მაგრამ მან მშობლიურ „სამტრედიაში“ დაბრუნება ამჯობინა. კვლავ ჩვენთან მოვიდა აჩიკო ალავიძე, რომელმაც საუკეთესო სეზონი სწორედ „სიონში“ ჩაატარა. მას ტრავმა აწუხებდა და იმედია, მალე სრული ძალით ათამაშდება. როგორც გითხარით, „ოლიმპიდან“ მიკუჩაძის, აგრეთვე ხუბუას მოყვანის იმედი გვაქვს.

**- დიდავა რჩება?**

- წასვლა უნდა, მაგრამ ამჟამად ჩვენთან ვარჯიშობს.

**- ვიცი, რომ „ოლიმპის“ ბრაზილიელებთან დაახლოების ინიციატორი გოჩა ალადაშვილი თქვენი მეგობარია. „სიონში“ სამხრეთამერიკელების ჩამოყვანაზე ხომ არ ყოფილა ლაპარაკი?**

- სურვილი კი გვაქვს, მაგრამ ვნახოთ, შევთანხმდებით თუ არა. გოჩამ იცის, რა დონის ფეხბურთელებიც უნდა შესთავაზოს ქართულ კლუბებს, მას უსიტყვოდ ვენდობით და „ატლეტიკო პარანაენსეს“ მოთამაშეებსაც სიამოვნებით დავიმატებდით. მსგავსი შეთანხმება უდავოდ წაგვადგებოდა. მესმის, რომ მთავარი აქცენტი ევროპის ლიგაში მოთამაშე „ოლიმპზე“ გაკეთდა, რადგან ფეხბურთელების დახმარება უპირველესად საერთაშორისო ტურნირში მოასპარეზე ჩვენს გუნდებს სჭირდებათ. თუმცა არ ვიცი, მეორე გუნდშიც მოხერხდება თუ არა ანალოგიური ვარიანტის განხორციელება.

**- როგორც შევიტყვეთ, „ზესტაფონიდან“ გაშვებული თემურ მახარაძის „სიონში“ კონსულტანტის რანგში მიწვევა გსურდათ...**

- დამსახურებული მწვრთნელია და იმის ღირსი მაინც არის, კოლეგიალურად გვერდში რომ დავუდგეთ? სურვილი გვქონდა, უმუშევარი არ დარჩენილიყო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, „სიონის“ ბოლოდროინდელმა ფინანსურმა მდგომარეობამ ამის საშუალება აღარ მოგვცა და ამაზე ძალიან ვწუხვარ. ჩვენი სირცხვილია, ასეთი დონის სპეციალისტი უმუშევარი რომ არის.

**- დაფინანსება მნიშვნელოვნად შეგიმცირდათ?**

- საკმაოდ. წავიდნენ ის ფეხბურთელები, რომელთაც დიდი ხელფასები ჰქონდათ და მნიშვნელოვანი თანხები გამოთავისუფლდა. იმედია, მათ ნაცვლად მოყვანილი ახალგაზრდები იმედებს გაამართლებენ.

**- გუნდიდან ამბიციური ფეხბურთელები წავიდნენ. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ „სიონის“ ამბიციაც აღარ არის ისეთი?**

- გააჩნია, საბოლოოდ როგორ დავკომპლექტდებით.

**- მზადების მეორე ეტაპს სად გაივლით?**

- ალბათ, თბილისიდან გასვლას ვერ შევძლებთ. სამწუხაროდ, ქამარი უნდა შემოვიჭიროთ, სხვა გზა არ დაგვრჩენია.

მერაბ მამულაშვილი

## ინტერვიუ

გოგი ქავთარაძე

# კუპერის ხელფასს შედეგი განსაზღვრავს

### არგენტინელისთვის ბონუსებს ამზადებენ. ფეხბურთის ფედერაცია კუპერს კითხვას დაახვედრებს: რატომ არ აქვს შედეგი საქართველოს ნაკრებს?

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა თუ აღმასრულებელი კომიტეტი ამ დღეებში არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს. ხელოვნური საფრის დაგება მცხეთაში, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა, სიტუაციის გარკვევა ექტორ კუპერთან... ჩვენი რესპონდენტი ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე გახლავთ.

**- უეფას პროგრამა „ჰეთ-თრიკითა“ და ფეხბურთის ფედერაციის შუამავლობით „ვიტ ჯორჯიას“ სტადიონზე უმაღლესი ხარისხის ხელოვნური საფარი უნდა დაიგოს. როცა ამის შესახებ ფედერაციასა და კლუბს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, ითქვა, რომ ტენდერში გამარჯვებული ფირმა მალე გამოვლინდებოდა. რატომ გაჭიანურდა ეს საკითხი?**

- გადაწყვეტილება მართლაც არ მიგვიღია. ძალიან ბევრი დოკუმენტური მასალაა შემოსული და ბოლომდე არ არის შესწავლილი. სავარაუდოდ, ერთი-ორი დღე კიდევ დაგვჭირდება, რათა ყველაფერი შევაჯეროთ.

**- ვინ არის ფავორიტი ტენდერში? რა პოზიცია უკავია „ვიტ ჯორჯიას“?**

- მოედნის დაგებას მთლიანად თავის თავზე იღებს ფეხბურთის ფედერაცია, ასე რომ, ტენდერში გამარჯვებულსაც ჩვენ გამოვავლენთ. კლუბი კი სტადიონის დანარჩენ ნაწილს მიხედავს. მოკლედ, მალე გამოვლინდება ის ფირმა, რომელიც მცხეთაში ხელოვნურ საფარს დააგებს.

**- ფეხბურთის ფედერაციამ უმაღლეს ლიგაში თამაშის მოსურნე კლუბებს პირველ ივლისამდე მისცა ვადა - ყველაფერი მოაწესრიგეთ, რათა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა გადაწყვეტილება მიიღოსო. რა ინფორმაცია გაქვთ, რა ვითარებაში არიან ის კლუბები, რომელთაც უმაღლეს ლიგაში გამოსვლა სურთ?**

- ხვალ (ანუ დღეს - ავტ.) ათივე კლუბს შევხვდებით, მათ შორის „გაგრას“, ცხინვალის „სპარტაკისა“ და „სამტრედიას“ წარმომადგენლებს. მოვისმენთ ყველა ამ კლუბის ინფორმაციას და აღმასკომიც უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას.

**- შევიტყვეთ, რომ გიორგი გაბაშვილმა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას სასიამოვნო ამბავი შეატყობინა - ფეხბურთის განვითარების პროგრამა მალე ამოქმედდება, სტადიონების მშენებლობა და რეკონსტრუქცია დაიწყებაო...**

- იმედია, ეს პროგრამა მართლაც განხორციელდება. სამუშაოები 2010 წლიდან უნდა დაიწყოს და სასიხარულოა, რომ ამის ნიშნები ნამდვილად გამოჩნდა.

**- რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, თუ გაირკვა სახელმწიფოსგან დაფინანსების საკითხი? კვლავაც გამოიყოფა თანხა მაღალანაზღაურებადი უცხოელი მწვრთნელის ჯამაგირისთვის? როგორც გავიგეთ, არის ლაპარაკი კუპერისთვის ხელფასის შემცირებაზე, ანუ სახელმწიფოსგან მიღებული თანხის სხვაგვარ განაწილებაზე...**

- ჯერ კუპერთან არ შევთანხმებულვართ იმაზე, გააგრძელებს თუ არა მუშაობას მომდევნო შესარჩევ ციკლში. თუ ეს მოხდება, სავარაუდოდ, შეიცვლება მისი ანაზღაურების სისტემა. ეს გულისხმობს იმას, რომ ჯამაგირი მეტწილად დამოკიდებული იქნება ბონუსებზე ანუ გუნდის შედეგზე. თუმც კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ეს საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

**- მოლდოვა-ალბანეთის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა კუპერთან შეხვედრას აპირებდა...**

- ის უახლოეს დღეებში ჩამოვა თბილისში და აუცილებლად დაველაპარაკებით ყველაფერზე, მათ შორის იმაზეც, თუ რატომ აქვს ასეთი უარყოფითი შედეგი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

**- ერთსაც გკითხავთ: თუ კუპერმა ნაკრებში გამოიძახა რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე ის ფეხბურთელები, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობა აქვთ, არის თუ არა ფედერაცია მზად იმისთვის, რომ ამ ფეხბურთელებს ორმაგი მოქალაქეობის მისაღებად ქვეყნის პრეზიდენტთან უშუამდგომლოს?**

- თუ ასეთი ფეხბურთელი ან ფეხბურთელები გამოიკვეთებიან და მათ ორმაგი მოქალაქეობის მიღების სურვილი ექნებათ, დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ, სახელმწიფო მათ ყველანაირად ხელს შეუწყობს.

დავით თავართქილაძე



## გაგრა

# თითო გოლი ფოთში

გუშინ ურეკულ შეკრებაზე მყოფი „გაგრა“ ფოთში გაემგზავრა, რათა იქაურ „კოლხეთს“ ამხანაგურად გასჯიბრებოდა. შეხვედრა 1:1 დასრულდა. გაგრელთაგან გოლი გაიტანა **გიორგი გაბედავამ**, რომელმაც თავისივე მოპოვებული 11-მეტრიანი უნაკლოდ შეასრულა. ფოთელებმა ანგარიში მეორე ტაიმში გაათანაბრეს.

„გაგრას“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ნადირაშვილი, კუპრეიშვილი, გიგაური, ტყეშელაშვილი, გაბუნია, ბერბატი, შარიქაძე, ფილია, პავლიაშვილი, გაბედავა, ოვონიკოკო.** შესვენების შემდეგ შეცვლაზე შევიდნენ: **თევდორაძე, შალიკაშვილი, ქირია, კილაძე, კვანტალიანი, დეკანოსიძე, მოსიაშვილი, კალანდაძე, თუხარელი.**

დავით თავართქილაძე

## ტრავმის შემდეგ...

# ქიქვეიშვილი მოედანს უბრუნდება

მძიმე ტრავმით გამოწვეული შესვენების შემდეგ **დავით ქიქვეიშვილი** მოედანს უბრუნდება. ბაქოს „სტანდარდის“ ვიცე-კაპიტანმა მენისკის ტრავმა მიიღო და ბოლო ერთი თვე აღარ უთამაშია.

მკურნალობამ შედეგი გამოიღო და ახლა დათო ინდივიდუალურად თბილისში ემზადება. სავარაუდოდ, ის კვლავ „სტანდარდში“ გააგრძელებს კარიერას, რადგან კლუბის ხელმძღვანელობას მასთან კონტრაქტის გაგრძელების სურვილი აქვს. შეგახსენებთ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, ბაქოს კლუბთან ორივე ქართველს - **ლევან სილაგაძესა** და ქიქვეიშვილსაც ხელშეკრულება დაუსრულდა.

მერაბ მამულაშვილი



სულიკო დავითაშვილი

## პენსია

# აბრეზა ფეხბურთიდან მიდის?

**სულიკო დავითაშვილი**, იგივე „აბრეზა“, კარიერის დასრულებას აპირებს. და არა იმიტომ, რომ ფეხბურთი მოჰბეზრდა, არამედ იმიტომ, რომ 32 წლის ფორვარდს მისით დაინტერესებული ფინანსურად ასე თუ ისე წელგამართული კლუბი არ ეგულება.

დავითაშვილი, რომელმაც კარიერა უმაღლეს ლიგაში 1995 წელს, თბილისის „მერანში“ დაიწყო, სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. მან ბევრჯერ დაამტკიცა, რომ საჭირო ფორვარდია. თუმცა „ამერი“ რომ დაიშალა, ბოლნისის „სიონში“ გადასული დავითაშვილისთვის სეზონი მეტისმეტად უიღბლო აღმოჩნდა - ერთი გოლიც ვერ გაიტანა. *„ხელფასები ისე შეამცირეს, დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. ახლა სახლში ვზივარ და არ ვიცი, მომავალ სეზონში ვითამაშებ თუ არა“*, - ამბობს დავითაშვილი.

მისი პესიმისტური განწყობილების მიზეზი ქართული კლუბების საკადრო პოლიტიკა და ფინანსური მდგომარეობაა. *„ფული არც ერთ კლუბში არ არის, ფეხბურთელებს ნორმალური სავარჯიშო პირობები და მოედნები სანატრელი გაგვიხდა და ამიტომაც ვფიქრობ, ხომ არ შევეშვა თამაშს? ესეც არ იყოს, ლამის ყველა გუნდს აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აქვს გადატანილი, ვეტერანი არავის სჭირდება და რატომღაც გული ამიცრუვდა... მაგრამ ეს ახალგაზრდებიც რომ არ მოდიან“?!* - ვერ მალავს გულისტკივილს დავითაშვილი, რომელსაც წასვლა ძალიან უჭირს. არ არის ადვილი და იმიტომ...

მერაბ მამულაშვილი

ფიქრები რეგლამენტზე

# როგორი ჩემპიონატი გვჭირდება?



**...ზუსტად ორი კვირის წინ იყო, ნამეტნავად „ცხელი საფეხბურთო ზაფხული" რომ ვივარაუდეთ. რალა თქმა უნდა, საქმე მომავალ, XXI ჩემპიონატს ეხებოდა: იმ დროს ხომ ყველა სრულ გაურკვევლობაში ვიყავით. ჰო, ზუსტად ვერავინ გეტყოდათ, თუ რამდენგუნდიანი ჩემპიონატი გვექნებოდა, ან რა ფორმატით ჩატარდებოდა. თუმცა, „ხელმოსაჭიდი" მაინც დაგვიტოვეს: ქართული ფეხბურთის მესვეურებმა ჩვენს კლუბებს საბოლოო ვადად პირველი ივლისი დაუთქვეს. ანუ, ამ დრომდე, კლუბებს ლიცენზირების პრობლემაც უნდა გადაეჭრათ და, რაც მთავარია, კერძო მფლობელობაშიც გადასულიყვნენ. იმავე წერილში სურვილი გამოვთქვით, რომ დებულება არ დაირღვეოდა და ახალ ჩემპიონატში 10 გუნდი იასპარეზებდა, თანაც, ლიცენზირებისა და... სპორტული პრინციპების გათვალისწინებით. ამასთან, ამ ბოლო საკითხთან დაკავშირებით, ეტყობა, ეჭვიც გვღრღნიდა და... პირველიდან დღემდე ჩატარებული ყველა ჩემპიონატიც გავიხსენეთ, უფრო ზუსტად, როდის და როგორ ირღვეოდა ჩემპიონატის დებულება...**

**...მერე კი მაინც შედარებით იმედიანად დავასრულეთ წერილი: „ჩვენთან ყველაფერი ხდება და, წესითა და რიგით, არაფერი უნდა გაგვიკვირდეს. არა უშავს, პირველ ივლისამდე მოვიცდით: ბოლოს და ბოლოს, საშველი ხომ უნდა დაადგეს ამ გაურკვევლობას?.."**

...და აი, პირველი ივლისიც მოვიდა; უფრო ზუსტად, უკვე... „წავიდა", მაგრამ კვლავაც გაურკვევლობა და ბუნდოვანი სიტუაციაა. თუმცა, ერთი რამის თქმა, ალბათ, დანამდვილებით შეიძლება: როგორც გათვალისწინებული იყო, XXI ჩემპიონატში ათი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ანუ, „გაგრაც" უმაღლესში იქნება, „სპარტაკიც" და „სამტრედიაც"; ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელები დებულების სრული დაცვით მოქმედებენ. ისიც, აშკარად დადებით მომენტად გვეჩვენება, რომ ორი ზუგდიდური გუნდი („მგლები" და „ბაია") გაერთიანდა; ალარაფერს ვამბობთ „სამტრედიის" დაბრუნებაზე - ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება მეზობლების მაგალითმა იმავე ქუთაისში, ფოთში, ლანჩხუთსა და ბათუმშიც ანალოგიური მონდომება-დაინტერესება გამოიწვიოს?

მოკლედ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ახალ სეზონში ათგუნდიანი ჩემპიონატი გვექნება. მსგავსი პრეცედენტი კი ამ ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო - 2004/05 წლების სეზონში. ერთი შეხედვით, მაშინდელი ჩემპიონატის ფორმატი იდეალური თუ არა, ამასთან მიახლოებული მაინც იყო. ოთხწრიანი პირველობის დროს თითოეულ გუნდს 36 მატჩის ჩატარება უწევდა - ანუ, თამაშების რაოდენობა ოპტიმალური იყო. სამაგიეროდ, ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება ახალ სეზონთან დაკავშირებით: წინას მსგავსად, სამწრიანი ჩემპიონატის შემთხვევაში, თამაშების რაოდენობა კლებულობს, ანუ სეზონის განმავლობაში გუნდებს 27-27 შეხვედრის ჩატარება უწევთ; ეს კი, ნამდვილად არასაკმარისად მიგვაჩნია. ამაზე ნაკლები მხოლოდ ორჯერ იყო, როცა XVIII და XIX ჩემპიონატებში (14-14 გუნდი რომ მონაწილეობდა) 2-წრიანი პირველობა გვქონდა და გუნდებსაც მხოლოდ 26-26 თამაში უწევდათ. მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, მაშინ ორწრიანი ჩემპიონატი იყო და ყველაფერი „მარტივადაც" იყო - ყველა გუნდი ნებისმიერ მეტოქესთან შინ და სტუმრად თამაშობდა.

აი, წინა სეზონში ჩატარებულმა სამწრიანმა ჩემპიონატმა კი გუნდები არათანაბარ პირობებში ჩააყენა: ერთ კონკრეტულ გუნდს უშუალო კონკურენტთან ორი საშინაო და ერთი საგარეო თამაში რომ უწევდა, მეორე - პირიქით იყო. თუმცა, მეოცე ჩემპიონატში თერთმეტი გუნდი მონაწილეობდა და 30-30 მატჩის ჩატარება გუნდებს ერთობ შემჭიდროებულ ვადებში მოუხდათ. ახლა კი რა გამოდის: აგვისტოს დასაწყისში რომ დავიწყოთ სეზონი და სამ წრედ ჩავატაროთ (თანაც, დეკემბერ-იანვარ-თებერვალი არ „გამოვიყენოთ"), თავისუფლად შეიძლება ერთკვირიან ციკლში „ჩავეტიოთ" (ანუ შეხვედრები მხოლოდ შაბათ-კვირას გაიმართოს).

რა თქმა უნდა, მატჩების რაოდენობა, შესაძლოა, ოპტიმალურზე ნაკლები გამოდიოდეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება საქართველოს თასის გათამაშებაც. ოღონდ, იმედია, რომ იმ ექსპერიმენტს აღარ დავუბრუნდებით, ორი წელიწადი რომ გრძელდებოდა - ჯგუფური ეტაპის შემოღებას ვგულისხმობთ, აშკარად რომ არ გაამართლა. თანაც, თასის გათამაშებას ახლა ხომ უფრო მეტი ფასი დაედო (სხვაგანაც და ჩვენთანაც) - თასის მფლობელი ევროპის ლიგის გათამაშებაში მეორე საკვალიფიკაციო რაუნდიდან ერთვება. ამას გარდა, ათგუნდიანი ჩემპიონატის პირობებში თავისუფლად შეიძლება ბევრად მეტი ინტრიგაც გვქონდეს, თუ ქვედა ადგილებსაც „ოქროს ფასს" დავადებთ. ანუ დავუშვათ, რომ მეცხრე და მეათე ადგილზე მყოფი გუნდები ავტომატურად პირველ ლიგაში ვარდებოდნენ, ხოლო მეშვიდე და მერვე ადგილზე გასულებმა კი პირველი ლიგის მესამე-მეოთხეადგილოსნებთან პლეი ოფის მატჩები ჩაატარონ. თუმცა, ამისათვის, პირველი ლიგის რეორგანიზაციაც საჭირო იქნება - ნამდვილად აჯობებს, რომ ტერიტორიული პრინციპით დაყოფილი ორი ზონის ნაცვლად, ერთი ჯგუფი გვქონდეს.

თუმცა ისევ უმაღლეს ლიგას დავუბრუნდეთ და მეორე ვარიანტზეც ვიმსჯელოთ. მით უმეტეს, რომ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის მესვეურთაგან უკვე გაჟღერდა ინფორმაცია XXI ჩემპიონატის ოთხ წრედ ჩატარების თაობაზე. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ასეთი ფორმატით ერთხელ უკვე ჩავატარეთ გათამაშება. თუმცა, იმის მერე ოთხი წელიწადი გავიდა და სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში ჩვენი საფეხბურთო მეურნეობა წინ ნამდვილად არ წასულა. პირიქით - რამდენიმე გუნდიც დაიშალა (ან - დაშლის პირას არის), არც ახალი სტადიონები აშენებულა და არც სერიოზული ინვესტიციები ჩადებულა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, დადებით და უარყოფით მომენტებთან გვაქვს საქმე. რალა თქმა უნდა, ოპტიმალური იქნება თამაშების რაოდენობა, თანაც, ათიდან, სულ მცირე, შვიდი ადგილი რომ „საომარ-საბრძოლო" იქნება, გარიგებულ მატჩებსაც თითქმის მინიმუმამდე დაიყვანს.

მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე სხვა პრობლემები იჩენს თავს. ანუ, თუ ოთხწრიან ჩემპიონატს ჩავატარებთ, თითოეულ გუნდს ცხრა თამაშით მეტის ჩატარება მოუწევს. ეს კი ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ თითოეულ გუნდს ხარჯიც გაეზრდება - ტრანსპორტისთვის, კვებისთვის, პრემიებისთვის (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი არსებობს). აქ, რალა თქმა უნდა, სხვა საკითხიც წინა პლანზე წამოიწევს - მსაჯების, მათი დამკვირვებლებისა თუ მატჩის დირექტორებისათვის საჭირო ხარჯებიც ხომ გაიზრდება? ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, თითოეული გუნდის ოფიციალური საწევრო თანხა (30000 ლარი) აშკარად საკმარისი აღარ იქნება და დაახლოებით 10000-ით გაიზრდება. ეს კი ჩვენი გუნდების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას აშკარად მძიმე პირობებში ჩააყენებს. თავად განსაჯეთ: „მგლები/ბაიას" (**ნეტავ, „ოდიში" დაარქვან? - გ.ტ.**), „სამტრედიასა" თუ „ზესტაფონს" ხომ 14-14 ჯერ მოუწევთ აღმოსავლეთ საქართველოში წასვლა-წამოსვლა. მოკლედ, საფიქრალ-გასაანალიზებელი ბევრი რამ არის. მთავარია, რომ საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობამ ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, სპორტულ პრინციპებთან ერთად, თითოეული გუნდის ინტერესიც რომ იყოს გათვალისწინებული. ისე, ჩვენი აზრით და საერთოდაც, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მაინც სამწრიანი ჩემპიონატი ჯობია. ოღონდ, პირველი და მეორე წრე, „ტრადიციული", შინ და გარეთ ასპარეზობით უნდა წარიმართოს; აი, მესამე და გადამწყვეტ წრეში კი გუნდები „ბრმა" კენჭისყრამ უნდა დააწყვილოს. ამით ხომ ბევრს სათქმელიც აღარაფერი ექნება...

**გია ტუხაშვილი**

| სეზონი | გუნდების რაოდენობა | რეგლამენტი | მატჩების რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1990 | 18 | 2 წრედ | 34 | |
| 1991 | 20 | 1 წრედ | 19 | |
| 1991/92 | 20 | 2 წრედ | 38 | |
| 1992/93 | 20 (17) | 2 წრედ | 32 | ჩემპიონატს 3 მონაწილე გამოეთიშა |
| 1993/94 | 22 (19) | 2 ზონა, 2 ეტაპად | 38, 36, 32, 30 | ჩემპიონატს 3 მონაწილე გამოეთიშა და გუნდებს არათანაბარი რაოდენობის მატჩები დაუგროვდათ |
| 1994/95 | 16 | 2 წრედ | 30 | |
| 1995/96 | 16 | 2 წრედ | 30 | |
| 1996/97 | 16 | 2 წრედ | 30 | |
| 1997/98 | 16 | 2 წრედ | 30 | |
| 1998/99 | 16 | 2 წრედ | 30 | |
| 1999/00 | 16 | 2 ეტაპად, A და B ზონები | 28 | პირველი ეტაპის შემდეგ ზონებში I-IV მეოთხე ადგილებზე გასულმა გუნდებმა გააგრძელეს ბრძოლა I-VIII ადგილებისთვის, დანარჩენებმა კი IX-XVI ადგილებისთვის |
| 2000/01 | 12 | 2 ეტაპად | 32 | პირველი ეტაპის შემდეგ I-VI და VII-XII ადგილებზე გასული გუნდები ცალკე აგრძელებდნენ ბრძოლას |
| 2001/02 | 12 | 2 ეტაპად | 32 | პირველი ეტაპის შემდეგ I-VI და VII-XII ადგილებზე გასული გუნდები ცალკე აგრძელებდნენ ბრძოლას |
| 2002/03 | 12 | 2 ეტაპად | 32 | პირველი ეტაპის შემდეგ I-VI და VII-XII ადგილებზე გასული გუნდები ცალკე აგრძელებდნენ ბრძოლას |
| 2003/04 | 12 | 2 ეტაპად | 32 | პირველი ეტაპის შემდეგ I-VI და VII-XII ადგილებზე გასული გუნდები ცალკე აგრძელებდნენ ბრძოლას |
| 2004/05 | 10 | 4 წრედ | 36 | |
| 2005/06 | 16 | 2 წრედ | 30 | |
| 2006/07 | 14 | 2 წრედ | 26 | |
| 2007/08 | 14 | 2 წრედ | 26 | |
| 2008/09 | 11 | 3 წრედ | 30 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება · გაგრა

# კაშჩეის გაგრა უკვდავია: გავარდა და მაინც უმაღლესისთვის ემზადება


ვიქტორ კაშჩეი

„გაგრა“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა და... მაინც უმაღლესში ითამაშებს - ეს ლოგიკური პროგნოზია, გამომდინარე იქიდან, რომ მთავარ დივიზიონში დარჩენილ და პირველ ლიგაში გამარჯვებულ ზოგ გუნდს არც ლიცენზია აქვს და არც ფული. „გაგრა“ თითქოს ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული - შარშან უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში ჭიათურის „მაღაროელთან“ დამარცხდა, მაგრამ ჭიათურელებმა უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ საჭირო თანხა ვერ მოიძიეს და ავტომატურად მათი ადგილი სწორედ „გაგრამ“ დაიკავა...

სეზონის დასაწყისში „გაგრას“ ახალგაზრდა სპეციალისტი **გიორგი ჭიაბრიშვილი** წვრთნიდა, მაგრამ უკვე ჩემპიონატში ახალი მწვრთნელი ჰყავდა - სათასო მატჩებში ხელმოცარვის შემდეგ „გაგრა“ გამოცდილ **ვლადიმერ ხაჩიძეს** ჩააბარეს.

ხაჩიძის „გაგრამ“ სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო - პირველივე ტურში თბილისის „დინამო“ 2:1 დაამარცხა. არცთუ შორეული ამბავია - **დევიდ ოლირის** „ლიდსს“ საბავშვო ბაღს უწოდებდნენ, რადგან მწვრთნელის განკარგულებაში მთლად ჯეელი ფეხბურთელები იყვნენ და გუნდი მაინც მოწინავე პოზიციებზე იყო. „გაგრაც“ თითქოს იმ „ლიდს“ უნდა დამსგავსებოდა, პირველ სამ მატჩში ორი მოიგო და საერთოდაც, სიმპათიურად გამოიყურებოდა. თუმცა ამის მერე ზედიზედ 6 შეხვედრა ვერ მოიგო და ნათელი გახდა, რომ გუნდის მთავარი მიზანი არგავარდნისთვის ბრძოლა იქნებოდა.

ახალგაზრდულ „გაგრაში“ გამოჩნდა გამორჩეული ფეხბურთელიც - **გიორგი გაბედავა**, ჟინიანი და მახვილივით ბასრი შემტევი.

გაგრელთა კარს **რევაზ თევდორაძე** იცავდა, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ყველასთვის კარგად ნაცნობი მეკარე. დაცვაში სხვებზე მეტად გამოცდილი კაცი **დავით გიგაური** გახლდათ, ნახევარდაცვაში კი „გაგრას“ ლიდერი არ ჰყოლია, რაც მთლიანად გუნდს საქმეს სერიოზულად ურთულებდა. ბურთის დამჭერი, თამაშის ორგანიზაციის უნარის მქონე შუახაზელი - ასეთი დეფიციტის პირობებში „გაგრას“ ძალიან გაუჭირდა.

მეორე წრეში ხაჩიძის გუნდმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და... მწვრთნელმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა - ფეხბურთელთა 80 პროცენტი გუნდიდან გასაშვებიაო. დაგვეთანხმებით, მთავარმა მწვრთნელმა ერთობ თამამი, ალბათ, გულწრფელი ფრაზა ისროლა და ამის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ ის, რომ კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზულად დაფიქრდა მწვრთნელის შეცვლაზე.

„გაგრას“ პრეზიდენტი **ბესო ჩიხრაძე** უკრაინაში მოსაქმე ბიზნესმენია და საკუთარ გუნდსაც იქაური მწვრთნელი შეურჩია - **ვიქტორ კაშჩეი**. ამ სპეციალისტს არ გაუწვრთნია სახელიანი გუნდები უკრაინაში, არ არის ახალგაზრდა და საქართველოში იმიტომ არ ჩამოსულა, რომ საკუთარი თავი შექმნას. კაშჩეიმ გუნდს პირველად 25-ე ტურში უთავკაცა და დებიუტიც ურიგო არ გამოსვლია - 2:2 შინ, ზუგდიდის „მგლებთან“.

გასავარდნ ზონაში მყოფ „გაგრას“ სამქულიანი თამაშები სჭირდებოდა, „მგლების“ შემდეგ უპატრონოდ დარჩენილ, გავარდნისთვის განწირულ „ბორჯომს“ სტუმრად მოუგო. ეს საკმარისი ვერ იქნებოდა უმაღლესში დასარჩენად. 29-ე ტურში „გაგრამ“ თბილისის „ლოკომოტივი“ 1:0 რომ დაამარცხა, ეს მატჩი საეჭვოდ შერაცხეს. ასე იყო თუ ისე, ეს 3 ქულა უმაღლეს ლიგაში ადგილს ვერ უჯავშნიდა, დარჩენილი 3 შეხვედრიდან კაშჩეის გუნდმა ოდენ ერთი მოიგო და გასავარდნ ზონას ვერ ასცდა.

სეზონის ბოლოს „გაგრამ“ გამოცდილი ცენტრალური ნახევარმცველი **ლაშა ნოზაძე** აიყვანა. გუნდში, ფაქტობრივად, კაშჩეისთან ერთად გამოჩნდა ჭაბუკი ნიგერიელი **ოვონიკოკო შეუნი**. „გაგრა“ სიახლეებით მართლაც გახალისდა, ოღონდაც, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ფორმალურად „გაგრა“ უმაღლეს ლიგას მე-9 ადგილით დაემშვიდობა.

„გაგრას“ სურს, რომ ფეხბურთელების ექსპორტიორი გუნდი გახდეს - კლუბის სტრატეგია ასე იკვეთება, მაგრამ ეს საკმაოდ რთული საქმეა, ვინძლო, უფრო ძნელიც, ვიდრე ევროტურნირის საგზურის მოპოვება. დახარჯავ ბევრ ფულს, ფაქტობრივად, ჯიბეში გიდევს ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება, მაგრამ, რა არის ამის იქით?.. „გაგრას“ მიზანი კი სულ სხვა არის, რასაც მეტი შრომა, მეტი დაკვირვება და მეტი სიღრმისეული მუშაობა სჭირდება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ „გაგრამ“, როგორც კლუბმა, განვლილ სეზონში უმაღლეს ლიგაში თამაშით სერიოზული გამოცდილება მიიღო და გამოსასწორებელი ბევრი აქვს. მატჩში საშუალოდ 0,77 გოლი - ვერ არის კარგი მაჩვენებელი. ისიც საკითხავია, რამდენად სწორია გუნდში კაშჩეის მიყვანა. „გაგრას“ ინტელექტუალური შრომა დასჭირდება, რათა ამ პოლიტიკამ ეფექტი მოუტანოს.

და ერთიც - **ექტორ კუპერმა** „გაგრადან“ სამი ფეხბურთელი აარჩია „სამშაბათობისთვის“ - **რევაზ თევდორაძე**, **გიორგი ცხადაია** და **გიორგი გაბედავა**, **დავით გიგაური** კი სულაც ეროვნულ ნაკრებში ჰყავდა მიწვეული.

**დავით თავართქილაძე**

| გაგრა 2008/09 ყველა მატჩი | |
|---|---|
| **I წრე** | |
| გაგრა-დინამო | 2:1 |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა | 2:0 |
| გაგრა-მგლები | 2:0 |
| ბორჯომი-გაგრა | 3:2 |
| გაგრა-სიონი | 1:1 |
| გაგრა-სპარტაკი | 0:2 |
| ლოკომოტივი-გაგრა | 2:0 |
| გაგრა-ოლიმპი | 0:0 |
| ზესტაფონი-გაგრა | 3:0 |
| გაგრა-მესხეთი | 3:1 |
| **II წრე** | |
| დინამო-გაგრა | 3:0 |
| გაგრა-ვიტ ჯორჯია | 0:4 |
| მგლები-გაგრა | 1:0 |
| გაგრა-ბორჯომი | 2:0 |
| სიონი-გაგრა | 2:0 |
| სპარტაკი-გაგრა | 1:1 |
| გაგრა-ლოკომოტივი | 0:0 |
| ოლიმპი-გაგრა | 3:0 |
| გაგრა-ზესტაფონი | 1:3 |
| მესხეთი-გაგრა | 2:0 |
| **III წრე** | |
| გაგრა-დინამო | 0:1 |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა | 0:0 |
| გაგრა-მგლები | 2:2 |
| ბორჯომი-გაგრა | 1:2 |
| გაგრა-სიონი | 1:2 |
| გაგრა-სპარტაკი | 1:1 |
| ლოკომოტივი-გაგრა | 0:1 |
| გაგრა-ოლიმპი | 0:1 |
| ზესტაფონი-გაგრა | 6:0 |
| გაგრა-მესხეთი | 2:0 |




ლეგიონი

## კობახიძე დაუბრუნდა

„დნიპროს“ შემტევი ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე** „კრივბასში“ სინჯებზე იმყოფებოდა, თუმცა კრივოი როგის გუნდის ხელმძღვანელობამ ეტყობა დაიწუნა ქართველი ფეხბურთელი, რადგან ეს უკანასკნელი ისევ „დნიპროს“ დაუბრუნდა და მის ახალგაზრდულ გუნდში საკონტროლო შეხვედრაშიც გამოიჩინა თავი. „დნიპროს“ დუბლები სწორედ „კრივბასის“ დუბლებს შეხვდნენ, მატჩის 56-ე წუთზე გამარჯვების გოლი სწორედ კობახიძემ გაიტანა. სანდრომ 42-ე წუთზე მარცხენა ფრთიდან საგოლედ ჩაუწოდა **კონოპლიანკას**, ხოლო მეორე ტაიმში უკვე თავად გამოიჩინა თავი, მარცხენა ფლანგიდან სოლო რეიდით შევიდა და ისეთი ძალით დაარტყა, რომ „კრივბასის“ გოლკიპერმა რეაქცია დააგვიანა. მეორე ტაიმში „დნიპროს“ დუბლებში ითამაშა 16 წლის ფორვარდმა **ბახაშვილმა**. ეს ფეხბურთელი შარშან 1993 წელს დაბადებულთა გუნდის ბომბარდირი გახდა.

ახალი უკრაინული სეზონისთვის მზადების პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა კიევის „არსენალმა“, რომლის რიგებშიც **ლაშა ჯაკობია** თამაშობს. ვიშალიგას კლუბმა 2:1 აჯობა მეორე ლიგის „ნაფკომ-აკადემიას“. **ალექსანდრ ზავაროვმა** ქართველი ფორვარდი მეორე ტაიმში ათამაშა, უკრაინული წყაროების მტკიცებით, მას რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოუყენებია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თარგამაძის ტაიმი

ბუნდესლიგაში გადასულმა „ფრაიბურგმა“ საკონტროლო შეხვედრაში ქვედა ლიგის „რაიზინგერი“ 6:1 დაამარცხა. ერთ-ერთი გოლი **დავით თარგამაძის** ფლანგურ ჩაწოდებას მოჰყვა, „რაიზინგერის“ მცველმა ბურთი უნებლიედ საკუთარ კარში ჩაჭრა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა მეორე ტაიმი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## დვალიშვილი და ისევ გოლი!

ამჯერად, საქართველოს ნაკრების ფორვარდ **ლადო დვალიშვილს** პოკერით არ გამოუჩენია თავი, თუმცა მთავარი მან მაინც შეძლო - გატანილი გოლით „სკონტოს“ 3 ქულა მოაპოვებინა. „სკონტო“ რეზეკნეში „ბლაზმას“ ესტუმრა. **დავით გამეზარდაშვილმა** და დვალიშვილმა შეუცვლელად ითამაშეს. მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე ლადომ სტუმრებს გაამარჯვებინა - 1:0.

ამრიგად, დვალიშვილის ანგარიშზე 15 მატჩში უკვე 13 გოლია. გუშინვე, ევროპის ლიგის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ მეტოქე ლიეპაიას „მეტალურგსმა“ სტუმრად 5:1 მოუგო „ოლიმპსს“. 17 თამაშიდან 42 ქულით „მეტალურგსი“ ვირსლიგის ერთპიროვნული ლიდერია, **ზურაბ მენთეშაშვილის** „ვენტსპილსი“ კი 39 ქულით მეორე ადგილზეა, ხოლო „სკონტო“ 38 ქულით - მესამე.

ბომბარდირებს რაც შეეხებათ, 15-15 გოლით „მეტალურგსის“ შემტევები - **გრებისი** და **კარლსონსი** ლიდერობენ, სკონტოელ **ლუკიანოვსს** კი 14 გოლი აქვს გატანილი.

გუშინ რუსეთის თასის 1/32 ფინალის მატჩებიც გაიმართა. **ომარ თეთრაძის** „ანჟი“ ვლადიკავკაზში „ალანიასთან“ შერცხვა (0:3) და გათამაშებას დაემშვიდობა. თეთრაძემ ექსპერიმენტებს მიმართა და ამიტომ, ამ სეზონში პირველად, სასტარტოში ერთი ქართველიც არ ყოფილა. შეცვლაზე შევიდნენ **გიორგი ნავალოვსკი** (61-ე წუთი), **სანდრო იაშვილი** (65) და **ოთარ მარცვალაძე** (77). „ალანიამ“ მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა. საკმარისია ითქვას, რომ „ანჟის“ კართან 8 საგოლე მომენტი შეიქმნა, საპირისპირო მხარეს კი - არც ერთი. მატჩის შემდეგ თეთრაძემ აღნიშნა, რომ მარცხი კანონზომიერი იყო. **მიხეილ აშვეთიასა** და **ვალერი აბრამიძის** „დინამო“ (ბარნაული) შინ 0:2 დამარცხდა „სიბირთან“. ორივე ქართველმა შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ გუნდს ვერაფრით დაეხმარა.

გუშინ ავსტრიაში ტესტმატჩი უნდა ეთამაშა რუსეთის ჩემპიონ „რუბინს“, მაგრამ „მარიბორთან“ შეხვედრა ბოლომდე ვერ დასრულდა - კოკისპირული წვიმის გამო 56-ე წუთზე მსაჯმა თამაში შეაჩერა (0:0). ქართველთაგან მხოლოდ **ლაშა სალუქვაძემ** ითამაშა. შეგახსენებთ, რომ სლოვენიის ჩემპიონი „მარიბორი“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფიფას რეიტინგი

## ოჰო, ჩერნოგორიამაც გაგვასწრო...

გუშინ, „ფიფა კოკა-კოლას“ ივლისის თვის რეიტინგი გამოქვეყნდა. ივნისში ორ ამხანაგურ მატჩში წაგებამ და ფრემ **ექტორ რაულ კუპერის** გუნდს 13 სარეიტინგო ქულა დააკლო, მიუხედავად ამისა, საქართველომ ერთი საფეხურით წინ წაიწია, რადგან უშუალო სიახლოვეს მყოფ ნაკრებთა უმეტესობამაც დაკარგა სარეიტინგო ქულები. ჩვენს ეროვნულ გუნდს 326 ქულა აქვს და მსოფლიოს კლასიფიკაციაში 104-ე პოზიციაზეა. შეგახსენებთ, რომ კუპერის გუნდმა შინ მოლდოვასთან წააგო (1:2) და სტუმრად ალბანეთს ფრე (1:1) ეთამაშა. შეიცვალა ჩვენი უშუალო სამეზობლო რეიტინგში, ახლა ჩვენ წინ 329 ქულით ანგოლაა, უკან კი 325 ქულით - კენია.

ნაკრებთა სიას სათავეში კონფედერაციათა თასის მფლობელი ბრაზილია ჩაუდგა, რომელმაც ერთბაშად ოთხი ადგილით აინაცვლა და აქამდე პირველზე მყოფ ესპანეთსაც გადაასწრო. ბრაზილიამ ერთ თვეში ქულათა მარაგი 384-ით შეიმატა, მაშინ, როცა ესპანეთმა 171 ქულა დაკარგა. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ყველაზე ცუდი რეიტინგი აქვს, ამ თვეში გადაგვასწრო ჩერნოგორიის ნაკრებმაც. ევროპის 53 ქვეყანას შორის საქართველო 43-ეა. ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებს შორის საქართველო მერვე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ივლისი | |
|---|---|
| 1 (+4). ბრაზილია | 1672 |
| 2 (-1). ესპანეთი | 1590 |
| 3 (-1). ჰოლანდია | 1379 |
| 4 (-). იტალია | 1229 |
| 5 (-2). გერმანია | 1207 |
| 6 (+3). რუსეთი | 1161 |
| 7 (-1). ინგლისი | 1135 |
| 8 (-1). არგენტინა | 1091 |
| 9 (+1). საფრანგეთი | 1082 |
| 10 (-2). ხორვატია | 1031 |
| ... 19 (-). უკრაინა | 869 |
| ... 23 (-). ბულგარეთი | 839 |
| ... 37 (-3). ირლანდია | 758 |
| ... 56 (+3). ლატვია | 563 |
| ... 60 (-). ლიტვა | 545 |
| ... 73 (+6). კვიპროსი | 445 |
| ... 74 (+7). ბელარუსი | 444 |
| ... 79 (-1). უზბეკეთი | 402 |
| ... 84 (+22). მოლდოვა | 389 |
| ... 98 (+12). ჩერნოგორია | 339 |
| **... 104 (+1). საქართველო** | **326** |
| ... 112 (+1). ესტონეთი | 308 |
| ... 122 (+9). სომხეთი | 243 |
| ... 133 (-1). ყაზახეთი | 204 |
| .. 139 (+1). აზერბაიჯანი | 175 |
| ... 148 (-). ტაჯიკეთი | 147 |
| ... 151 (+3). თურქმენეთი | 138 |
| ... 160 (+2). ყირგიზეთი | 105 |

შალკე

# მაგათმა ყენიაში ფლეიმეიკერი დაინახა

## ახალი გუნდის პირველი კონტურები და გამარჯვება პირველ ტესტმატჩში

**ფელიქს მაგათი** ახალი „შალკეს“ მშენებლობას იწყებს. მისი მიზანი გელზენკირხენული კლუბის გაჩემპიონებაა. თუმცა „დესპოტი ფელიქსი“ ვერავის მისცემს იმის გარანტიას, რომ გუნდს, რომელსაც ნახევარი საუკუნეა, ვერცხლის სინი არ მოუპოვებია, წელსვე გააჩემპიონებს. ამრიგად, მომავალ სეზონში მაგათს ერთი კონკრეტული მიზანი აქვს: „შალკე“ ჩემპიონთა ლიგაში უნდა დააბრუნოს. თუმცა, როგორც უკვე არაერთხელ დავწერეთ, მაგათს ტრანსფერებისთვის სულ რაღაც 5 მილიონი ევრო აქვს გამოყოფილი და იმისათვის, რომ დამატებითი თანხები მოიზიდოს, შეიძლება, რამდენიმე მოთამაშის გასხვისება დასჭირდეს. ფელიქსისთვის კი ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა. ახლა კი ამას **ჯერმეინ ჯონსის** მძიმე ტრავმაც დაემატა და მაგათმა მყისვე იმოქმედა: „შალკემ“ საბერძნეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი შეიძინა.

„შალკე“ შეკრებას ნორდრაინ-ვესტფალიაში, კერძოდ, მარიენფელდში გადის, სადაც მართლაც იდეალური პირობებია იმისათვის, რომ გუნდმა მინიშეკრება გაიაროს, რომელიც უფრო მწვრთნელისა და ფეხბურთელების გაცნობითი ხასიათისაა. ფეხბურთელებს ყველაზე მეტად კიბეზე სირბილისა და ე.წ. სამედიცინო ბურთების ეშინოდათ და მაგათმა ეს მეთოდებიც გამოიყენა.

მარიენფელდი - ეს ის ადგილია, სადაც 2006 წლის მუნდიალის წინ **ლუიშ ფელიპე სკოლარი** ბრაზილიის ნაკრებს ამზადებდა, დღეს კი აქ ბანაკი „შალკეს“ აქვს დაცემული. ამ ეტაპზე მაგათისთვის ფეხბურთელების ფიზიკური მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გელზენკირხენულ კლუბს საკადრო პრობლემები აქვს და შეიძლება, მომავალ სეზონში მოთამაშეების გამძლეობაზე ძალიან ბევრი რამ იყოს დამოკიდებული. ფელიქსისთვის დიდი დარტყმაა ჯონსის ტრავმა, რომელიც გუნდის წამყვანი საყრდენი ნახევარმცველი და


შალკე ოფლს ღვრის

ერთ-ერთი უმთავრესი ფუგურაა. შარშანდელისგან განსხვავებით, დღეს „შალკეს“ სამი საყრდენი ნახევარმცველით ნაკლები ჰყავს: ჯონსი დაშავდა და 3 თვე ვერ ითამაშებს, **ორლანდო ენგელაარი** და **ფაბიან ერნსტი** კი გაყიდულები არიან. გამოდის, რომ ახლა მაგათის განკარგულებაში მხოლოდ სამი ჩამშლელია: ჩვენებური **ლევან კობიაშვილი**, **ჰაიკო ვესტერმანი** და 19 წლის **დანი ლატცა**, რომელსაც ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება არ აქვს.

*„რაღაც უნდა ვილონოთ, რადგან საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე პრობლემა გვაქვს,“* - აღიარებს მაგათი, მაგრამ მას დიდი ტრანსფერებისთვის ფული არ აქვს. შეფების მიერ გამოყოფილ 5 მილიონს, ენგელაარში აღებული 4 მილიონი დაემატა. და მაგათი ტრანსფერებს ჯერჯერობით ამ თანხით ჩარხავს და ცხადია, ძვირად ღირებულ მოთამაშეებს ვერ შეიძენს. „შალკესთან“ უკვე გააფორმა ოთხწლიანი კონტრაქტი საბერძნეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა **ვასილის პლიაციკასმა**, რომელიც გელზენკირხენულ კლუბში აეკ-იდან გადავიდა და რომლის შეძენა შალკელებს 400 000 ევრო დაუჯდათ. ამას გარდა, „შალკეში“ ვარჯიშობს იაპონელი **ნაოია კიკუჩი** და თუ ამ უკანასკნელმა მაგათს თავი მოაწონა, მასაც შეიძენენ (რა თქმა უნდა, იაფად). საკითხავია, რამდენად შეესაბამებიან ეს ფეხბურთელები „შალკეს“ დონეს? თუმცა მაგათმა თავის დროზე „ვოლფსბურგშიც“ ყველასათვის უცნობი ფეხბურთელები მიიყვანა და დღეს ეს გუნდი გერმანიის ჩემპიონია.

მაგათს შეტევაშიც სურს გუნდის გაძლიერება. აახენის „ალემანიას“ ტალანტ **ლუის ჰოლტბის** ტრანსფერი უსაშველოდ გაიწელა და ალბათ აღარ შედგება. „შალკემ“ მეორე ბუნდესლიგურ კლუბს კონკრეტული წინადადებით მიმართა, ფეხბურთელსაც გელზენკირხენში გადასვლა სურს, მაგრამ აახენელები ყოყმანობენ. „შპორტ ბილდის“ ინფორმაციით, „შალკეს“ ბრემენის „ვერდერის“ პერუელი ფორვარდის, **კლაუდიო პისაროს** შეძენა უნდა - მაგათი პისაროს ჰოლტბის ალტერნატივად განიხილავს. „დესპოტმა ფელიქსმა“ ხსენებული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში პისარო ძალიან აქო. მარიენფელდში მაგათი რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს უტარებს გამოცდას. ესენი არიან: **დავიდ ლოჰაიდერი, პრედრაგ სტევანოვიჩი, მარვინ პახანი** და **ემინ იალინი**, რომლებიც „შალკეს“ ახალგაზრდული გუნდის წევრები არიან, გუნდისა, საიდანაც ერთი წლის წინ **ლევან ყენია** ძირითად გუნდში გადავიდა.

გუშინწინ, „შალკემ“ ამხანაგური მატჩი გამართა ერთ-ერთ ქვედა ლიგის ნაკრებთან და 3:0 მოიგო. გოლები **ალბერტ შტრაიტმა** და **ჯერალდ ასამოამ** (დუბლი) გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ასამოამ პირველი გოლი ლევან ყენიას პასით (ჩაწოდებით) შეაგდო. ქართველმა ფლეიმეიკერმა მეორე ტაიმის დასაწყისში **ივან რაკიტიჩი** შეცვალა და გამთამაშებლის პოზიციაზე იყო გამწესებული. მაგათმა „შალკე“ პირველ ტესტმატჩში ასეთი შემადგენლობით ათამაშა: **შობერი (46. ამსიფი) - რაფინია (46. პახანი), ბორდონი (46. სამბრანო), სტევანოვიჩი - ლატცა, მორავეკი (46. ვესტერმანი) - ფარფანი (46. ასამოა), რაკიტიჩი (46. ყენია), შტრაიტი (46. სანჩესი) - კურანი (46. იალინი), ჰალილ ალთინთოფი (46. ლოჰაიდერი).**

ბაიერნი

# ტიტების გენერალი და მისი ჯარი

## მიუნხენიც ფეხზე დადგა, ვან გაალი ბოსია

ახალი სეზონისთვის მზადება მიუნხენის „ბაიერნმაც“ დაიწყო და როგორც ყოველთვის, რეკორდმაისტერის პირველმა ვარჯიშმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მიუნხენური გრანდის ფეხბურთელები, ახალი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** და ახალწვეულები „ზებენერშტრასეზე“ შეიკრიბნენ და ერთადერთი, რამაც ყველას ხასიათი წაუხდინა, **ლუსიოს** განცხადებებია, რომელიც ახლა ბრაზილიაში იმყოფება და თქვა, დიდი შანსია, რომ „ბაიერნიდან“ წავიდეო.

ლუისმა, რომელსაც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა უკვე მეტსახელიც კი შეარქვეს („ტიტების გენერალი“, „ბილდი“), თავიდანვე ყველას დაუფიქსირა, თუ ვინ არის ბოსი. ჰოლანდიელმა თავიდანვე დაიწყო მითითებების მიცემა და გუნდური ფოტოს გადაღების დროსაც კი ვან გაალი გასცემდა ბრძანებებს, ვინ სად უნდა დამდგარიყო. ფანებს ეს ყველაფერი ძალიან მოეწონათ და ფაქტობრივად, მთელი ვარჯიშის განმავლობაში (105 წუთი) ჰოლანდიელ სპეციალისტს აპლოდისმენტებით ამკობდნენ.

პირველ ვარჯიშში რეკორდმაისტერის შვიდივე ახალწვეულმა მიიღო მონაწილეობა: **მარიო გომესი, ანატოლი ტიმოშჩუკი, ანდრეას გიორლიტცი, ედსონ ბრააფჰაიდი, ივიცა ოლიჩი, ალექსანდერ ბაუმიოჰანი** და **დანიელ პრანჯიჩი**. საერთო ჯამში, „ბაიერნმა“ ამ ფეხბურთელებში 50 მილიონი ევრო დახარჯა. აქედან, მიუნხენელებმა 30 მილიონი მხოლოდ გომესში გადაიხადეს. სამაგიეროდ, ვარჯიშს **ბასტიან შვაინშტაიგერი** გამოაკლდა, რომელიც ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა. საინტერესოა ისიც, რომ პირველ ვარჯიშს 2000 ქომაგი დაესწრო, რაც ძალიან ბევრი ნამდვილად არ არის. შედარებისთვის, დორტმუნდის „ბორუსიას“ პირველ ვარჯიშზე 13 000 ფანი მივიდა.


ბაიერნმა ვარჯიში დაიწყო

რაც შეეხება ლუსიოს საკითხს. როგორც იცით, სანამ ბრაზილიელი კონფედერაციათა თასზე ასპარეზობდა, გერმანიაში გავრცელდა ინფორმაციები, რომელთა თანახმადაც, ვან გაალს ლუსიო არ სჭირდება. ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებოდნენ, რომ ლუსიო მიუნხენიდან აბარგების ერთ-ერთი ნომერ პირველი კანდიდატია, რის შემდეგაც, „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ბრაზილიელი მცველი დაიცვა და თქვა, მასზე უკეთესი უკანახაზელი ჩვენ არ გვყავსო. როგორც ჩანს, „სელესაოს“ კაპიტანი ძალიანაა გაბრაზებული.

*„სიმართლე გითხრათ, გაოგნებული ვარ ყველაფერ იმით, რაც მიუნხენში ხდებოდა. გაკვირვებული ვარ „ბაიერნის“ ახალი მწვრთნელის მიზნებითაც, რომელსაც თურმე მე არ ვჭირდები და ერთი სიტყვით, განაწყენებული ვარ ყველაფერ იმის გამო, რაც ბოლო დროს გერმანულ პრესაში ჩემ შესახებ დაიწერა. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ დროა, მიუნხენიდან წასვლაზე სერიოზულად ვიფიქრო,“* - განუცხადა ლუსიომ „მიუნხენერ თაგესცაითუნგს“.

ლუსიომ პირდაპირ თქვა, შანსი იმისა, რომ შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ „ბაიერნის“ წევრი აღარ ვიყო, ძალიან დიდიაო. შვებულება კი ბრაზილიის ნაკრების კაპიტანს 16 ივლისს უმთავრდება. ბრაზილიელი პირველ რიგში იმის გამოა განაწყენებული, რომ მის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებზე ბეკენბაუერის გარდა, „ბაიერნის“ არც ერთმა შეფმა კონკრეტული კომენტარი არ გააკეთა. შესაბამისად, ლუსიო ფიქრობს, რომ **ული ჰიონესს, კარლ-ჰაინც რუმენიგეს** და მათთან ერთად, გუნდის თავკაც ვან გაალს ის არ სჭირდებათ.

აქვე გეტყვით, თუ რა ნომრებით ითამაშებენ რეკორდმაისტერის ახალწვეულები. ბრააფჰაიდი მე-4 ნომერით იასპარეზებს, ოლიჩმა მე-11 ნომერი მიიღო, ხოლო პრანჯიჩმა კი 23-ე. „კარლსრუედან“ დაბრუნებული ანდრეას გიორლიტცი 77-ე ნომრით ითამაშებს, მარიო გომესი კი ზუსტად იმავე ნომრით, რომლითაც „შტუტგარტში“ ასპარეზობდა - 33-ე. ეს ნომერი აქამდე **ბრენოს** ჰქონდა და გომესს დაუთმო, თვითონ ბრაზილიელი მცველი კი მე-15 ნომრით იასპარეზებს. მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ გადმოყვანილმა ალექსანდერ ბაუმიოჰანმა მე-19 ნომერი მიიღო, ახალგაზრდული გუნდიდან აყვანილი თომას მიულერი 25-ე ნომრით ითამაშებს, უკრაინელი ანატოლი ტიმოშჩუკი კი - 44-ე ნომრით. მეკარეებში არაფერი შეცვლილა: **მიხაელ რენზინგს** კვლავ პირველი ნომერი აქვს, **ჰანს-იორგ ბუტს** კი - 22.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

რეალი

# ბენზემაც!

## ქარმა ქარიმიც მადრიდში გადააგდო

მაშ ასე, მადრიდში „გალაქტიკოების" რაოდენობა დღითიდღე იზრდება. გუშინ **ფლორენტინო პერესის** თანავარსკვლავედს **ქარიმ ბენზემა** მიემატა.

...მაგრამ გუშინდელი დღე ფრიად უცნაურად დაიწყო - ესპანურმა გაზეთებმა „ასმა" და „მარკამ" დაწერეს, რომ, ბენზემას „ლიონიდან" „რეალში" გადასვლის ამბავი მოგვარებულია და ეს მადრიდელებს 35 მილიონი ევრო დაუჯდათ, მაგრამ საფრანგეთის მესამე გუნდმა ჭორები უარყო. რატომ? გაუგებარია. თუმცა, განა მარტო „ასმა" და „მარკამ"? იგივე ინფორმაცია მას მედიის სხვა საშუალებებსაც მოედოთ. ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ, 21 წლის ბენზემა მიმდინარე სატრანსფერო სეზონში „სამეფო კლუბის" მეოთხე შენაძენი იყო, თუმცა, როგორც გითხარით „ლიონმა" რატომღაც შორს დაიჭირა - ფრანგებმა განაცხადეს, რომ ოფიციალური წერილი მართლაც მიიღეს, მაგრამ ჯერ კოლეგებისთვის პასუხი არ გაუციათ.

*„დიახ, ჩვენ ოფიციალური წერილი მივიღეთ და, მართალი გითხრათ, მასში იმაზე მეტი თანხა წერია, რასაც გაზეთები იტყობინებიან, მაგრამ აქამდე არც ის დაგვიდასტურებია, რომ ეს წერილი მადრიდიდან მივიღეთ და არც ის, რომ ჩვენ ამ წერილის ავტორებს პასუხი გავეცით",* - უთხრა ცნობილ ფრანგულს სპორტულ გაზეთ „ეკიპს" კლუბის კომუნიკაციათა დირექტორმა, **ოლივიე ბლანმა.**

მაინც რას ნიშნავდა ბატონი ბლანის ქარაგმა იმის თაობაზე, რომ ეს წერილი ან იყო მადრიდიდან ან - არა? ამბობდნენ, რომ ბენზემას შეძენას ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედიც" ცდილობდა და, ნეტავ, აქეთკენ ხომ არ მიანიშნებდა კომუნიკაციათა დირექტორი?

მაგრამ, გავიდა რამდენიმე საათი და ეს ყველაფერი სიცრუე გამოდგა - ქარიმი მართლა 35 მილიონ ევროდ, და მართლა „რეალის" ფეხბურთელი გახდა, ოღონდ... ამ 35 მილიონს დაზუსტება უნდა, რადგან ის მხოლოდ და მხოლოდ საწყისი თანხაა. სხვა სიტყვებით, თუკი ბენზემა კარგად ათამაშდება, „ლიონის" ჯიბეს კიდევ 6 მილიონი დაემატება.

*„რამდენიმე დღის წინ ქარიმ ბენზემამ „ლიონის" პრეზიდენტ ჟან მიშელ ოლას განუცხადა, რომ „რეალში" გადასვლა სურს. ბენზემას თქმით, „სამეფო კლუბი" „ლიონის" შემდეგ ყოველთვის მისი ფავორიტი იყო და არ უნდოდა ხელიდან გაეშვა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების მხარდამხარ თამაშის საშუალება",* - ეწერა ფრანგული კლუბის ვებგვერდზე.

**ილია ბაბუნაშვილი**


ქარიმ ბენზემა

ტრანსფერი


ლუჩო გონსალესი

ლუჩო გონსალესი კარიერას ველოდრომზე გააგრძელებს

# ლუჩო მარსელში

## ოლიმპიკმა პორტუს 18 მილიონი გადაუხადა

მარსელის „ოლიმპიკმა" წლის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და არსებობის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერი გაჩარხა: ველოდრომელებმა არგენტინელი **ლუჩო გონსალესი** გადაიბირეს! არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ლუჩო „პორტუს" კარიერის ბოლომდე არ დატოვებდა. პორტუგალიური კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ „მარსელს" 18 მილიონ ევროზე შეუთანხმდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს „ოლიმპიკის" ისტორიაში რეკორდია!

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ „მარსელს" „პორტუსთვის" დამატებით 6 მილიონი ევროს გადახდა მოუხდეს - გააჩნია, რას მიაღწევს გაისად ფრანგული კლუბი. ეს ცნობაც „პორტუს" ბანაკიდან გავრცელდა, სადაც არგენტინელმა საყრდენმა ნახევარმცველმა 4 წელი გაატარა და ყოველ სეზონს ჩემპიონის რანგში ამთავრებდა. 28 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც პორტუგალიაში მეტსახელად El Comandante (მბრძანებელი) შეარქვეს, „მარსელთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ყოველწლიურად 2 მილიონ ევროს მიიღებს. ცნობილი გახდა, რომ მისი გადაბირება მადრიდის „რეალსაც" სურდა. ისე, „პორტუ" ლუჩოს გარეშე როგორღაც წარმოუდგენელია, ისევე, როგორც ლუჩო სხვა კლუბში...

**გოტფრიდ ლენცი**

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. გამოხმაურება

# თეო, დააძრე კუპიურები!

## ევროპამ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებიდან მესუთ იოზილი გამოარჩია

გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ევროპის ჩემპიონობა, პირველ რიგში **ჰორსტ ჰრუბეშის** დამსახურებაა, ამბობენ გერმანელი ექსპერტები. ჰრუბეში პირველი მწვრთნელია, რომელმაც „პატარა ბუნდესგუნდს" კონტინენტის პირველობა მოაგებინა. ეს არის სპეციალისტი, რომელმაც გერმანიის 21-წლამდელთა გუნდში ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ უმტკივნეულოდ. ამიტომაც შეარქვეს „მშვიდი რევოლუციონერი". ჰრუბეშის დამსახურებას უკვე გაესვა ხაზი, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო გუნდიდან?

ჩვენი გერმანელი კოლეგები და ზოგადად მთელი ევროპა შეთანხმდა, რომ 21-წლამდელთა ბუნდესგუნდისა და მთლიანად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ბრემენის „ვერდერის" ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** იყო. ფინალში იოზილმა გოლიც გაიტანა, საგოლე პასებიც არიგა და გარდა ამისა, ინგლისელი ფეხბურთელები მთელი მატჩის განმავლობაში ზეწოლის ქვეშ ჰყავდა მოქცეული. ჰრუბეშის მომდევნო ამოცანა გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრებით მსოფლიოს ჩემპიონობაა, იოზილი კი ამიერიდან 2010 წლის მუნდიალზე ფიქრობს და ამ ტურნირმა დაამტკიცა, რომ ბრემენელი გერმანიის ეროვნულ ნაკრებში თამაშის ღირსია.

ტურნირის დასაწყისში ჰრუბეში იოზილს მარცხენა თავდამსხმელის პოზიციაზე ათამაშებდა. მართალია, ესპანეთთან მატჩში (0:0) მესუთმა იდეალურად ვერ ითამაშა, მაგრამ მომენტებში ძალიან კარგად გამოიყურებოდა. ამ შეხვედრის შემდეგ კი, წარმოშობით თურქი ფეხბურთელი მატჩიდან მატჩამდე უმატებდა, ფინალში კი საერთოდ იდეალური გახლდათ - ერთი გოლი და ორი საგოლე პასი. თანაც, ესპანეთთან მატჩის შემდეგ, ჰრუბეში მას უკვე ხან გამთამაშებლის, ხანაც ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებდა. *„ცხადია, თავიდანვე ნახევარდაცვაში თამაში მერჩივნა, მაგრამ მწვრთნელმა მითხრა, თავდასხმაში მჭირდებიო და მეც მზად ვიყავი, მისი დავალება შემესრულებინა. სადაც გუნდს ვჭირდები, იქ ვითამაშებ ხოლმე, თუმცა მაინც გამოჩნდა, რომ ნახევარდაცვაში უფრო პროდუქტიული ვარ,"* - ამბობს იოზილი.

*„მესუთი შესანიშნავი ფეხბურთელია და ყველანი დარწმუნებულები ვართ, რომ დიდ ფეხბურთს ითამაშებს,"* - ეს გერმანელთა კაპიტნის, შტუტგარტელი **სამი ხედირას** სიტყვებია. რაც მთავარია, იოზილმა ევროპის ჩემპიონატზე გამოამჟღავნა, რომ რკინის ნერვების პატრონია, რაც ლიდერის ფუნქციების შესრულებაში უწყობს ხელს. მესუთი ცივსისხლიანი ფეხბურთელია, რაც დრიბლიორისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და ამ ტურნირზე დაამტკიცა, რომ თამაშების ბედის გადაწყვეტა ხელეწიფება. მესუთმა ყველაზე საჭირო მომენტში, ფინალში ითამაშა ყველაზე კარგად, რითაც სხვებთან ერთად, გერმანიის ეროვნული ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვიც** მოხიბლა.

*„როცა მესუთი პოტენციალის 100 პროცენტს იყენებს, გენიალური ფეხბურთელია, რაც დღეს ყველამ ერთად დავინახეთ. მას ისეთი რალაცების გაკეთება შეუძლია, რასაც სხვა მოთამაშეები იშვიათად ახერხებენ ხოლმე. ფინალში რომ იოზილმა პასები არიგა, ამაზე უკეთესად ამ საქმის გაკეთება ფაქტობრივად შეუძლებელია. იშვიათად მინახავს, ფლეიმეიქერს ამაზე უკეთ ეთამაშოს,"* - განაცხადა ფინალის შემდეგ ლიოვმა. იოგის ეს სიტყვები კი ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ იოზილს კარგი შანსი აქვს, ითამაშოს 2010 წლის მუნდიალზე.

*„მესუთი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ფეხბურთელია მათ შორის, ვინც კი ოდესმე გამიწვრთნია,"* - ეს კი ჰრუბეშის განცხადება გახლავთ, რომელიც მან ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გააკეთა. თვითონ ჰორსტისთვის „ოქროს ევროპული ერა" დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ის 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზეც გერმანიის ნაკრებს თავკაცობდა (და მოაგებინა) და 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელიც იყო, როცა ამ გუნდმა კონტინენტის პირველობა მოიგო. ამრიგად, ჰრუბეშმა გაასამა და დღეს ის გერმანიაში უკვე ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული მწვრთნელია. ჰორსტი აღიარებს, რომ 21-წლამდელთა გუნდის გაჩემპიონება გაცილებით რთული იყო, ვიდრე წინა ორი ნაკრებისა, მაგრამ იქვე ამატებს, ფეხბურთელებიც შესანიშნავად მომყვებოდნენ და ჩემს ყველა დავალებას ასრულებდნენო. *„შესაბამისად, მუშაობა ძალიან გამიადვილდა,"* - ამბობს ჰრუბეში, რომელიც ახლა 20-წლამდელთა ნაკრებში ბრუნდება, რომელსაც ეგვიპტეში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოამზადებს. ეს ტურნირი სექტემბერში გაიმართება.

პატარა ბუნდესგუნდი ევროპის ჩემპიონია, მაგრამ გერმანიაში ყველას ახსოვს, რომ შეიძლებოდა, ეს გუნდი ფინალურ ეტაპზე ვერც გასულიყო, რომ არა **ბენედიქტ ჰიოვედესის** მიერ საფრანგეთთან საკვალიფიკაციო მატჩში ბოლო წუთზე გატანილი გოლი, რომლითაც გერმანიამ მეცში ჩატარებულ შეხვედრაში ანგარიში გაათანაბრა. მაშინ გუნდის თავკაცი **დიტერ აილტსი** გახლდათ, მერე კი ჰრუბეშმა ჩაიბარა და გააჩემპიონა კიდეც. ახლა კი, ჰორსტს **რაინერ ადრიონი** ცვლის.

ფინალის შემდეგ, გერმანელმა ფეხბურთელებმა ევროპის ჩემპიონობა დილამდე იზეიმეს და ჩვენი გერმანელი კოლეგები ყვებიან, მღეროდნენ, თეო, კუპიურები „დააძრეო". ეს სიტყვები გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერისკენ** იყო მიმართული, რომელიც გაჩემპიონების შემთხვევაში, თითოეულ ფეხბურთელს პრემიის სახით 12 000 ევროს შეჰპირდა. და უკვე გადაუხადა კიდეც...

რაც შეეხება იოზილს. მესუთმა „ვერდერში" დიეგო უნდა შეცვალოს და ბრემენული კლუბის თავკაც **თომას შააფს** ეჭვი აღარ ეპარება იმაში, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ამას შეძლებს. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი თავის დროზე „შალკემ" ვერ შეიშნოვა...

**გოტფრიდ ლენცი**


ევროპის ჩემპიონები: მესუთ იოზილი, სებასტიან ბიონიში და ბენედიქტ ჰიოვედესი

მოსალოდნელი ტრანსფერი



ზე რობერტო მიუნხენიდან მიდის

# ზე რობერტო ჰამბურგში!

გუშინ, გერმანულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „ბაიერნის“ ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი **ზე რობერტო** „ჰამბურგში“ გადადის და რომ ჰამბურგელები ამ მართლაც ძალიან საინტერესო ტრანსფერს ოფიციალურად შაბათს, მომავალი სეზონისთვის მზადების დაწყებისთანავე გაახმაურებენ. „კიკერის“, „ბილდის“, „შპიგელისა“ და სხვა გერმანული საინფორმაციო წყაროების ცნობით, ზე რობერტომ ჩრდილოგერმანულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

34 წლის ბრაზილიელი „ჰამბურგში“ უფასოდ გადადის, რადგან „ბაიერნთან“ მას ხელშეკრულების ვადა დაუმთავრდა. ზე რობერტოს რეკორდმაისტერში დარჩენა სურდა, მაგრამ მინიმუმ ორწლიან კონტრაქტს ითხოვდა, ბავარიული გრანდის შეფები კი მხოლოდ ერთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობდნენ. ამრიგად, ზე რობერტოს მისთვის სასურველი ორწლიანი კონტრაქტი „ჰამბურგმა“ შესთავაზა და ფეხბურთელისგან თანხმობაც მიიღო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასულ სეზონში ზე რობერტო ერთ-ერთი საუკეთესო ბაიერნელი იყო. მან განსაკუთრებით კარგად პირველ წრეში ითამაშა. ზე რობერტომ გასულ სეზონში ბუნდესლიგაში 29 მატჩი ჩაატარა, 4 გოლი გაიტანა და რვა საგოლე გადაცემა მიითვალა. საერთო ჯამში კი ბრაზილიელ საყრდენ ნახევარმცველს, რომელსაც ფლეიმეიკერის ფუნქციების შესრულებაც ეხერხება, ბუნდესლიგაში 282 თამაში აქვს ჩატარებული (31 გოლი). „ბაიერნამდე“ ის 1998-2002 წლებში „ლევერკუზენის“ ღირსებას იცავდა.

**გოტფრიდ ლენცი**




ინტერვიუ

ლეონარდო

# პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგაა

## ევროპამ მილანი უნდა გაიხსენოს

კარლო ანჩელოტის „მილანიდან“ წასვლა არავის გაჰკვირვებია, რადგან მთელი გასული სეზონის განმავლობაში ამაზე განუწყვეტლად საუბრობდნენ. სამაგიეროდ, ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა „როსონერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლეონარდოს დანიშვნა. იტალიური პრესა კარლეტოს მემკვიდრეზე მსჯელობისას, სულ სხვა გვარებზე აკეთებდა აქცენტს. იმავე, ფრანკ რაიკაარდზე, მარკო ვან ბასტენზე, ან თუნდაც რობერტო დონადონიზე. იყო ლაპარაკი ანჩელოტის თანაშემწის, მაურო ტასოტის დაწინაურებაზეც, თუმცა „მილანის“ მესვეურებმა არჩევანი ლეონარდოზე შეაჩერეს. ძნელი განსაჭვრეტია, თუ როგორ ფეხბურთს ითამაშებს ბრაზილიელის დამოძღვრილი „მილანი“ და ამაზე თავის მტვრევა დღეს არც ივარგებს. უმჯობესია, ყური დავუგდოთ ახალგამომცხვარ სპეციალისტს და გავიგოთ, რას აპირებს, რისი გაკეთება სურს ახალ პოსტზე. ლეონარდო MILAN CHANNEL-ის ჟურნალისტს საკმაოდ საინტერესოდ ესაუბრა.

**- გააცნობიერეთ უკვე, რომ „მილანის“ მთავარი მწვრთნელი ხართ?**

- როგორ ფიქრობთ, ეს რომ გაცნობიერებული არ მქონდეს, „მილანის“ მესვეურთა შეთავაზებას დავთანხმდებოდი? თუ გგონიათ, რომ გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღე, ძალიან ცდებით. საკმაოდ დიდხანს ვიფიქრე და მივედი დასკვნამდე, რომ ამ შანსზე უარი არ უნდა მეთქვა. კარგად ვიცი, რამხელა პასუხისმგებლობა ავიღე საკუთარ თავზე და მზად ვარ, ეს ტვირთი ვზიდო. თანაც, ამბიციური ადამიანი ვარ და ასეთ გამოწვევაზე უარის თქმა ძალიან გამიჭირდა.

**- ანუ, მიგაჩნიათ, რომ „მილანის“ გასაძღოლად სრულიად მზად ხართ?**

- დავეთანხმები იმათ, ვინც აცხადებს, რომ ჯერ ძალიან ბევრი მაქვს სასწავლი. ორი აზრი არ არის, რომ სამწვრთნელო საქმიანობის ცოდნით დღეს ბევრს ვერავის გავაკვირვებ. ამას არც ვმალავ და ვაცხადებ, რომ ბევრ რამეს სეზონის განმავლობაში, ფეხბურთელებთან ერთად ვისწავლი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ფეხბურთში შემთხვევითი კაცი არ ვარ და ზურგს მდიდარი გამოცდილება მიმაგრებს. განვლილი საფეხბურთო კარიერა დიდად წამადგება სამწვრთნელო საქმიანობაში, ამაში დარწმუნებული ვარ. თანაც, ბრწყინვალე სპეციალისტებთან მომიწია მუშაობამ და მათი მეთოდები დღესაც ძალიან კარგად მახსოვს.

**- რამდენად კარგად იცნობთ „მილანს“, რამდენად ჩახედული ხართ უშუალოდ გუნდის შიდა სამზარეულოში?**

- ბოლო წლებში, ჩემი პირდაპირი ფუნქცია ფეხბურთელების სელექცია იყო და „მილანში“ არაერთი მოთამაშის გადმობირების ინიციატორი ვყოფილვარ. ბუნებრივია, მთელი ამ დროის განმავლობაში ძალიან ახლო შეხება მქონდა გუნდთან და ეს სრულიად ბუნებრივია. ფეხბურთელები ჩემი მეგობრები არიან და მათთან უშუალო ურთიერთობა მაქვს. ერთი სიტყვით, „მილანის“ გასახდელი ჩემთვის უცხო ადგილი არასდროს ყოფილა და გუნდთან ადაპტირების პრობლემა ნამდვილად არ შემექმნება.

**- ყველას აინტერესებს, როგორი ფეხბურთის მიმდევარია ლეონარდო?**

- როგორც ყველა ბრაზილიელი, მეც შემტევი ფეხბურთის მოყვარული ვარ. მომწონს, როდესაც გუნდი მეტოქის ნახევარზე თამაშობს და მოწინააღმდეგეს საკუთარ ფეხბურთს ახვევს თავზე. შესაბამისად, უპირატესობას ისეთ ფეხბურთელებს ვანიჭებ, რომლებსაც ბურთთან ურთიერთობა არ უჭირთ და ტექნიკით გამოირჩევიან. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „მილანი“ ჩემი ხელმძღვანელობით ზეშემტევ ფეხბურთს ითამაშებს. ამ გუნდის ისტორია ჩემით არც დაწყებულა და არც დამთავრდება. „მილანს“ თავისი ხელწერა აქვს, რომელიც ტრადიციებიდან მოდის და მას გვერდს ნამდვილად ვერ ავუვლით.

**- სატრანსფერო საკითხებს შევეხოთ. გულშემატკივრები უკმაყოფილოები არიან კაკას გაყიდვით. თქვენ რა პოზიცია გაქვთ?**

- ძალიან დამწყდა გული, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გუნდს გამოეთხოვა. მესმის გულშემატკივრების, რომლებმაც ამ ფაქტის გამო აღშფოთება გამოხატეს. თუმცა, არის რაღაცები, რასაც ვერ შევცვლით და უნდა შევეგუოთ. მადრიდის „რეალმა“ რიკიში ასტრონომიული თანხა გადაიხადა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ასეთ წინადადებაზე უარის თქმა ძალიან ძნელი იყო. თანაც, სამეფო კლუბში გადასვლის პერსპექტივა თავად კაკასაც ხიბლავდა, რაც „მილანის“ მესვეურებთან საუბარში არც დაუმალავს. „მანჩესტერ სიტისგან“ განსხვავებით, ჩემი თანამემამულისთვის, ესპანელთა წინადადება სრულიად მისაღები აღმოჩნდა. რას ვიზამთ, უნდა შევეგუოთ კაკას წასვლას და წინ ვიყუროთ.

**- კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს უწინასწარმეტყველებენ გუნდიდან წასვლას: პირლოს, გატუზოს, ზეედორფს, პატოს... რამდენად დიდია მათი წასვლის ალბათობა?**

- პირადად მე, არც კაკას წასვლის მომხრე ვიყავი და არც თქვენ მიერ ჩამოთვლილი ფეხბურთელების გასხვისება მსურს. ვადასტურებ, რომ თითოეული მათგანი ჩემთვის ფასეული მოთამაშეა და მათზე დიდ იმედებს ვამყარებ. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ რევოლუციური ცვლილებების მომხრე არ ვარ. კარლო ანჩელოტიმ ძლიერი გუნდი დამიტოვა და ძირეული ცვლილებების მოხდენის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. თუმცა თუ ეს ფეხბურთელები თავად მოისურვებენ ნავსაყუდლის შეცვლას და კლუბიც სასურველ შეთავაზებას მიიღებს, ტრანსფერს წინ ნამდვილად ვერ დავუდგები. პრესაში ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაციები ვრცელდება, თუნდაც პატო ავიღოთ, ხან ამბობენ, წასვლა უნდაო, ხანაც დარჩენაო. ამჟამად მოთამაშეები შვებულებაში არიან, ისვენებენ და არ მინდა, ასეთ დროს შევაწუხო. ჩამოვლენ და გავიგებ, რა სურთ რეალურად ჩემს შეგირდებს.

**- შევსებაზე რას იტყვით, ვის უნდა ველოდოთ „მილანში“?**

- ვფიქრობ, ჩემზე არანაკლებ კარგად თქვენ იცით, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ. რამდენიმე ფეხბურთელთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და წესით, პირველი შედეგები მალე უნდა მივიღოთ. კონფედერაციათა თასზე ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი ლუიშ ფაბიანომ და არ დავმალავ, რომ მისით სერიოზულად დავინტერესდით. თუ მის გადაბირებას მოვახერხებთ, თავდასხმის რგოლით სრულიად კმაყოფილი ვიქნები. საერთოდაც, „მილანის“ დღევანდელი შემადგენლობა პირადად მე ძალიან მომწონს და არ ვიზიარებ იმ სკეპტიციზმს, რომელიც ხშირად მასმედიის სხვადასხვა საშუალებით ისმის. იგივე შეტევის ხაზი ავიღოთ: რონალდინიო, ინძაგი, პატო, ბორიელო, შევჩენკო. ამ მოთამაშეებს უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა შეუძლიათ, მთავარია, თითოეულ მათგანს თავისი ადგილი მოვუძებნოთ.

**- „ინტერმა“ მილიტო გადაიბირა და რაც მთავარია, იბრაჰიმოვიჩი შეინარჩუნა. რამდენად რეალური იქნება მომავალ სეზონში თანაქალაქელისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევა?**

- „ინტერი“ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე გასულ წლებში, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. „ნერაძურის“ მთავარი იარაღი სტაბილურობაა, ეს გუნდი გასვლაზე თუ სახლში თანაბარი წარმატებით თამაშობს, რაც ჩვენთვის აქამდე მიუღწეველი გახლდათ. ჩემი უმთავრესი საზრუნავი სწორედ ამ სტაბილურობის მიღწევა იქნება, რომელიც ჩემი აზრით, მოტივაციის ამაღლებით არის შესაძლებელი. ის, რომ „მილანს“ სერია A-ს რიგითი პაექრობების მოგება უჭირდა, სწორედ მოტივაციის ნაკლებობის ბრალი გახლდათ. ფეხბურთელებთან სერიოზული ლაპარაკი მექნება, მათ კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ თუ თითოეულ ასეთ შეხვედრაში, მაქსიმალურად არ დაიხარჯებიან, საბოლოო შედეგს და მიზანს ვერ მივაღწევთ.

**- რას უნდა ველოდეთ მომავალ სეზონში, რას ისახავთ მიზნად?**

- ბევრს ჰგონია, რომ მომავალი სეზონი გარდამავალი ეტაპი იქნება და შედეგს ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭება. არადა, ეს ასე ნამდვილად არ არის. „მილანი“ ის გუნდია, რომელიც მუდმივად უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის და ასე იქნება მომავალ სეზონშიც. ჩემს გუნდს ძალუძს სკუდეტოს მოპოვება და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. პრიორიტეტული იქნება ჩემპიონთა ლიგა, რადგან „მილანისთვის“ ეს ტურნირი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იტალიური საკლუბო ფეხბურთი მკაცრი კრიტიკის ქვეშაა მოქცეული, მას ისე აღარ აფასებენ, როგორც უწინ და ეს, პირადად მე, უდიდეს მოტივაციას მძენს. მინდა მთელ ევროპას დავანახვოთ, რომ კალჩო ფეხზე დგას და „მილანს“ კაკას გარეშეც შეუძლია ლიგაში გამარჯვება.

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიქრები მანჩესტერ იუნაიტედზე

# ფერგის დილემა და მადრიდული ვირუსი

ეხდება და ეხდება საიდუმლოებას ფარდა: ახლა, ცნობილი გახდა, რომ მადრიდის „რეალსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის **კრისტიანო რონალდოს** თაობაზე ყველაფერი „რეალის" პრეზიდენტად **ფლორენტინო პერესის** მოსვლამდე იყო მოგვარებული. გამოდის, რომ რონალდოს გადაბირებასა და 80 მილიონ ფუნტად მსოფლიოს ალაპარაკებაში „გალაქტიკური" პროექტის ავტორი არაფერ შუაშია? თუკი მადრიდელთა კლუბის მეორე კაცს, **ხორხე ვალდანოს** დავუჯერებთ, სწორედაც ასეა - არადა, თავად ტრანსფერი, დაგვეთანხმებით, ზედმიწევნით პერესის სტილში გახლდათ შესრულებული.



ფერგიუსონი და რუნი. მანჩესტერს თავდასხმაში სამი ფორვარდიდან ერთი დარჩა

სხვა საქმეა, რომ „იუნაიტედი" ვალდანოს ნათქვამს არ ადასტურებს და აცხადებს, ასე არ ყოფილაო. მანჩესტერელთა ოფიციალური პრესგანცხადება:

*„ჩვენს კლუბსა და „რეალს" შორის, კრისტიანო რონალდოს თაობაზე, 2009 წლის 10 ივნისამდე ანუ იმ დღემდე, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედის" ოფისში მადრიდიდან ფაქსი მოვიდა, არანაირი შეთანხმება არ ყოფილა".*

ვალდანო კი მაინც თავისას იმეორებს და ბრძანებს, ხელშეკრულება რომ 1 ივნისამდე (ეს კი ის თარილია, როდესაც პერესი „რეალის" პრეზიდენტი გახდა) უკვე გამზადებული იდო მაგიდაზე.

*„იძულებული გავხდით, რონალდო შეგვეძინა, რადგან ჩვენ წინაშე იდო კონტრაქტი, რომელსაც თან ახლდა ვადები და ჩვენ კლუბის საკონტრაქტო ვალდებულებებისთვის პატივი უნდა გვეცა. იქ უკვე ყველა წვრილმანი ეწერა: როდის უნდა დავკავშირებოდით „მანჩესტერ იუნაიტედს", როდის უნდა გაგვემართა ფეხბურთელის წარდგენა და სხვა".*

„მანჩესტერ იუნაიტედი" კი, როგორც ინგლისელი მიმომხილველი **იან მაკგარი** ბრძანებს, დარჩა ხელში 80 მილიონითა და ჰორიზონტზე ვარსკვლავის გარეშე - სერ **ალექს ფერგიუსონი** არნახული დილემის წინაშე დგას, აქვს ფული და არ იცის, ვინ იყიდოსო, წერს ხსენებული ავტორი „სანში". ადრე კითხვა დავსვით: როგორ უნდა გადაეხადა „რეალს" „მანჩესტერისთვის" ეს 80 მილიონი? გაირკვა, რომ გუშინ დილით ინგლისის ჩემპიონის ანგარიშზე მთელი თანხა ერთბაშად უნდა დამჯდარიყო. ასე რომ, ფული არის, ტრანსფერების მხრივ კი საქმე ასეა: ერთადერთი, რაც ფერგიმ ჯერჯერობით მოახერხა, 17 მილიონად „უიგანიდან" **ანტონიო ვალენსიას** ყიდვა გახლავთ. ხოლო, რონალდოს ბადალი? ასეთი არავინ ჩანს. ჰოდა, იან მაკგარის ახსენდება გასული წლის დეკემბერში ფერგიუსონის ირონიული ნათქვამი, - რას ამბობთ, „რეალს" ვირუსს როგორ მივყიდიო და ერთგვარი ნიშნის მოგებით ამბობს, რომ სქოთმა „რეალს" ვირუსი არათუ მიჰყიდა, არამედ თავად დარჩა იმაზე მეტად ალაჟლაჟებული, ვიდრე ჩვეულებრივ არის ხოლმე. და კიდევ, „სანის" ჟურნალისტის აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედმა" ერთი რომ საუკეთესო ფეხბურთელი გაასხვისა და მეორე, ერთადერთი კაცი, ვისაც მისი შეცვლა შეეძლო, ბრაზილიელი **კაკაც** ხელიდან გაუშვა. და ვინ იყიდა დიდებული ბრაზილიელი? რა თქმა უნდა, „რეალმა", აბა, სხვა ვინ...

ახლა, ცოტა მეხსიერებაც დავძაბოთ: ბოლოს, „მანჩესტერ იუნაიტედმა" თავისი მეშვიდე ნომერი, **დევიდ ბექჰემი** რომ გაყიდა (ისიც „რეალში), სამი წელიწადი ჩემპიონობა ველარ მოიგო. გასულ სეზონში „იუნაიტედმა" სამი ინგლისური ტიტული მოიგო, ჩემპიონთა ლიგაშიც ფინალამდე მივიდა, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო გუნდობისა რა მოგახსენოთ... აი, „რეალმა" კი „ბარსელონას" დიდ ტიტულებს ისეთი ფეხბურთელების შეძენით უპასუხა, რომ, როგორც ბატონი მაკგარი ბრძანებს, მასთან შედარებით, „იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგის ფავორიტზე მეტად ინგლისური საკვირაო ლიგის ფავორიტს უფრო ჰგავს.

თან, კაკას ტრანსფერის ამბავს დააკვირდით: „რეალმა" ჯერ კაკა იყიდა და მერე რონალდო. „მანჩესტერ იუნაიტედს" რა უნდა ექნა? იცოდა რა, რომ პორტუგალიელი მასთან გამჩერებელი აღარ იყო, იმთავითვე თავად უნდა დაეწყო კაკას მიმართულებით მუშაობა. კაცმა რომ თქვას, მარტში მართლა იყო ასეთი მცდელობა - „მანჩესტერის" წარმომადგენლები კაკას მამას, **ბოსკო ლეიტეს** შეხვდნენ, მაგრამ უშედეგოდ დაბრუნდნენ და „რეალს" გაუხსნეს ხელ-ფეხი.

მართლა, არ დაგვავიწყდეს, რომ „რეალმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი იყიდა, ვალენსიელი **რაულ ალბიოლი**, „მანჩესტერ იუნაიტედმა" კი... **კარლოს ტევესიც** კი „მანჩესტერ სიტიში" გაუშვა. დიდი ბოდიში ახალნაყიდ ვალენსიასთან, მაგრამ ის არც ტევესის დონის მოთამაშეა და არც რონალდოსი. მეტიც, მოდი, ახლა ამ კუთხით შევხედოთ: „იუნაიტედის" თავდასხმაში სამი კაციდან - რონალდო, **უეინ რუნი**, ტევესი - ორი წავიდა!

რაკილა რუნი ვახსენეთ... მანჩესტერელთა შემორჩენილმა ვარსკვლავმა ამ დღეებში კიდევ ერთხელ თქვა ის, რაც ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ხშირად უთქვამს - გაზეთის ფურცლებიდან მწვრთნელს შეჰღაღადა, მარცხენა ფრთიდან ჩემს ბუნებრივ ადგილას, ცენტრში დამაბრუნეო. რას ნიშნავს ეს? „სანის" ხსენებული მიმომხილველის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად წარმატებებისა, გუნდში ყველაფერი სწორად არ იყო მოწყობილი, თუმცა ბატონ მაკგარის ვინ ვინ არის არ ეშლაბა და ამბობს, რომ ფერგიუსონი ყველა ღონეს იხმარს, გუნდი კვლავ მწვერვალზე რომ აიყვანოს - ბოლოს და ბოლოს, თუკი ბოლო ოც წელიწადში „მანჩესტერს" რამე მოუგია, სერ ალექსის ხასიათით, ამბიციით და შეუპოვრობით. „მანჩესტერ იუნაიტედი" იმპერია გახლდათ, თავისი იმპერატორით. ცნობისათვის: კლუბის მეპატრონეების, **გლეიზერების** ოჯახიდან გავრცელდა ხმები, რომ მათ ფერგიუსონისთვის რონალდოს გაყიდვა არ ურჩევიათ, თუმცა ის, რაც მოხდა, შესაძლოა ამერიკელი მილიარდერებისთვის კარგიც იყო, რადგან დახეთ ბუღალტერიას: 2005 წელს, „მანჩესტერ იუნაიტედის" ვალი 556 მილიონი ფუნტი იყო, დღეს კი 699 მილიონია - ვინ იცის, ეგებ პორტუგალიელის გაყიდვით მიღებული ფულის ნახევარი მაინც, ამ ვალის დაფარვას მოხმარდეს...

ჰო, თუ ასე მოხდა, რონალდოს ბადალი ფეხბურთელის შესაძენი ფული, სავარაუდოდ, აღარ გამოჩნდება. ამბობენ, რომ ფორვარდი, რომლის ყიდვასაც „იუნაიტედი" ცდილობს, გახლავთ ლიონელი **ქარიმ ბენზემა**, რომელსაც მოქმედება სამკაციან თავდასხმაში მარჯვენა ფრთაზე ეხერხება, პლუს იმ თავისი ფრთიდან შუაშიც შევარდება ხოლმე. და კიდევ, ბენზემას აქვს ფასი - 30 მილიონი ფუნტი.

მაგრამ მაკგარის აზრით, მარტო თავდამსხმელებზე ფიქრიც არ ივარგებს, რადგან ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონასთან" გაჯიბრებამ ცხადყო, რომ ინგლისის ჩემპიონს არც შემოქმედებითი ნახევარდაცვა ჰყავს.

**პოლ სქოულზი** სანახევროდ უკვე წასულია... მოკლედ, **როი კინისა** და სქოულზის წყვილის შემდეგ „იუნაიტედის" შუაწელს რაღაც აკლია. მადრიდში კი ვინ აღარ უნდათ: **ფრანკ რიბერიო, დავიდ ვილიაო, დავიდ სილვაო...**

ვირუსი კი უკვე ესპანეთის დედაქალაქშია...

ტრანსფერი

## ვალენსია საოცრებათა ქვეყანაში

„მანჩესტერ იუნაიტედმა" „უიგან ატლეტიკისგან" გარემარბი **ანტონიო ვალენსია** იყიდა. კონტრაქტი ოთხწლიანია. 23 წლის ეკვადორელი, რომლის სრული სახელი და გვარი გახლავთ **ლუის ანტონიო ვალენსია მოსკერა**, მანჩესტერელთა მწვრთნელის, სერ **ალექს ფერგიუსონის** პირველი შენაძენია **კრისტიანო რონალდოს** 80 მილიონ ფუნტად გაყიდვის შემდეგ.

**ალექს ფერგიუსონი:** *„ანტონიო ის ფეხბურთელია, რომლის თამაშსაც დიდი ხანია ვაკვირდებით და ძალიანაც მოგვწონს. თან, გამოუცდელიც არ არის, ორი სეზონი „უიგანის" შემადგენლობაში, პრემიერლიგაში გაატარა. დარწმუნებული ვარ, მისი სისწრაფე და უნარი ჩვენს გუნდს დიდ ძალას შემატებს".*

როგორც ამბობენ, ვალენსია „მანჩესტერ იუნაიტედს" 16 მილიონი ფუნტი დაუჯდა. ცნობილია, რომ ინგლისის ჩემპიონსა და „უიგანს" შორის ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე ორი თუ სამი თვეა მიმდინარეობს.

*„უიგანში გატარებული პერიოდით მეტად კმაყოფილი ვარ, - უთხრა ეკვადორელმა BBC-ის, - მაგრამ როდესაც შევიტყვე, რომ უდიდეს კლუბში გადასვლისა და დიდი ტიტულების მოპოვების შანსი გამიჩნდა, ალვფრთოვანდი. ყოველ საშინაო შეხვედრაში 76 ათასი მაყურებლის წინაშე თამაში, თან ისეთი პარტნიორების მხარდამხარ, როგორებიც არიან უეინ რუნი, რიო ფერდინანდი და რაიან გიგზი, საოცრებაა და ერთი სული მაქვს, ეს საოცრება როდის დაიწყება. იმედი მაქვს, „უიგანის" ფანები არ დამზრახავენ. მე ამბიციური ბიჭი ვარ და ვიცი, რომ ეს შანსი უნდა გამოვიყენო, თორემ მეორედ შეიძლება აღარც კი მომეცეს. თან, მიხარია, ჩემი წყალობით „უიგანმა" სარფი რომ ნახა. მე ხომ ამ კლუბის წინაშე დავალებული ვიყავი".*

აღსანიშნავია, რომ ვალენსიას ტრანსფერი „უიგანისთვის" სარეკორდოა, თუმცა გუნდის მწვრთნელს, **რობერტო მარტინესს** თავსატეხიც გაუჩნდა - ახლა მისი შემცვლელი ჰყავს საძებნი. ცნობისათვის: ანტონიო ვალენსიას ეკვადორის ნაკრებში 38 შეხვედრაში 4 გოლი აქვს გატანილი. „უიგანამდე" მას უთამაშია „ნასიონალში", „ვილიარეალში" და „რეკრეატივოში".



სერ ალექს ფერგიუსონი და მანჩესტერის ახალწვეული ანტონიო ვალენსია

სეზონისწინა ამბები

# საბრალო პელეგრინი...



მანუელ პელეგრინი და ფლორენტინო პერესი

სანამ „რეალის" ფანები სიხარულით მეცხრე ცაზე არიან და „გალაქტიკოსთა" მეორე თაობის გამოჩენას ზეიმობენ, გუნდის მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** ფიქრობს, ერთიმეორეზე მდიდარი ვარსკვლავები ისე როგორ შეკრას, რომ წარმატებებს მიაღწიოს.

მოგეხსენებათ, სატრანსფერო ზაფხულის ჯერ მხოლოდ ერთი თვეა გასული, მაგრამ „რეალმა" 180 მილიონი ევროს დახარჯვა უკვე მოახერხა. კიდევ რა მოხდება სექტემბრამდე, კაცმა არ იცის, პელეგრინის კი უკვე აწევს მხრებზე უზარმაზარი ტვირთი. დაიწყება სეზონი, ჩანწყნარდება ყიდვა-გაყიდვის ისტერია და ჩილელ მწვრთნელს პირველივე ტურიდან გამარჯვებებს მოსთხოვენ.

არც „რეალის" გენერალური დირექტორი, **ხორხე ვალდანო** უარყოფს, რომ მწვრთნელს ცხრა ტყავი ტყავი ასძვრება. *„კარგად ვიცი, რომ შემადგენლობაში ამდენი ცვლილების გამო პელეგრინის თავიდან ძალიან გაუჭირდება,* - უთხრა მან რადიოგადაცემა El Tirachinas-ის. - *თავის დროზე „არსენალის" თავკაცს, არსენ ვენგერს უთქვამს, თუ გუნდში სამ ახალ ფეხბურთელზე მეტი გამოჩნდება, მე ველარაფერს გავხდებიო. ეს ნათქვამი ჩემთვის გასაგებია. სხვაა, როდესაც ორი ფეხბურთელი გემატება და ისინი ძველ გუნდს უნდა შეურწყა და სულ სხვაა, როდესაც ადამიანთა ახალ ჯგუფთან გაქვს სამუშაო. „რეალში" კი წარმოიდგინეთ, ხუთი ახალი ფეხბურთელი უკვე მოვიდა და, თუ პრესას დავუჯერებთ, ამდენის მოყვანას კიდევ ვაპირებთ. ეს, რასაკვირველია, მწვრთნელს სამუშაოს ორმაგად გაურთულებს".*

დავაზუსტოთ, ვინ არის ხუთი მოსული: **ეზეკიელ გარაი, კაკა, კრისტიანო, რონალდო, რაულ ალბიოლი** და **ალვარო ნეგრედო**, რომელიც „ალმერიადან" მადრიდში დაბრუნდა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

## უცხოური ფეხბურთი

სატრანსფერო ამბები



ხავიერ მასკერანო

# ჩიკიმ ნიადაგი მოსინჯა

ამ დღეებში „ბარსელონამ" „ლივერპულს" **ხავიერ მასკერანოს** თაობაზე მიმართა, მაგრამ ამ მიმართვისთვის ჯერ ოფიციალური ფორმა არ მიუცია - კატალონიელები ელიან მომენტს, როდესაც მერსისაიდელთაგან შეიტყობენ, რომ ოფიციალური დოკუმენტის შედგენას აზრი აქვს. ჯერჯერობით კი ყველაფერი სატელეფონო საუბრით შემოიფარგლა და ჩვენც სწორედ ამ ამბავს გაცნობებთ - „ბარსას" ტექნიკურმა მდივანმა, ყოფილმა ფეხბურთელმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** „ლივერპულის" მწვრთნელ **რაფა ბენიტესს** დაურეკა. საუბარი მატრივი გახლდათ, იცოდეთ, მასკერანოს ყიდვა გვაინტერესებს და დაფიქრდითო.

როგორც გაზეთი „სპორტი" იტყობინება, „ლივერპულის" თავკაცობა შექმნილი მდგომარეობით ძალიან უკმაყოფილოა. მეტიც, ბენიტესს შეუტყვია, რომ ბარსელონელებმა, პარალელურად, მასკერანოს აგენტსაც მიმართეს. ერთი სიტყვით, ირკვევა, რომ „რეალს" არგენტინელის ყიდვის ვარიანტი აღარ აქვს და ახლა მთელი ძალისხმევა „ბარსელონასკენ" არის მიმართული.

ზემოთ მასკერანოს აგენტი ვახსენეთ. მისი სახელი და გვარია **ვალტერ ტამერი**, რომელმაც ბეგირისტაინისა და ბენიტესის სატელეფონო ლაპარაკზე იმთავითვე იცოდა და ისიც კარგად იცის, რომ ბარსელონელები მის კლიენტს მომავალ სეზონში თავიანთ ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად განიხილავენ. როგორც „სპორტი" იტყობინება, „ლივერპულს" შემადგენლობის გადასახალისებლად და გასაძლიერებლად ზოგიერთ ფეხბურთელთან შელევა მოუწევს და სწორედ ახლაა ის დრო, როდესაც გუნდის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს, ვის ყიდის და ვის არა.

დამალული არ არის, რომ „რეალს" **ჩაბი ალონსოს** შეძენა სურს. იმავე ფეხბურთელის ყიდვა უნდა „იუვენტუსსაც", თუმცა საეჭვოა, ბენიტესი ცენტრალურ ნახევარმცველებს შეელიოს.

# დაბლაპემპტონიდან მაღლაპემპტონში



ენდრიუ სარმენი

„ვულვერჰემპტონმა" „საუთჰემპტონისგან", 1.2 მილიონ ფუნტად, **ენდრიუ სარმენი** შეიძინა. სარმენი ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელია, რომელსაც ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში და დაცვის მარცხენა ფრთაზეც. ფეხბურთელსა და მის ახალ კლუბს შორის 3-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა, რომელშიც წერია, რომ თუ მხარეები ერთმანეთით კმაყოფილნი დარჩნენ, ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდება. ფინანსურ გასაჭირში ჩავარდნილი „საუთჰემპტონისთვის" კი მიღებული თანხაც ერთ რამედ ღირს - კლუბი ახალი მეპატრონის ძიებაშია.

„პრემიერლიგაში, „ვულვერჰემპტონის" დონის კლუბში მოხვედრა ჩემთვის ბევრს ნიშნავს, - თქვა, 22 წლის ფეხბურთელმა, - სამწუხაროდ, „საუთჰემპტონში" საძაგელი სეზონი გვქონდა. საკმაოდ კარგი ფეხბურთელების მიუხედავად, საქმე ცუდად წავიდა და ჩემპიონშიფიდან პირველ ლიგაში გავვარდით. გავარდნა, რასაკვირველია, ფეხბურთელს სახელს არ მატებს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად მოტრიალდა და თავი „ვულვზში" ამოვყავი".

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „ვულვერჰემპტონმა" ჩემპიონშიფი მოიგო და პრემიერლიგაში ალზევდა. „საუთჰემპტონის" შემადგენლობაში სარმენს 142 შეხვედრაში 18 გოლი აქვს გატანილი. ამ 18 გოლს შორისაა 2007 წელს, სწორედაც „ვულვერჰემპტონის" კარში, შორიდან გატანილი ბურთიც. იმ დღეს, „საუთჰემპტონმა" „ვულვზს" 6:0 მოუგო...

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

დანიშვნა

# დი მატეოს გამოჩენა


რობერტო დი მატეოს
სერიოზული შანსი აქვს...

სცენაზემივიწყებული სახეები გამოდიან: პრემიერლიგიდან ჩემპიონატში გავარდნილი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" მწვრთნელად 39 წლის იტალიელი, **რობერტო დი მატეო** დანიშნეს. დი მატეომ ვესტ მიდლენდელებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა - მოგეხსენებათ, ძველი მწვრთნელი, **ტონი მოუბრეი**, რომლის ხელშიც „ვესტ ბრომვიჩი" პრემიერლიგაში ალზევდა და იმავე სეზონში გავარდა, ცოტა ხნის წინ გლაზგოს „სელტიკში" გაიქცა. კი, მაგრამ რა გამოცდილება აქვს დი მატეოს? - იკითხავს ვინმე. დი მატეოს ზურგს მწვრთნელობის მხოლოდ ერთწლიანი სტაჟი უმაგრებს, თუ, რასაკვირველია, ერთწლიანი გამოცდილება ვინმეს შეიძლება ზურგს უმაგრებდეს. ის MK Dons-ში მუშაობდა. ეს გახლავთ პირველ ლიგაში მესამე ადგილზე გასული გუნდი, რომლის სრული სახელია „მილტონ კეინის დონს ფუტბოლ კლაბი". ცნობისთვის - პირველი ლიგა ინგლისურ საკლუბო შეჯიბრებებში ზემოდან მესამე დონეა.

იმისათვის, რომ მივხვდეთ, რა შედეგი ჰქონდა დი მატეოს MK Dons-ში, განვმარტოთ, რას ნიშნავს პირველ ლიგაში მესამე ადგილზე გასვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდს ჩემპიონატში ავტომატურ ალზევებამდე ერთი ადგილი (რეალურად, ორი ქულა) დააკლდა ანუ მოხვდა პლეი ოფში, სადაც, უკვე, „სკანთროპმა" დაამარცხა. საინტერესოა, რომ „ვესტ ბრომვიჩის" თავმჯდომარის, **ჯერემი პისის** თქმით, თანამდებობაზე დი მატეოს მიყვანა დირექტორატმა ფარული კენჭისყრით გადაწყვიტა.

პისი: *„რობერტოს დანიშვნით ძალიან კმაყოფილი ვარ. უნდა მოგახსენოთ, რომ ახალი მწვრთნელის ვინაობის შერჩევა ფრთხილად და დაკვირვებით მიმდინარეობდა, დი მატეომ 40 კანდიდატს შორის გაიმარჯვა. საბოლოოდ, შორტლისტს ორი დიდებული მწვრთნელი შემორჩა, დი მატეო და „პრისტონის" ბოსი ალან ირვინი. საბოლოო სიტყვა კი „ვესტ ბრომვიჩის" დირექტორატმა ფარული კენჭისყრის გზით თქვა".*

დი მატეოს ვესტ ბრომვიჩში ასისტენტებად მისი ერთგული მეგობრები, **ედი ნიუტონი** და **ეიდ მეიფი** წაჰყვნენ. ვინაიდან, „ალბიონში" საზაფხულო არდადეგები უკვე დასრულდა, დი მატეო დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას.

მოედანს მიღმა

# ოჯახში მთავარი კაცია


ნემანია ვიდიჩმა ცოლს დაუცაცხანა

**ნემანია ვიდიჩს** მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული მცველის სახელის დასამკვიდრებლად გვარიანი ორთაბრძოლების გადატანა მოუხდა, მაგრამ გაირკვა, რომ მისი ყველაზე უხერხული მეტოქე მისივე მეუღლე ყოფილა. ერთი სიტყვით, ამ ზაფხულს, „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელმა უკვე მიიღო წინადადებები „მილანიდან", „რეალიდან" და „ბარსელონადან", რის გაგონებაზეც მისმა მშვენიერმა თანამეცხედრე **ანამ** ერთი ამბავი ატეხა - ქალბატონი ვიდიჩი ვერა და ვერ შეჰგუებია მანჩესტერში ცხოვრებას, მაგრამ ნემანიამ, როგორც ნამდვილმა სერბმა, ქალს ყური არ ათხოვა და ოჯახში საქმე ჯეროვნად დააყენა.

*„ჩემი ცოლი, ანა, ჩვენი მანჩესტერული ცხოვრებით უკმაყოფილოა, მაგრამ მე ჩემსაზე მტკიცედ ვდგავარ, რადგან თავად გახლავართ კმაყოფილი „მანჩესტერ იუნაიტედით" და მისი სამომავლო გეგმებითა და ამბიციებით"* - თქვა მცველმა.

ქალბატონი ანა ვიდიჩის მიერ მანჩესტერული ცხოვრების დაწუნებით, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილმა ინგლისელმა ჟურნალისტებმა კი გაიხსენეს, რომ სერბი მცველი „მანჩესტერ იუნაიტედში" მოსკოვის „სპარტაკიდან" გადავიდა და დააინტერესათ, ამისთანა რა ცხოვრება დუღს რუსეთის დედაქალაქში, სადაც, მათი თქმით, „ზამთარში საგანგებოდ დაყენებული ძვირიანი ვარცხნილობა შეიძლება მიგეყინოს". მაგრამ გემოვნებას და ადამიანებს რას გაუგებ.

რაც შეეხება ანას ქმარს, მისით „ოლდ ტრეფორდზე" მაყურებელიცა და მწვრთნელი **ალექს ფერგიუსონიც** კმაყოფილები არიან. თან, მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს „მანჩესტერიდან" **კრისტიანო რონალდო** და **კარლოს ტევესი** წავიდნენ, რაც ერთი მხრივ გუნდის დასუსტებას უნდა მოასწავებდეს, მაგრამ სერ ალექსს ამის დაშვება არ უნდა და სწორედ ამიტომ გააბრუნა ცივი უარით „ბარსა", რომელმაც ვიდიჩის სანაცვლოდ 25 მილიონი გირვანქა შესთავაზა. სხვათა შორის, კატალონიელების წინადადებამ ვიდიჩს კარგი საქმე გაუკეთა, ჯამაგირი 20 ათასი ფუნტიდან 70 ათასამდე გაუზარდა.

*„მე უკიდურესად პატიოსნად მოვიქეცი, როგორც „მილანის" ასევე „რეალისა" და „ბარსელონას" შემოთავაზების ამბავი ჩემს მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს ვუთხარი. მისმა რეაქციამ არ დაახანა. ფერგიუსონმა ხელფასი თვალის დახამხამებაში გამიზარდა. მითხრა, რომ იმდენს უნდა ვიღებდე, რამდენიც ჩემი დონის ევროპელ მცველს შეეფერება. ახლა, აშკარაა, რომ 2012 წლამდე მანჩესტერიდან ფეხის გამდგმელი არსად ვარ. მართალია, ჩემი მეგობრების, რიო ფერდინანდის და უეინ რუნის ტოლ ხელფასს მაინც არ მიხდიან, მაგრამ ბერბატოვს და კარიკს ხომ გავუტოლდი"*, - თქვა ვიდიჩმა, რომელსაც არ სცოდნია, რომ ბერბატოვის ჯამაგირი 90 ათასი ფუნტია, მისაზე მთელი 20 ათასით მეტი.

ნემანია ვიდიჩი მანჩესტერულ კლუბს 2006 წელს შეუერთდა. თავიდანვე რიხიანად ვერ ჩაერთო პრემიერლიგურ ცხოვრებაში, თუმცა, თანდათანობით მისმა ფეხბურთმა სახე იცვალა და საბოლოოდ „იუნაიტედის" სრულყოფილ ვარსკვლავად ჩამოყალიბდა.

*„ხალხს ხშირად ავიწყდება, რომ როდესაც ერთი ქვეყნიდან მეორეში ჩადიხარ, ახალ გარემოსთან შეგუება გჭირდება. დღეს, ჩემი თამაშის სტილი სრულიად შეესაბამება პრემიერლიგურს"*, - თქვა ბოლოს სერბმა.

ტრანსფერის შემდეგ

# როკემ სარტყელი შემოირტყა

**როკე სანტა კრუსმა** შვებულება შეწყვიტა, მანჩესტერში ჩავიდა და მისთვის ახალი და უცხო გუნდის, „მანჩესტერ სიტის" საწვრთნელ ცენტრში ვარჯიშს შეუდგა - გამგებმა, კერძოდ კი ხსენებული „სიტის" ყველა თავდამსხმელმა - გაიგოს, სანტა კრუსი ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ სანტა კრუსი „სიტიში" ახალი გადასულია. წინა სეზონი „ბლექბერნში" ჩაამთავრა, მერე კი „სიტიმ" „ბლექბერნს" 18 მილიონი ფუნტი გადაუხადა და თავდამსხმელი გადაიბირა. ცნობისთვის: მანჩესტერული გუნდის დანარჩენი ფეხბურთელები სანტა კრუზს შვებულების დასრულების შემდეგ, ერთ კვირაში შეუერთდებიან.

ფოტოზე როკე სანტა კრუზი პულსის საზომი მონიტორითაა გადაღებული. მოგეხსენებათ, პარაგვაელი თავდამსხმელი გასულ სეზონში მუხლის ტრავმამ გვარიანად გააწვალა და ახლა, როგორც ჩანს, ცდილობს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს ახალ სეზონს. ვისთან მოუწევს სანტა კრუზს კონკურენცია? ეს ხომ ცნობილია: **რობინიოსთან, კრეიგ ბელამისთან, ჯოსთან, ვალერი ბოჟინოვთან, ბენჯანისთან, ფელიპე კასიედოსთან, ჩედ ევანსთან** და რაც მთავარია, ორ შესაძლო დანამატთან, **კარლოს ტევესსა** და **სამუელ ეტოოსთან.**


როკე სანტა კრუსმა
სიტიში ვარჯიში დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა


## მიშელ პლატინი

# ცხოვრება, როგორც მატჩი




*(გაგრძელება)*

### პლატინისთან გამოთხოვება

1986-87 წლები - ჩემი ბოლო სეზონია. რა თქმა უნდა, 1985-86 წლების სეზონში იტალიის ჩემპიონად ვითვლები, მაგრამ ხელიდან გავუშვი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი. და ამის გამო გამოწვეული სინანული მოსვენებას არ მაძლევს. ფეხბურთიდან წასვლის დრო მოვიდა. არასოდეს მექნება მთავარი ტიტული, რომლის მოპოვებასაც ოდესლაც ჩემს თანამემამულეებს დავპირდი. ახლა ფინიშის სწორზე ვარ გასული. ჩემი ბოლო სეზონია და ისეთი განწყობილება მაქვს, თითქოს წინ სიკვდილი მელოდება...

ახლახან „აველინოსთან" მატჩში „იუვენტუსის" შემადგენლობაში მეასე გოლი შევაგდე. საშუალოდ სეზონში 25 ბურთი გავიტანე. ეს მეასე გოლი განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ ამას **მაუროს** უნდა ვუმადლოდე, რომელმაც საჯარიმოში უზუსტესი პასი მომცა.

ერთ კლუბში გატანილი გოლების რაოდენობით, მერვე ადგილზე ვარ **გერდ მიულერის, იოსიპ სკობლარის, ჟიუსტ ფონტენის, კარლოს ბიანკის, გუნარ ნორდალის, ფადეა ჩისოკვსკისა და დელიო ონისის** შემდეგ.

1986 წლის ნოემბერი. იწყება ლაპარაკი ჩემი წასვლის შესახებ.

1987 წლის მარტი. ფეხბურთში ჩემი დღეები დათვლილია. ხუთი დღე რჩება „იუვენტუსის" და „ნაპოლის" შეხვედრამდე. ფრანგული და იტალიური პრესის გააფთრებული შეტევის ქვეშ ვექცევი. ტიფოზებმაც კი ზურგი შემაქციეს. ვჩქარობ, რომ მალე მოეღოს ბოლო ამ ყველაფერს. დავიღალე.

სიტუაცია იძაბება. **პლატინი** ცუდ ფორმაშია? შეიძლება. მაგრამ ვფიქრობ, რომ აქ მხოლოდ ჩემში არ არის საქმე, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ „იუვენტუსია" ავად.

*„ყველაზე სუსტი „იუვენტუსი" მას შემდეგ, რაც 16 წლის წინ კლუბის პრეზიდენტი ბონიპერტი გახდა!"* - ყვირიან ჟურნალისტები.

მეც ვამტკიცებ: „იუვენტუსი" ავადაა". **კაბრინი?** მუხლის ოპერაცია გაიკეთა. **ლაუდრუპი?** მას პუბალგიის გამო მალე ოპერაციას გაუკეთებენ, რის შედეგადაც ძირითადად სტატისტის როლს ასრულებს მინდორზე. პლატინი? მისი კარიერა სრულდება, ის თითქმის ფინიშთან არის მისული. მე გამისწრეს **მარადონამ, ბონეკმა, ფრენსისმა, სერეზომ, რუმენიგემ, ჟუნიორმა, დირსეუმ**... ეს ის მოთამაშეები არიან, რომლებსაც ჯერ კიდევ გასულ წელს ვუსწრები კალჩოს უცხოელი ფეხბურთელების კლასიფიკაციაში. ჩემს დასაცავად **პელემ** აიმაღლა სიტყვა: *„პლატინი ფიზიკურად კარგად არის მომზადებული, მაგრამ შექმნილ გარემოებათა გამო, მას მუდმივად უკან თამაშს აიძულებენ, არადა, ის თავისი არსით შეტევების სულისჩამდგმელია. თამაშის „ჩაკეტვით" „იუვენტუსი" პლატინისაც თიშავს თამაშიდან...*" იმავე აზრზეა **ჯანი რივერაც**: *„სწორედ „იუვენტუსი" აქცევს პლატინის გამოუსადეგარ მოთამაშედ. სწორედ გუნდს აქვს კრიზისი და არა ფეხბურთელს"*.

ტრაპატონის ადგილი **მარკეზიმ** დაიკავა. 19 ოქტომბერს, „ასკოლის" წინააღმდეგ (2:2) ვერც ერთი გოლი ვერ გავიტანე. ეს ნიშნავს, რომ 1911 წუთია, გატანილი გოლის გარეშე ვთამაშობ. უფრო მეტიც, ჯარიმიდან გატანილი ჩემი ბოლო ბურთი 1985 წლის 22 დეკემბრით თარიღდება.

ძალიან მინდა გოლების გატანა, მაგრამ ვინ მომცემს პასს კარის წინ? კოჭლი ლაუდრუპი? კაბრინი საავადმყოფოდან? თუ ჩვენი მწვრთნელი მარკეზი, რომელიც ბეტონის დაცვას - „კატენაჩოს" დაუბრუნდა?

იქნებ, ნაგებულმა მსოფლიოს ჩემპიონტმა დამასვა დალი. იქნებ, დადგა ლურსმანზე ბუცების ჩამოკიდების დრო. იქნებ, გონებაში უკვე დავასრულე ჩემი საფეხბურთო კარიერა?!

უნდა გადავშალო ეს ფურცელი. ოდესლაც „იუვენტუსში" იყო **სივორისა** და **ჩარლზის** ერა, შემდეგ **ბეტეგასა** და **ძოფის** პერიოდი. ბონეკი, **როსი** და პლატინი. ახლა, ალბათ, ახალი ერა და-



იწყება, რომელსაც ჩემთან არანაირი კავშირი არ აქვს.

და ვერ წარმომიდგენია, რა განწყობით ვითამაშებ „სან პაოლოს" მინდორზე „ნაპოლისა" და მარადონას წინააღმდეგ. დიეგო - ახალი მეფეა კალჩოს ტახტზე.

29 აპრილს ჩემს ბოლო მატჩს ვთამაშობ „სამფეროვანთა" რიგებში - „პარკ დე პრენსზე" ისლანდიის წინააღმდეგ. ალარასოდეს მოვემსახურები ფეხბურთით ჩემს ქვეყანას. ჩემში რაღაც ჩაწყდა. 32 წლის ასაკში...

### და მაინც ბავშვი

ეჭვგარეშეა, ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ, რა ემართებათ **მაცოლებს, კრუიფებს, ბეკენბაუერებს** და სხვა ვარსკვლავებს, რომლებიც კარიერას ასრულებენ. მხოლოდ ცოტა მათგანი რჩება ფეხბურთის სამყაროში, მაგალითად, **რობერ ერბენი** ან **ანრი მიშელი**, რათა შემდეგ რომელიმე გუნდის მწვრთნელი გახდეს.

მაგრამ სამწუხაროდ, საფეხბურთო ნიჭი საკმაოდ ხშირად შეუსაბამოა პედაგოგიკასთან. და მაშინ, მაცოლა ან კრუიფი ბიზნესში იწყებენ მოღვაწეობას ან თავის ფულს სხვა მმართველებს ანდობს.

ასეთ შემთხვევაში ვილაპარაკოთ არა „გადადგომაზე", არამედ „ფეხბურთის შემდგომ" პერიოდზე. სინამდვილეში, ფეხბურთელებისთვის გადადგომა არ არსებობს. 30, 35, მეკარეებისთვის კი 40 წელი - ძალიან ადრეული ასაკია იმისთვის, რომ თავით გადაეშვა უსაქმურობაში... მით უმეტეს, თუ მინდორზე აქტიური ადამიანი იყავი.

როცა გარკვეულ მწვერვალს აღწევ და კარიერის დასრულების გადაწყვეტილებას იღებ, რალაცნაირად უნდა მოახდინო საკუთარი ცხოვრების რეორგანიზაცია და საკუთარ თავში ახალ ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თანაფარდობას უნდა მიაღწიო. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აიცილებ დიდ დრამას.

პირადად მე რაც შემეხება, ამ მომენტისთვის დიდი ხნის წინ დავიწყე მზადება. რამდენიმე სეზონის განმავლობაში, უმცირეს დეტალებში ვფიქრობდი ჩემს ფეხბურთის შემდგომ ცხოვრებაზე.

შესაფერის მომენტს ველოდი სხვა ამპლუაში გადასასვლელად. შესანიშნავი საშუალო ასაკი მაქვს. იოჰან კრუიფმა თავისი ბოლო ოფიციალური მატჩი 30 წლის ასაკში ითამაშა, **ბობი ჩარლტონმა** და **რაიმონ კოპამ** - 31 წლის ასაკში. პელემ, ფრანც ბეკენბაუერმა, ისევე როგორც მე - 32 წლისამ. **დი სტეფანომ** და **პუშკაშმა** ბუცები 35 წლის ასაკში გაიხადეს. მაგრამ საფეხბურთო დღეგრძელობის რეკორდი ინგლისელს ეკუთვნის - სერ **სტენლი მეტიუზს**, რომელმაც ნაკრებში ბოლო მატჩი 42 წლისამ ითამაშა, ინგლისის ჩემპიონატს კი 49 წლის ასაკში გამოეთხოვა! თუმცა ეს ყველაფერი სხვა ეპოქაში ხდებოდა - 1931-64 წლების პერიოდში, როცა მოთამაშის ფიზიკური მდგომარეობის კრიტერიუმი სულ სხვა იყო, ვიდრე ჩვენს ეპოქაშია.

დედაჩემი **ანა**, რომელიც ოდესლაც რალაც მაგიურს ელოდა ჩემი ფეხებისგან და მოლოდინმა გაუმართლა, ახლა მელანქოლიას შეუპყრია. თუმცა მეჩვენება, რომ მასზე უფრო მძიმედ მამაჩემი განიცდის ჩემი ფეხბურთიდან წასვლას. მშობლებმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეს და არ დაესწრნენ „სტადიონ კომუნალეზე" ჩემს გამოსათხოვარ მატჩს. მაგრამ პლატინის ცხოვრება ამ გამოსათხოვარი მატჩით არ დასრულებულა. 1987 წლის 17 მაისს, მხოლოდ ფეხბურთში მოვა ჩემი „სიკვდილის" დრო. მაგრამ ვინ იცის, ფეხბურთთან მიმართებაში მომავალში როგორ აეწყობა ყველაფერი.

პელემ დიდი ხანი ვერ გაძლო თამაშის გარეშე. 34 წლისა ნიუ-იორკის „კოსმოსში" ჩაირიცხა, ისევ ჩადგა ფეხბურთის სამსახურში და 1977 წლამდე ითამაშა. საბოლოოდ ის 37 წლის ასაკში გაჩერდა. ჩარლტონმაც განაახლა კარიერა და 1973 წლამდე თამაშობდა, სანამ 34 წლის არ გახდა. კოპა ფეხბურთიდან სამუდამოდ 36 წლის ასაკში, 1967 წელს წავიდა. კრუიფმა - 1985 წელს, 38 წლისამ გააკეთა ეს. ბეკენბაუერმაც და პუშკაშმაც ამავე ასაკში შესაბამისად, 1983 და 1965 წლებში დაანებეს თამაშს თავი. დი სტეფანომ 40 წლამდე გაძლო (1966)... ხომ ხედავთ, როგორ ხდება?! ვინ იცის, იქნებ ოდესლაც პლატინი ისევ გამოჩნდეს საფეხბურთო მოედანზე...

მანამდე კი ფეხბურთისგან უნდა დავისვენო. თუმცა დასვენება საკმაოდ ხმამაღალი ნათქვამია - ყველგან და ყველაფრის მოსწრებას ვერ ვახერხებ. პირველ რიგში დაკავებული ვარ სენტ-სიპრიენში ჩემი სპორტული კომპლექსით, რომლის კაპიტალდაბანდება 70 მილიონ ფრანკს აღწევს. ეს ხუმრობა საქმე არაა! კომპანია „ტომპსონი" სპონსორად გვევლინება და მე უნდა დავაზღვიო მისი ფასიანი ქაღალდები იტალიასა და საფრანგეთში. ეს ჩემი საწარმოა, რომელმაც ნარკომანებს უნდა გაუწიოს დახმარება, იმათ, ვისაც დარჩათ იმედი და ნებისყოფა იმისთვის, რომ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდნენ. ექიმი არ ვარ და სხვა გაუბედურებულთათვის, სამწუხაროდ, არაფრის გაკეთება არ შემიძლია...

შემდეგ ტელევიზია. ჟურნალისტიკის ვირუსი უკვე დიდი ხანია შემეყარა. 1987 წლის დასაწყისში გადაწყვეტილება მივიღე - დიდი სპორტული პროგრამის შექმნა გადავწყვიტე. გამოსათხოვარი მატჩის წინ კონტრაქტი გავაფორმე TF1-თან. ხელშეკრულებაში წერია, რომ მონაწილეობა უნდა მივიღო სპორტულ და სხვა გადაცემებში, უნდა გავაკეთო კომენტარები, მაგრამ ძირითადი საქმე მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანებთან ინტერვიუები იქნება. გარდა ამისა, მე გამომიყოფენ 19 წუთ უფასო სარეკლამო დროს. და კიდევ, ასობით წინადადებას ვიღებ ჩემს ფონდთან დაკავშირებით, რომელიც ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისკენ არის მიმართული.

ფეხბურთთან ოფიციალურად გამოთხოვებიდან მეორე დღეს, ფრანგულ პრესას, რომელთანაც ყოველთვის რთული ურთიერთობა მქონდა, ასეთი სათაურები გამოაქვს: „პლატინი: ათიანი უკანასკნელად" („ლიბერასიონი"), „ჩაო, მიშელ!" („პარიზიენი"), „პლატინი - ეს დასასრულია!" („კოტიდიენ დე პარი"), „პლატინი თამაშიდან გადის („მატენი"), „პლატინი ახალ ფურცელს შლის..." („ფიგარო"), „პლატინის ტელესაგოლე მომენტი" („ფრანს სუარი").

ტურინში, ისევე როგორც მთელს იტალიაში, პრესის ტონი რბილი და აღმატებულია. „ტუტოსპორტში" ვკითხულობ: *„პლატინი ტოვებს მოგონებას, როგორც შეუდარებელ, უნიკალურ მოთამაშეზე"*. „ჯორნალეში" კომპლიმენტები არნახულად გულუხვია: *„პლატინი ერთდროულად გუნდის მოთამაშე და სოლისტია, სნაიპერი, ლიდერი და პოეტი მინდორზე... ღირსების, სინათლისა და ღიმილის ცოცხალი რეკლამა..."* ან კიდევ: *„შესაძლებელი რომ იყოს ადამიანის ევოლუციის ფეხბურთთან შედარება, შეიძლება თამამად ვამტკიცოთ ის, რომ პლატინი „ჰომო საპიენსის" დასრულებული ვერსიაა"*. ეს მომეწონა!

ამ ქება-დიდების ზღვაში ვპოულობ ერთ სტატიას, რომელიც გაზეთ „რესპუბლიკაში" დაიბეჭდა და ის ყველაფერს თავის ადგილს უჩენს: *„პლატინის წასვლის შესახებ ოფიციალურ განცხადებამდე, „იუვენტუსის" პრეზიდენტ ბონიპერტის გარემოცვა ორ ცეცხლშუა მოექცა. დაკარგა რა ამ მოთამაშესთან კონტაქტის გაფორმების სურვილი, „იუვენტუსი" დილემის წინაშე აღმოჩნდა: ან ბონიპერტის პოლიტიკა, ან ის, რისკენაც პლატინი მოგვიწოდებდა... ნაგებული პლატინი საშინელი ცინიზმის პირობებში წავიდა: არანაირი სადღეგრძელოები და შამპანური გამოთხოვებისას..."*



ამ ფრაზის ავტორის სალი აზრი გაკვირვებას იწვევს. როგორც იქნა, მოინახა მიმომხილველი, რომელსაც შეუძლია ჩემი პოზიციის გაზიარება. ეს არის მოსამართლის პოზიცია იმ კამათში, რომელსაც მთელი სეზონი ეწეოდნენ ერთმანეთში **ბონიპერტი** - რეალისტური ფეხბურთის მიმდევარი და **ანიელი** - ლია და შემტევი თამაშის დამცველი. ტრაპატონის შემცვლელად მარკეზი მოვიდა: ახლა „ბეტონი" თავისუფლებამ, იმპროვიზაციამ, საფეხბურთო ხელოვნებამ უნდა შეცვალოს.

თამაშისგან მიღებული სიამოვნება შედეგზე მსხვერპლად არასოდეს მიმიტანია, თავისუფალ მოქმედებასა და მოედანზე აზროვნებას ვანიჭებდი უპირატესობას. 1982 წელს, როცა ტურინთან და არა ლონდონთან ვაფორმებდი კონტრაქტს, ვიცოდი, რომ შემტევ სტილსა და არტისტულ ფეხბურთს გადავეყრებოდი, ფეხბურთს, რომელიც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. ოთხი წლის შემდეგ დავამტკიცე ჩემი სურვილი, დავრჩენილიყავი თავისუფალი. ეს მაშინ მოხდა, როცა „სერვეტს" უარი ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ კოლოსალურ ფინანსურ პირობებს მთავაზობდა. და აი აქ, ალბათ, შევცდი. მაგრამ არ ვნანობ ამ შეცდომას.

ტურინი ობლად გრძნობს თავს, „ბებერი სინიორა" კი - ქვრივად. *„მეფე ტახტს ტოვებს, მეფეებს კი არასოდეს ასამართლებენ"* - ასეთი სიტყვების წაკითხვა შეიძლება „ტუტოსპორტში". ტიფოზებიც მიტოვებულად გრძნობენ თავს. მე ხომ „იუვეს" ყველაზე ძვირფასი ტიტულები მივართვი.

მაგრამ **ფრანჩესკო**, მე აქ ტყუილად არ ჩამოვსულვარ. საკუთარ მოგებებს ყოველთვის ჩვენს საერთო წარმატებად განვიხილავდი.

თვალცრემლიანი გაჭიმული ვიდექი, როცა ჩემი ქვეყნის ან კლუბის ჰიმნს ასრულებდნენ, ვხედავდი ათიათასობით მაყურებელს, ვგრძნობდი მათ სურვილს - დამტკბარიყვნენ ჩემი თამაშით. შემდეგ გაისმოდა აპლოდისმენტები, რომელსაც პირდაპირ ცაში ავყავდი. მატჩი იწყებოდა... ჩემი დიდი მატჩი დაწყებიდან 11 წლის შემდეგ დასრულდა, სამუდამოდ. სამუდამოდ დადუმდა მაყურებელთა ხმაური, რომელსაც გასახდელისკენ მიმავალი გვირაბის კედლები ახშობდა.

მეშინია ბაბუაჩემ ფრანჩესკოს „სპორტსმენთა კაფეში" დაბრუნება. იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ: ბიჭი, რომელიც ოდესლაც მე ვიყავი, ჯერ კიდევ იქ არის. ის დგას, ადგილიდან არ ინძრევა. არც კი შექანებულა იმ შორეული დროიდან მოყოლებული. და თვალცრემლიანი უყურებს თავის საფეხბურთო კერპებს.

მეშინია, ეს ბიჭი მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში არ ჩარჩეს იქ, ძველებურად არ იდგეს - ფეხბურთისკენ მიბრუნებული.

*(გაგრძელება იქნება)*

გია **თვალაბეიშვილი**

ჭიდაობა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი



# რუსებისგან სლოვაკმა გვიხსნა

რუსების ტრიუმფით დასრულდა სპორტის სასახლეში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გოგონათა ტურნირი. პირველი დღისგან განსხვავებით, რუსებს გუშინაც ცოტა დააკლდათ 100%-იან შედეგამდე - ოთხიდან სამი ოქრო მოიპოვეს. მეტიც - უმაღლეს მიღწევასთან გუშინ ბევრად ახლოს იყვნენ. ყველა წონაში ფინალში ჭიდაობდნენ, მაგრამ სპორტის სასახლე რუსული ჰიმნის წალეკვისგან სლოვაკმა **ლენკა მატეჟოვამ** იხსნა - 44 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალში **ანასტასია ტაბაევა** დამატებით დროში დაამარცხა. უმჩატესი წონის ფინალი რუსის უპირატესობით დაიწყო და პირველი პერიოდი 3:2 მოიგო. მეორე პერიოდში მატეჟოვამ მეტოქის ჩოქბჯენში გადაყვანა მოახერხა და 1:0 დაწინაურდა, რაც ბოლომდე წარმატებით შეინარჩუნა და ორთაბრძოლა დამატებით დროში გაგრძელდა. იქ პირველი ქულა ისევ რუსმა მიითვალა. ერთი შეხედვით, შეხვედრა მისი გამარჯვებისკენ მიდიოდა და ის-ის იყო, ვიფიქრეთ, მატეჟოვას მანამდე მაღალ დონეზე ჩატარებული შეხვედრები წყალში ეყრებაო, როცა ხელებით გადახლართულ მეტოქეს ლამის ლეიბიდან წამოუდგა და ორქულიანზე გადააგდო.

დანარჩენ წონებში რუსებმა ალალად მოიპოვეს ოქროები. ვიყოთ ობიექტურნი და ვაღიაროთ, რომ ნამდვილად ძლიერი მოჭიდავეები ჰყავთ და ჩემპიონობაც დაიმსახურეს. ფინალში სამივე მათგანი საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, თუ **ვალერია ჩეპსარაკოვას** (51) არ ჩავთვლით. მართალია, მან გადამწყვეტი შეხვედრა მოლდოველ **ანგელა დოროგანს** ძირითად დროში მოუგო, მაგრამ საამისოდ ბლომად ოფლი ღვარა. პირველი პერიოდი ფრედ დასრულდა - 1:1 და მხოლოდ ბოლო ქულის დამსახურებით მოიგო, მეორეში კი მინიმალური ანგარიშით იმარჯვა - 1:0. ძნელი გამარჯვების მიუხედავად, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ჩეპსარაკოვას მოგება არ ეკუთვნოდა და დოროგანი მსაჯებმა დაჩაგრეს. **ელენა კულიკოვამ** (59) და **ანასტასია ბრატჩიკოვამ** (67) ბევრად იოლად და დამაჯერებლად სძლიეს მეტოქეებს.

მთლიანობაში, რუსებმა თბილისური ევროპირველობა შესანიშნავი შედეგით დაასრულეს - ექვსი ოქრო რვიდან, რასაც თითო ვერცხლი და ბრინჯაოც ემატება. მათი რვავე მოჭიდავე სამეულში მოხვდა და რა გასაკვირია, გუნდური პირველობაც დიდი უპირატესობით რომ მოიგეს - რუსებმა 77 ქულა დააგროვეს, მეორეზე გასულმა უკრაინამ - 49, მესამეზე კი გერმანიაა 44 ქულით.

სხვა გუნდების გამოსვლიდან აზერბაიჯანელთა წარუმატებლობას გამოვყოფთ - ჩვენმა მეზობლებმა ერთი მედალიც ვერ მოიპოვეს. მეტიც - მათგან მედლისთვის მხოლოდ **ნიგარ ახმადოვამ** (51) იჭიდავა, მაგრამ დამამშვიდებლის ფინალი პოლონელ **დომინიკა ოსოცკასთან** დათმო.

სიამოვნებით შევნიშნავთ, რომ ტურნირის ორგანიზაცია გუშინაც გამართული და კარგი იყო. დაცვის სამსახურიდან დაწყებული და პრესცენტრით დამთავრებული, ყველა რგოლი გამართულად მუშაობს და მართლაც არანაირი პრობლემა არაა. სასიამოვნოა, რომ მუშაობაში ხელი არც ჟურნალისტებს გვეშლება და ყოველგვარი ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღება შეგვიძლია. ვიმედოვნებთ, უახლოესი ოთხი დღეც ასეთივე ორგანიზებული იქნება, რადგან ჩვენთვის ნამდვილი ევროპირველობა ახლა იწყება - დღეს ჩემპიონატში უკვე ბერძენ-რომაელები ჩაებმებიან, სადაც ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ფავორიტია და, სავარაუდოდ, სპორტის სასახლეში მაყურებელთა რაოდენობა ბევრად მოიმატებს. დღესვე, 17:30 წუთზეა ის რეკლამირებული გახსნის ცერემონიალი, რომელზედაც ორგანიზატორები ამბობენ, რომ არნახული სანახაობა იქნება. ღმერთმა ქნას - ჩვენც ის გვინდა, მართლაც ორიგინალური იყოს და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის დიდმოხელენი როგორც წესრიგით გავაკვირვეთ, ახლებური პროგრამითაც გავაოცოთ. გუშინდელი შეხვედრების დამთავრების შემდეგ სპორტის სასახლეში ამ ცერემონიაში მონაწილეთა დასკვნითი რეპეტიცია გაიმართა. იმედია, დღეს სასახლეში მაყურებელიც ბლომად მივა და ამ სანახაობით მართლაც ისიამოვნებენ.

ბერძენ-რომაელთა ტურნირში დღეს 55, 66, 84 და 120 კილოგრამი წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ. ჩვენებიდან ხალიჩაზე **ქემალ ხარაბაძე** (55), **პაატა ბაკურიძე** (66), **არსენ კახაბრიშვილი** (84) და **შოთა გოგისვანიძე** (120) გავლენ. ბერძენ-რომაელთა წილისყრაც გუშინვე გაიმართა, ოღონდ - დილომში, ძიუდოს აკადემიაში, და გაირკვა ჩვენებურთა მეტოქეები. ცოტა არ გაუმართლა ჭაბუკებში ევროპის შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ ხარაბაძეს - ცხრილის ქვედა ნაწილში მოხვდა ანუ ტურნირში პირველივე წრიდან ჩაებმება, მონაწილეთა უმეტესობა კი ამ ეტაპისგან თავისუფალია. მისი პირველი მეტოქე პოლონელი **რადოსლავ ბიერზანოვსკია**. ტურნირში პირველივე წრიდან ჩაებმება ბაკურიძეც სომხური წარმოშობის ფრანგ **არტურ ჰოვანესიანთან** შეხვედრით. ჩვენებურებიდან პირველ წრეში მხოლოდ ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი კახაბრიშვილი ისვენებს, რომელიც მეორეში ლიტველ **გინტარას პატერიაბასს** ეჭიდავება. დაბოლოს, მძიმეწონოსანი გოგისვანიძე, რომელიც პირველივე წრეში ურთიერთობას ლატვიელ **არტიომას კოსტიგოვსთან** გაარკვევს.

შეგახსენებთ, რომ დღეს შეხვედრები დილით 9 საათზე დაიწყება, ფინალები კი 18 საათიდან გაიმართება. დასწრება კვლავაც უფასოა.

**კვარცხლბეკი**

**44 კგ**

1. ლენკა მატეჟოვა (სლოვაკეთი)
2. ანასტასია ტაბაევა (რუსეთი)
3. ანჟელა კლეშჩევა (უკრაინა)
3. დესისლავა კანჩევა (ბულგარეთი)

**51 კგ**

1. ვალერია ჩეპსარაკოვა (რუსეთი)
2. ანგელა დოროგანი (მოლდოვა)
3. დომინიკა ოსოცკა (პოლონეთი)
3. აურელიე ბასეტი (საფრანგეთი)

**59 კგ**

1. ელენა კულიკოვა (რუსეთი)
2. ალენა კაროლი (ბელარუსი)
3. ალინე ფოცკენი (გერმანია)
3. ტაიბე იუსეინი (ბულგარეთი)

**67 კგ**

1. ანასტასია ბრატჩიკოვა (რუსეთი)
2. სანე ჰერნოდნი (შვედეთი)
3. რალიცა ივანოვა (ბულგარეთი)
3. ირინა ნეტრება (უკრაინა)

**ირაკლი თავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



რაგბი

# სკანდალი

რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში შავი ზღვის თასის გათამაშება ჩვიდმეტწლამდელ მორაგბეთა შორის სკანდალით დასრულდა. ფინალური მატჩის შემდეგ, რომელიც რუმინელთა გამარჯვებით დამთავრდა, მოედანზე ჩხუბი ატყდა. მდგომარეობა იმან უფრო დაამძიმა, რომ გუნდურ ჩხუბში მაყურებელიც ჩაერთო. გარდა იმისა, რომ ისინი მოედანზე გადმოვიდნენ და უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა მუშტი-კრივში, ტრიბუნებიდანაც ბოთლებისა და სხვა საგნების სროლაც არ ითაკილეს.

ერთი სიტყვით, წლეულს ერთა თასის თბილისურ მატჩზე მცირე წაკინკლავებას საქართველოსა და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებებს შორის, ზედიზედ ორი საკმაოდ სერიოზული ინცინდენტი მოჰყვა.

ოფიციალურ ინფორმაციას საქართველოს რაგბის კავშირი, მომხდარის შესახებ, სავარაუდოდ, ხვალ გაავრცელებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# ბაადური და 11 ქალბატონი



ბაადურ ჯობავა

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია (ფიდე) სამ თვეში ერთხელ აქვეყნებს რეიტინგს. 1-ელ ივლისს ფიდემ ახალი კლასიფიკაცია შემოგვთავაზა. ვაჟ მოჭადრაკეთა მოწინავე ასეულში მხოლოდ ერთი ქართველია - თბილისის „მერიის თასის" გამარჯვებული დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა**. 26 წლის ქართველი 2684 სარეიტინგო ქულით 44-ე ადგილზეა. მოწინავე ქალ მოჭადრაკეთა ასეულში 11 ქართველია: 7. **ნანა ძაგნიძე** (2536), 13. **მაია ჩიბურდანიძე** (2506), 25. **ლელა ჯავახიშვილი** (2470), 44. **სალომე მელია** (2441), 50. **სოფიკო ხუხაშვილი** (2430), 54. **მაია ლომინეიშვილი** (2427), 59. **ნინო ხურციძე** (2418), 61. **ანა მათნაძე** (2413), 68. **ბელა ხოტენაშვილი** (2402), 97. **თამარ წერეთელი** (2365), 98. **მაკა ფურცელაძე** (2362).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

ევროპის ახალგაზრდული თასი

# აზნაურიძის საყურადღებო შედეგი

გუშინ, იტალიურ სარძანში ევროპის ახალგაზრდული თასის გათამაშება დაიწყო მშვილდოსნობაში ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის. საქართველოდან მხოლოდ ვაჟთა გუნდები გამოდიან და უფრო წარმატებული სტარტი ჭაბუკებმა აიღეს. საკვალიფიკაციო ეტაპზე ბათუმელი **ალექსანდრე აზნაურიძე** 606 ქულით, დებიუტანტისთვის და, საერთოდ, ჩვენი ვაჟებისთვის ფრიად საპატიო მე-18 ადგილზეა. **ზურაბ ქურხაშვილი** 560 ქულით 35-ეა, **თორნიკე რიჟამაძემ** კი 526 ქულა დააგროვა და 40-ე ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენს სამეულს 1692 ქულა მოუგროვდა და პლეიოფში მერვე ადგილით შევიდა.

სამი ვაჟი მონაწილეობს ახალგაზრდულ ტურნირშიც და საკვალიფიკაციო ეტაპი სამივემ ცხრილის ბოლოსკენ დაასრულა - 44 მონაწილეს შორის **გოგიტა კაკაბაძე** 39-ეა (534), გუნდში ბოლო წუთებზე ჩართული **ზურაბ შურლაია** 527 ქულით 41-ეა, **ბექა შავერდაშვილის** შედეგი კი 498 ქულა და ბოლოს წინა ადგილია. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები 1559 ქულით მეთერთმეტე საფეხურზე აღმოჩნდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# პირველად, ტატიშვილი ჩახნაშვილის წინააღმდეგ

ამ კვირაში მსოფლიოს კორტებზე ერთი ქართველი ვაჟი ჩოგბურთელიც კი არ თამაშობს. სამაგიეროდ, დღეს საინტერესო დაპირისპირებას ველით ქალთა შორის - კარიერაში პირველად ერთმანეთის პირისპირ დადგებიან საქართველოს პირველი და მეორე ჩოგნები, **ანა ტატიშვილი** (190) და **მაკა ჩახნაშვილი** (229). ეს ანდალუსიის (ესპანეთი) ქალაქ პოცობლანკოს ტურნირის (50 ათასი $) მერვედფინალში მოხდება. პირველ წრეში მე-8 ნომრად განთესილმა ტატიშვილმა ძალზე იოლად მოუგო ავსტრალიელ **შენონ გოლდსს** (312) - 6:2, 6:1. მაკასაც ეყო ორი სეტი მეტოქის დასამარცხებლად, თუმცა არგენტინელმა **აგუსტინა ლეპორემ** (271) ქართველს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია - 6:4, 7:6 (8). ქართველთა დაპირისპირებას ერთმა გარემოებამ, შესაძლოა, დაღი დაასვას - პოცობლანკოს ტურნირი არც ანასთვის და არც მაკასთვის პრიორიტეტული არ არის, კვირის მეორე ნახევრიდან ტატიშვილი შვედეთში მიდის, სადაც „შვედეთის ღია პირველობაზე" (220 ათასი $) უნდა ითამაშოს, ხოლო ჩახნაშვილი ბუდაპეშტში გრან-პრიზე (220 ათასი $) გამოვა. ორივე WTA-ს ტურნირია და საკვალიფიკაციო ბადის მატჩები უკვე შაბათიდან იწყება. მოკლედ, არ არის გამორიცხული, ერთ-ერთმა ჩვენებურმა უბრძოლველად დაუთმოს კიდეც მეორეს მატჩი.

ანა ტატიშვილმა წყვილთა ბადის პირველი ეტაპიც წარმატებით გადალახა, მან და კანადელმა **შერონ ფიჩმენმა** (202) მასპინძელთა დუეტი (**კამპოს-მოლინა, გარსია-ვიდაგალი**) დაამარცხეს - 6:2, 6:3. ახლა მეოთხედფინალში ანა და შარონი პირველ ნომრად განთესილ ჩეხურ-უკრაინულ (**ანდრეა ჰლავაჩკოვა** (220) და **ოლგა სავჩუკი** (168) დუეტს ეთამაშებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი და მაკა ჩახნაშვილი

კალათბურთი

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

# ოვერტაიმი უკვე პროგრესია

**29 ივნისი**
ისრაელი. აშქელონი.

**ისრაელი-საქართველო 90:80**
26:15, 15:16, 15:16, 16:25, 18:8
საქართველო: თავართქილაძე, ჩიკვილაძე (29), ბაქრაძე (4), დვალიშვილი (8), თენიეშვილი (3), იოსელიანი (11), ბოქოლიშვილი (15), ლომოური (6), სულაბერიძე (1), ჯავახიშვილი (3)

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ისრაელში მეორე ამხანაგური მატჩი გამართა. პირველი შეხვედრის შემდეგ გუნდის მეორე მწვრთნელმა, **კახა შენგელიამ** დაგვაიმედა, რომ მომდევნო მატჩში გუნდი უკეთესად ითამაშებდა. მისი ნათქვამი გამართლდა – ქართველებმა შეხვედრა კარგად ჩაატარეს და გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ, თუმცა ოვერტაიმში 80:90 დამარცხდნენ.

შეხვედრა ისრაელის ნაკრების უპირატესობით დაიწყო და პირველ ტაიმში მასპინძლებმა 11-ქულიან ფორას მიაღწიეს – 26:15. მომდევნო ორი ათწუთეული თანაბარი ანგარიშით დასრულდა – ქართველებმა ორჯერვე 16:15 იმარჯვეს. **მიხეილ კობეშავიძის** გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეოთხე პერიოდში მასპინძლებს არ შეუშინდნენ და საფინალო სირენამდე 26 წამით ადრე **ბექა ჩიკვილაძის** ზუსტი ტყორცნის შემდეგ ანგარიში გაათანაბრეს – 72:72. ქართველებმა ესეც არ იკმარეს, მასპინძლებს ბურთი სწრაფადვე ჩაუქრეს და შესატევად საკმარისი დრო ჰქონდათ. ჩვენებმა ბურთი ბოლომდე გაათამაშეს, თუმცა გადამწყვეტი ტყორცნა გააცუდეს და მატჩი დამატებით დროში გადავიდა. ოვერტაიმში ქართველ ჭაბუკებს გამძლეობა აღარ ეყოთ და 8:18 დამარცხდნენ.

ჩვენი გუნდის სნაიპერი ბექა ჩიკვილაძე გახდა. მან წინა დღის შედეგი ათით გააუმჯობესა და 29 ქულა მიითვალა. ათქულიანი ბარიერი კიდევ ორმა კალათბურთელმა გადალახა: **მერაბ ბოქოლიშვილმა** 15 ქულა ჩააგდო, ხოლო **დავით იოსელიანმა** - 11.

**ვაჟა სიმონიშვილი**



საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე**, ისევე როგორც ეროვნული გუნდის წევრთა უმეტესობა, თავისუფალი აგენტია. მას ესტონურ "ტარტუ როკთან" კონტრაქტი 2008-09 წლების სეზონის დასრულებასთან ერთად ამოეწურა. "როკერთა" ხელმძღვანელობის თქმით, სანიკიძე და **ცინცაძე** "ტარტუში" აღარ დაბრუნდებიან, რადგან მათ გაცილებით ძლიერი ევროპული კლუბებიდან აქვთ შეთავაზებები.

სატრანსფერო ამბები

# სანიკიძე იტალიელთა თვალთახედვის არეში

## ფერარა, ბოლონია...

გუშინ, იტალიურ გაზეთ "ოლ-რაუნდში" გამოქვეყნდა ინფორმაცია ვიქტორ სანიკიძის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით. ავტორი ეხება კლუბ "კარიფე ფერარას" სამომავლო გეგმებს, მოგვითხრობს წამსვლელებზე... იქვე ვკითხულობთ: გუნდის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ფლანგის მოთამაშე ქართველი, ვიქტორ სანიკიძით, რომელიც 23 წლისა და 203 სმ. სიმაღლისაა. მას სროლის შესანიშნავი ალღო და ევროპულ კალათბურთში თამაშის გამოცდილებაც აქვს.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ "კარიფე ფერარა" იტალიის ჩემპიონატის რიგითი კლუბია. იგი სერია A-ში გასულ სეზონში გადავიდა, პლეი ოფისთვის იბრძოდა, თუმცა საბოლოოდ რვაეულში ვერ მოხვდა – მეათე ადგილი დაიკავა. მასში შარშან სამი ამერიკელი და ორი ნიგერიელი თამაშობდა.

ესტონეთის ჩემპიონატის შემდეგ იტალის პირველობა სანიკიძისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს...

ვიქტორის გვარი მილანის "არმანისთან" მიმართებაშიცაა ნახსენები, მაგრამ ამ შემთხვევაში იტალიურ პრესაში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი.

თავად კალათბურთელი ამჟამად თბილისშია და ინდივიდუალურად ემზადება. ვიქტორთან იტალიურ გამოცემებში გამოქვეყნებული ამბის სანდოობის გარკვევა ვცადეთ:

*- "ფერარას" ვარიანტის შესახებ ახლა პირველად მესმის. ნამდვილად არ ვიცოდი, ეს კლუბი ჩემით თუ იყო დაინტერესებული. თუმცა, არ დავმალავ, რომ ჩემი მენეჯერი იტალიურ კლუბებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს",* - განაცხადა სანიკიძემ.

საინტერესოა, რა გუნდებზეა ლაპარაკი. ერთ-ერთი ბოლონიის "ვირტუსია", რომელიც ევროთასის მფლობელი გახდა. სხვათა შორის, ბოლონიელებმა ამ ევროტურნირის პირველ ეტაპზე სანიკიძე-ცინცაძის "ტარტუ როკთან" ორჯერ ითამაშეს. იტალიელებთან ქართველებს თავი არ შეურცხვენიათ. მეორე ეტაპზე კი "ვირტუსი" **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევს" დაუპირისპირდა.

*„ერთი ვარიანტი ბოლონიის "ვირტუსია", რომელსაც ევროთასზე ვეთამაშეთ. თუმცა, ჯერ კონკრეტული საუბარი არ ყოფილა. ამიტომ, მეც მეტს ვერაფერს დავამატებ",* - გვითხრა ვიქტორ სანიკიძემ.

იგი იქვე დასძენს, რომ კარიერის იტალიაში გაგრძელების სურვილი აქვს და ხელშეკრულებას იმ კლუბთან გააფორმებს, რომელიც სხვებთან შედარებით ადრე შესთავაზებს კონტრაქტს:

*„მინდა საქმე მალე მოვითავო, რათა საკონტრაქტო საკითხები არ გაიწელოს და სანაკრებო მატჩებისას მხოლოდ ეროვნულ გუნდზე ვფიქრობდე".*

ივნისის დასაწყისში ვიქტორის ინტერვიუ შემოგთავაზეთ, რომელშიც კალათბურთელმა გვითხრა, რომ "სან ანტონიომ" ივლისის საზაფხულო კემპებზე მიიწვია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ჯერაც საქართველოშია...

*"სან ანტონიოს" კემპებზე თამაშისგან წლეულს თავის შეკავება ვარჩიე. ამერიკელები ესტონეთის ჩემპიონატისგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას აქცევენ იტალიურ პირველობას. ამიტომ, ჯობს ჯერ იტალიაში ვითამაშო და ამერიკაზე მერე ვიფიქრო",* - ესეც სანიკიძემ გვითხრა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები 20 აგვისტოს ავსტრიაში იკრიბება. იმედი დავიტოვოთ, რომ მანამდე ვიქტორი საკლუბო საქმეებს ბოლომდე მოაგვარებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ხუმრობა აქეთ იყოს...




ნიკა ცქიტიშვილი

ვაჟა სომონიშვილის კარიკატურა

# მართლა ამხელა წარბები მაქვს?

**ზაზა ფაჩულიას** მწვრთნელმა **ზურაბ სამხარაძემ** მითხრა: თუ იუმორის გრძნობა არ გაქვს, დიდი სპორტსმენი ვერ გახდები. იმდენად დიდია დატვირთვა, რომ თუ საქმეს ხალისითა და იუმორით არ მიუდექი, მძიმე ვარჯიშებს ვერ გაუძლებო.

იუმორი და სპორტი განუყოფელი რომ არის, ამის საილუსტრაციოდ ჩვენი ახალი რუბრიკაც გამოდგება. დღეიდან, პერიოდულად შემოგთავაზებთ ჩვენი სპორტსმენების კარიკატურებს და მათ თავს გადამხდარ სახალისო ამბებს. ასევე გაეცნობით საკუთარი კარიკატურის ხილვით გამოწვეულ რეაქციებს.

## ნიკოლოზ ცქიტიშვილი

ნიკა ცქიტიშვილის კარიკატურა 2005 წელს დავხატე და იმავე წლის ზაფხულში ცქიტოს ვერის ბაღში ვაჩუქე. მან ნახატი დიდხანს ათვალიერა, შემდეგ თავის მეგობარს მიუბრუნდა - აბა ერთი, შემომხედე, მართლა ასეთი გრძელი წარბები მაქვსო?

ნიკა ცქიტიშვილი 1999 წელს "კოლხადან" სლოვენიის "სლოვანში" გადავიდა. მას შემდეგ მან 11 გუნდი გამოიცვალა და იცით, რა არის საინტერესო? – "სლოვანის" მერე მხოლოდ ერთ გუნდში დარჩა ერთზე მეტი სეზონით - "დენვერში" სამი წელი ითამაშა. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია კარიკატურაზე მისი "დენვერ ნაგეთსის" ცისფერი ფორმით გამოსახვა. 22 ნომერი კი მისი იღბლიანი რიცხვია:

- პატარაობაში სიზმარი ვნახე, თითქოს NBA-ში 22-ე ნომრით ვთამაშობდი. მაშინ ამერიკაში მოხვედრაზე ნამდვილად ვერ ვიოცნებებდი...

როგორც ხედავთ, ნიკას ოცნება აუხდა, 2002 წელს დრაფტის მე-5 ნომრად იგი დენვერელებმა აირჩიეს.

სხვათა შორის, კარიკატურა რომ ვაჩუქე, სწორედ იმ დღეს ნიკამ ნიუ-იორკული თავგადასავალი მომიყვა:

- გოლდენ სტეიტელ თანაგუნდელებთან, ანდრეს ბიედრინსთან და ზარკო ჩაბარკაპასთან ერთად ღამის კლუბში მივდიოდი, მაგრამ ტაქსიმ დიდხანს გვალოდინა. ძალიან ციოდა და რამდენიმე უბნის ფეხით გავლაც წარმოუდგენელი იყო. მოულოდნელად ცხენშებმულმა ეტლმა ჩამოიარა. წინ გადავუდექი და მეგობრები ტრანსპორტში დავპატიჟე. ჩაბარკაპა და ბიედრინსი გვერდში მომისხდნენ. ღამის კლუბის წინ, ლიმუზინების გვერდით ეტლი რომ მივაყენეთ, ყველა გავაოცეთ. უნდა გენახათ შემსწრეთა გაოგნებული თვალები, ეტლიდან 2.10 მეტრს გადაცილებული კალათბურთელები რომ გადმოვედით...

**ვაჟა სიმონიშვილი**

მხატვრული ტანვარჯიში

ინტერვიუ ფიქრია ფანქველაშვილთან

# მზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის და გაქართველებული ბულგარელები

**ივნისში აზერბაიჯანის დედაქალაქმა ბაქომ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც სამწუხაროდ, ჩვენი ტანმოვარჯიშეები წარუმატებლად გამოვიდნენ. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ რჩება საიმისო შანსი, რომ 2009 წელი ამ სახეობაში შედეგიანი გამოგვივიდეს, რისთვისაც ბუნებრივია, მომავალ საერთაშორისო ტურნირებზე უკეთესი ასპარეზობაა საჭირო. ვესაუბრებით საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ფიქრია ფანქველაშვილს.**

**- რა გახდა ბაქოური წარუმატებლობის მიზეზი?**

- სამწუხაროდ, წილისყრაში არ გაგვიმართლა და ჩვენი მსაჯი ჟიურიში ვერ მოხვდა.. უამისოდ კი დიდ შედეგებზე ფიქრი წარმოუდგენელი იყო. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას მზევინარ სამუკაშვილი, ციცია მკერვალი და სოფიო ხოფერია იცავდნენ.

**- კიდევ რომელ ტურნირებზე აპირებთ გამოსვლას?**

- უნივერსიადას, ალბათ, გამოვტოვებთ, სამაგიეროდ, სამუკაშვილი მინსკში, მსოფლიოს თასის ეტაპზე იასპარეზებს. რაც მთავარია, სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვალთ, რომელსაც იაპონიის ქალაქი მიე უმასპინძლებს. საქართველოს ღირსებას იქ ოთხი ტანმოვარჯიშე დაიცავს. შიდა კონკურენცია გრძელდება და ამ ოთხი გოგონას ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა. სავარაუდოდ, წელს სხვა ტურნირებზეც გავემგზავრებით.

**- წლეულს ყველაზე წარმატებული რომელ შეჯიბრება იყო?**

- გამოვყოფდი ქეთი ხატიაშვილის მე-9 ადგილს ბულგარეთის გრან-პრიზე, ასევე პატარების გამარჯვებებს პოლონეთში, უკრაინაში, ბულგარეთსა და თურქეთში. საერთო ჯამში, წლეულს პატარებმა 30-ზე მეტ მედალს მოუყარეს თავი. მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ არაჩვეულებრივი თაობა მოდის.

**- დაფინანსება თუა საკმარისი?**

- მწვრთნელებსაც და სპორტსმენებსაც კარგი სამუშაო პირობები აქვთ, რისთვისაც სპორტის დეპარტამენტისა და ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობას მადლობას ვუხდი. შეკრებებიც შეუფერხებლად მიმდინარეობს და საერთაშორისო შეჯიბრებებზეც დაუბრკოლებლად დავდივართ.

**- დარბაზი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს?**

- ჭერი ნორმაზე დაბალია და მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის ბათუმში ვემზადებით ხოლმე. იქ დარბაზიც შესანიშნავია და საცხოვრებელი პირობებიც. ისე კი ის ფაქტი, რომ თბილისის ტანვარჯიშის დარბაზი ფედერაციას გადმოეცა, ჩვენს სახეობას მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება. აქვე გეტყვით, რომ სპორტის დეპარტამენტის დახმარებით შევიძინეთ ახალი ინვენტარი.

**- საერთაშორისო ასპარეზზე ჯგუფური ვარჯიშებით როდის წარვდგებით?**

- ამ საკითხზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. უკვე გადაწყვეტილია ორი ბულგარელი ტანმოვარჯიშის ჩამოყვანა, რომელთაც საქართველოს პასპორტებს გადავცემთ. მათ სამი ქართველი გოგონა დაემატება და შედგება საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომელიც ოლიმპიადის ლიცენზიისთვის იბრძოლებს.

**- ლონდონის ოლიმპიადისთვის რამდენ ინდივიდუალურ ლიცენზიას გეგმავთ?**



- ორ ლიცენზიას იდეალურად ჩავთვლით, თუმცა არც ის იქნება ურიგო, ლონდონის ოლიმპიადაზე ერთი ქართველი ტანმოვარჯიშე რომ გაემგზავროს.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ავტორის ფოტო

## მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს სახელოვან ძიუდოისტს, დამოუკიდებელი საქართველოდან პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს, ღირსების ორდენოსანს **ზურაბ ზვიადაურს**.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ძიუდოში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, მსოფლიოს და ევროპის არაერთგზის პრიზიორს, ღირსების ორდენის კავალერს **ზურაბ ზვიადაურს**.

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია და საქართველოს წყალბურთის ასოციაცია დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავენ ცნობილ ვეტერან წყალბურთელს, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდების ყოფილ წევრს, საკავშირო ჩემპიონატებისა და სპარტაკიადების პრიზიორს, საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებულს და პრიზიორს, ბრწყინვალე პიროვნებას **ჯიმი თორთლაძეს**.



# ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტული ქრონიკები

## ყველაფერი ევროპის ჩემპიონატების შესახებ

ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლები სპორტის ოლიმპიურ სახეობებში

| № | სპორტის სახეები | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძიუდო | 68 | 41 | 49 | 158 |
| 2 | თავისუფალი ჭიდაობა | 33 | 13 | 19 | 65 |
| 3 | ჩოგბურთი | 20 | 6 | 4 | 30 |
| 4 | ტყვიის სროლა | 24 | 8 | 7 | 39 |
| 5 | კალათბურთი | 18 | 2 | 3 | 23 |
| 6 | სასტენდო სროლა | 17 | 7 | 3 | 27 |
| 7 | ძალოსნობა | 16 | 9 | 6 | 31 |
| 8 | ბერძნულ-რომაული | 15 | 11 | 15 | 41 |
| 9 | მშვილდოსნობა | 14 | 3 | 4 | 21 |
| 10 | ბატუტზე ხტომა | 12 | 10 | 4 | 26 |
| 11 | მძლეოსნობა | 12 | 4 | 4 | 20 |
| 12 | ფრენბურთი | 6 | - | 1 | 7 |
| 13 | კრივი | 5 | 3 | 6 | 14 |
| 14 | ცურვა | 3 | 4 | 4 | 11 |
| 15 | ფეხბურთი | 3 | 3 | - | 6 |
| 16 | წყალბურთი | 3 | 5 | 4 | 12 |
| 17 | თანამ. ხუთჭიდი | 2 | - | - | 2 |
| 18 | წყალში ხტომა | 2 | - | 1 | 3 |
| 19 | მხ. ტანვარჯიში | 1 | 3 | 1 | 5 |
| 20 | სინქრონული ცურვა | 1 | 1 | - | 2 |
| 21 | სპ. ტანვარჯიში | - | - | 2 | 2 |
| 22 | მაგიდის ჩოგბურთი | - | 3 | 2 | 5 |
| 23 | ნიჩბოსნობა | - | - | 2 | 2 |
| | სულ | 275 | 136 | 141 | 552 |

ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლები სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში

| № | სპორტის სახეები | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მკლავჭიდი | 54 | 13 | 3 | 70 |
| 2 | სამბო | 18 | 13 | 39 | 70 |
| 3 | აკრობატიკა | 11 | 3 | 5 | 19 |
| 4 | კარატე | 3 | 5 | 2 | 10 |
| 5 | ჭადრაკი | 2 | 1 | 3 | 6 |
| 6 | სუმო | 1 | 7 | 23 | 31 |
| | სულ | 89 | 42 | 75 | 206 |

**საქართველოს პორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული აქვთ 1370 მედალი აქედან:**

**636 ოქრო 339 ვერცხლი 401 ბრინჯაო**

| № | შეჯიბრებების რანგი | ოქრო | | ვერცხლი | | ბრინჯაო | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მედლ. რაოდენ. | რამდენმა სპორტსმენმა მოიპოვა | მედლ. რაოდენ. | რამდენმა სპორტსმენმა მოიპოვა | მედლ. რაოდენ. | რამდენმა სპორტსმენმა მოიპოვა | მედლ. რაოდენობა | რამდენმა სპორტსმენმა მოიპოვა |
| 1 | ოლიმპიური თამაშები | 49 | 44 | 36 | 33 | 56 | 53 | 141 | 130 |
| 2 | მსოფლიო ჩემპიონატები | 221 | 124 | 124 | 90 | 126 | 91 | 471 | 305 |
| 3 | ევროპის ჩემპიონატები | 366 | 172 | 179 | 116 | 219 | 152 | 764 | 440 |
| | | 636 | 340 | 339 | 239 | 401 | 296 | 1376 | 875 |

## მედლები სპორტის ოლიმპიურ სახეებში

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ჭიდაობა, როგორც ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა ცნობილია უძველესი დროიდან. თვით დასახელება ბერძნულ-რომაული მიუთითებს იმაზე, რომ ჭიდაობა პოპულარული იყო ძველ საბერძნეთსა და რომში. პირველ ხანებში მას ბერძნულს უწოდებდნენ, შემდეგ ბერძნულ-რომაულს, მოგვიანებით-ფრანგულს, კლასიკურს, 1991 წლიდან კი ისევ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობად მოიხსენება.

ფიზიკური აღზრდის ძველ ბერძნულ სისტემაში ჭიდაობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა და, როგორც პენტატლონის (კლასიკური ხუთჭიდი) შემადგენელი დისციპლინა, ძველი წელთაღრიცხვის 708 წლიდან ანტიკური ოლიმპიადების პროგრამებში შედიოდა, ხოლო 648 წლიდან თამაშებში ჩართეს პანკრატიონი, რომელიც ჭიდაობისა და კრივის სინთეზი იყო. მოგვიანებით კი ჭიდაობა დამოუკიდებელ ოლიმპიურ სახეობად იქცა და იგი თითქმის 1000 წლის განმალობაში შედიოდა ძველბერძნული ოლიმპიადების პროგრამებში.

თანამედროვე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას საფუძველი XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა, როცა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დაიწყო მისი განვითარება. განსაკუთრებულ პოპულარობას მიაღწია ამ ჭიდაობამ საფრანგეთში, სადაც 1880 წელს შეიმუშავეს პირველი ოფიციალური წესები. ევროპის მრავალ ქვეყანაში ჭიდაობის ეს სახეობა მოიხსენიებოდა როგორც ფრანგული ჭიდაობა, ხოლო მოგვიანებით, როგორც კლასიკური.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა შეტანილი იქნა თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე 1896 წელს ათენში. მართალია მომდევნო ორ ოლიმპიადაზე 1900 და 1904 წლებში იგი ამოღებული იყო, მაგრამ 1908 წლიდან სისტემატურად არის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. პირველ ოლიმპიურ თამაშებზე (წონითი კატეგორიები არ იყო) ათენში სულ 5 მოჭიდავე ასპარეზობდა, რომელიც ოთხ ქვეყანას წარმოადგენდა. ბერძნებს ორი ათლეტი ჰყავდათ, ხოლო გერმანიას, დიდ ბრიტანეთსა და უნგრეთს თითო-თითო. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გახდა გერმანელი **კარლ შუმანი,** რომელმაც ამავე ოლიმპიადაზე კიდევ სამი ოქროს მედალი მოიგო... ტანვარჯიშში. მეორე და მესამე ადგილებზე ბერძენი მოჭიდავეები **გეორგიოს ციტასი** და **სტეფანოს ხრისტოპულოსი** გავიდნენ. 1908 წლიდან მოჭიდავეები მედლებს ოთხ წონით კატეგორიაში ეცილებოდნენ ერთმანეთს. (66,6 კგ-ზე, 93 კგ-მდე და 93 კგ-ს ზემოთ). 1972 წლამდე წონითი კატეგორიების რაოდენობა 4-დან 8-მდე მერყეობდა. შემდეგ შემოიღეს 10 წონა, სიდნეისა (2000) და ათენში (2004) კი მედლების 7-7 კომპლექტი გათამაშდა.

1912 წელს დაარსდა სამოყვარულო ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (FILA), რომელიც დღეისათვის მსოფლიოს 146 ქვეყანას აერთიანებს.

ჩვენს ქვეყანაში ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ფრანგული ჭიდაობის სახელით XIX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. სწორედ ამ ხანებში ჯერ თბილისში, შემდეგ ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში ე.წ. დროებითი ცირკები იხსნება, სადაც რეგულარულად იმართებოდა შეჯიბრებები ფრანგულ ჭიდაობაში, რომელშიც წარმატებით ასპარეზობდნენ სახელოვანი ქართველი ფალავნები: კულა **გლდანელი, ნესტორ ესებუა, კოსტა მაისურაძე, მიშიკო მაჩაბელი** და სხვები.

პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრება ქართველი მოჭიდავეებისათვის იყო 1947 წლის ევროპის ჩემპიონატი, სადაც საბჭოთა კავშირიდან პირველი ჩემპიონი კონსტანტინე კობერიძე გახდა. **გივი კარტოზიამ** პირველმა ქართველთაგან მსოფლიოს ჩემპიონატზე 1953 წელს ოქროს მედალი მოიპოვა და სათავე დაუდო იმ მომავალ წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია ამ სახელოვანმა ფალავანმა .

საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სტილით მოჭიდავეებს შორის ასევე პირველი გივი კარტოზია იყო, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ამ წარმატებას მან 1956 წელს ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში მიაღწია.

დამოუკიდებელი საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია 1991 წლის 22 მაისს დაფუძნდა, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ აღიარა 1992 წლის 2 აგვისტოს და მისივე რჩევით თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციები გაერთიანდა 1993 წლის 14 იანვარს.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიოს ჩემპიონი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში გახდა **მუხრან ვახტანგაძე.** ეს ტიტული მან 2001 წლელს მოიპოვა, როცა ფინალურ ორთაბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი **მეთ ლინდლუნდი** დაამარცხა.

დამოუკიდებელი საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია **კახა გენაძე.**

*დასაწყისი ლელო №52 (12731).*
*გაგრძელება იქნება*

**გურამ ძაგანია,** პროფესორი

1. ვის უწოდეს თავის დროზე „ფეხბურთის კარუზო"?
   - ა - ავთანდილ ღოღობერიძეს
   - ბ - ბორის პაიჭაძეს
   - გ - ავთანდილ ჭკუასელს
2. რომელ წელს შედგა პირველად მთამსვლელმა ქალმა (ალექსანდრა ჯაფარიძე) ფეხი უშბაზე?
   - ა - 1930 წელს
   - ბ - 1931 წელს
   - გ - 1934 წელს
3. დაასახელეთ კუნძულ ტექსელზე ქართული ბატალიონის აჯანყების მონაწილე ცნობილი ვეტერანი ფალავანი.
   - ა - შალვა ნოზაძე
   - ბ - შალვა ჩიხლაძე
   - გ - ვასილ ილურიძე
4. საქართველოში რომელი სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები ესალმებოდნენ ერთმანეთს სიტყვებით: „გუშაგობ ერს!" პასუხი - „მარად!"
   - ა - დინამოელები
   - ბ - შევარდნელები
   - გ - სპარტაკელები
5. ვინ იყო ნონა გაფრინდაშვილის და ნანა ალექსანდრიას პირველი მასწავლებელი ჭადრაკში?
   - ა - ვიქტორ გოგლიძე
   - ბ - ბუხუტი გურგენიძე
   - გ - ვახტანგ ქარსელაძე.

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ.

„ქართული ქრონიკების" წინა გამოშვებაში შემოთავაზებულმა ვიქტორინამ „ლელოს" ბევრი მკითხველი დააფიქრა. მივიღეთ რამდენიმე ათეული პასუხი, რომელთაგან ზუსტი მხოლოდ ორი ავტორი იყო - **კახა სარალიძე** რუსთავიდან და **მირიან ბასილია** — ქუთაისიდან.

წინა ვიქტორინის პასუხები ასეთია: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-ბ.

### იყო ასეთი შემთხვევა

ერთ-ერთი ფინალური ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინების შემდეგ ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და ევროპის ასევე ორგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ვახტანგ ბლაგიძემ** გადაიწერა პირჯვარი, შემდეგ დაიჩოქა ხალიჩაზე და ასე გამოხატა თავისი მადლობა უფლისადმი. საბჭოთა მთავრობამ ყველა ოლიმპიური ჩემპიონი ორდენებით დააჯილდოვა... გარდა ვახტანგ ბლაგიძისა.

**პირველი** და ერთადერთი ქალი, რომელსაც ალპინიზმში სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა, არის **ალექსანდრა ჯაფარიძე.**

**პირველმა** საქართველოს მოფარიკავეებიდან ოლიმპიურ სარბიელზე საბჭოთა ნაკრებ გუნდში იასპარეზა **აკაკი მეიფარიანმა** (დაშნა), 1952 წელს, ჰელსინკში.

**პირველად** ოლიმპიურ თემატიკაზე საფოსტო მარკა ჩვენს ქვეყანაში გამოვიდა 1994 წელს საქართველოს ოლიმპიური და სპორტული ფილატელიის ასოციაციის თაოსნობით.

### 2-8 ივლისი

**1 ივლისი. 1904 წ.** სენტ-ლუისში გაიხსნა ზაფხულის III ოლიმპიური თამაშები.

**2 ივლისი. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაცია.

**2 ივლისი.** დაიბადნენ: **შოთა მირიანაშვილი** (1933) — ალპინიზმი; **ვლადიმერ გრუზდევი** (1952) — აფროსნობა; **ზურაბ ზვიადაური** (1981) — ძიუდო; **გურამ ცხოვრებოვი** (1938) — ფეხბურთი.

**3 ივლისი.** დაიბადნენ: **გურამ აბაშიძე** (1933) — კალათბურთი; **დავით ბოდაველი** (1956) — ძიუდო.

**4 ივლისი. 1969 წ.** სუ-ალტოს (დოლომიტები, იტალია), მწვერვალზე დაიღუპა **მიხეილ ხერგიანი.**

**4 ივლისი. 1981 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ბოისა.** კალათბურთი.

**5 ივლისი.** დაიბადნენ: **ლერი ხაბელოვი** (1964) — თავისუფალი ჭიდაობა; **მუხრან გოგია** (1971) — ძალოსნობა; **თენგიზ თედორაძე** (1967) — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

**6 ივლისი. 1973 წ.** დაიბადა **გიორგი ქინქლაძე.** ფეხბურთი.

**8 ივლისი. 1975 წ.** დაიბადა **პავლე ჯიმშელიძე.** რაგბი.

**6 ივლისი. 1960 წ.** სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრებში შედგა **გივი ჩოხელის** დებიუტი.

### 2-8 ივლისი

**2-5 ივლისი.** ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. თბილისი. ქალები. ვაჟები.

**3-9 ივლისი.** წყალთხილამურები. მსოფლიო თასი. კანადა.

**4-8 ივლისი.** ნიჩბოსნობა. ბაიდარა და კანოე. საერთაშორისო რეგატა. უკრაინა, ჭაბუკები, ახალგაზრდები.

**5-12 ივლისი.** სტუდენტური ალპინიადა ხევსურეთში.

**5-8 ივლისი.** აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიო პირველობა. საფრანგეთი, ჭაბუკები.

**7-12 ივლისი.** ცურვა, ევროპის ჩემპიონატი. ჩეხეთი, ჭაბუკები, ახალგაზრდები.



„ქრონიკებში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს ინტერესით ეცნობა მკითხველი. გვიკავშირდებიან კიდეც და საოჯახო ფოტოალბომიდან გვთავაზობენ ისტორიულ ფოტოსურათებს საქართველოს სპორტული ცხოვრებიდან. რამდენიმე ასეთი ფოტო თბილისელმა ქალბატონმა **მარეხ ჩიკვაიძემ** მოგვიტანა რედაქციაში. ერთ მათგანს, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებშია გადაღებული, დღეს გთავაზობთ.

როგორც ხედავთ, სურათიდან ფალავნები იმზირებიან. ფოტოზე წარწერაა: მარჯვნიდან — **ბათუ თედეევი, შოთა ჩიკვაიძე, სიმონ მაისურაძე, ჯამაგაძე, დენტოშვილი, ელერდაშვილი, ჩაფურიშვილი, ბეგიაშვილი.**

შოთა ჩიკვაიძე ქალბატონ მარეხის მამაა (გარდაიცვალა 1992 წელს). იყო საქართველოს ჩემპიონი და თბილისის 1953 წლის ფალავანი. შემდეგ გამოცდილი არბიტრი, ქართული ჭიდაობის ფედერაციის წევრი, სპორტის ოსტატი სამბოში, 1953 წელს მოიგო „ნაუკას" საკავშირო პირველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2009

# ჯოკოვიჩის გარეშე



**კაცების** მეოთხედფინალური ეტაპის მიმოხილვა **როჯერ ფედერერის** მორიგი იოლი გამარჯვებით უნდა დავიწყოთ. მსოფლიოს მეორე ჩოგანი ამ უიმბლდონზე ეისების რაოდენობით ლიდერს, ხორვატ **ივო კარლოვიჩს** ხვდებოდა. ამ მატჩში მოკლე გათამაშებებსა და ტაი-ბრეიკებს ელოდნენ. პირველი ვარაუდი გამართლდა. საწყის სეტში, რომელიც სულ 23 წუთი გაგრძელდა, თითქმის ყოველი გათამაშება ერთ-ორ დარტყმაში სრულდებოდა. მეოთხე გეიმში როჯერმა მოახერხა ბრეიკის გაკეთება და 3:1 დაწინაურდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა პარტიის მოსაგებად. აღსანიშნავია, მთელი პირველი სეტის განმავლობაში კარლოვიჩმა სულ სამი ქულა მოიგო მიღებაზე, ფედერერმა - ხუთი.

იგივე ხდებოდა მეორე პარტიაშიც და როცა ყველას ეგონა, რომ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდოდა, მოულოდნელად მე-11 გეიმში შვეიცარიელმა ბრეიკის გაკეთება შეძლო, რის შემდეგაც იოლად მოიგო კიდევ ერთი გეიმი და 7:5 გაიმარჯვა. სხვათა შორის, ამ მატჩში ფედერერმა სულ ორი ბრეიკ-პოინტი მიიღო და შანსი ასი პროცენტით გამოიყენა, ხორვატს კი არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია.

მესამე პარტიაში მაყურებელმა, როგორც იქნა, ტაი-ბრეიკი იხილა, მაგრამ აქაც უინტერესო ბრძოლა წარიმართა. 2:2-ზე ფედერერმა ზედიზედ ოთხი ქულა მოიგო და ივომ ამ ჩამორჩენის გაბათილება ველარ მოახერხა.

წაგების მიუხედავად, კარლოვიჩისთვის ეს უიმბლდონი წარმატებულად უნდა ჩავთვალოთ, რადგან მან პირველად ითამაშა „დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში. რაც შეეხება ფედერერს, ეს ჩოგბურთელი აგრძელებს თავის უნიკალურ სერიას - როჯერი ზედიზედ 21-ედ (!) გავიდა „დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში.

ნახევარფინალში ფედერერის მეტოქე გერმანელი **ტომი ჰაასისა** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მატჩში ირკვეოდა. წელს ეს ჩოგბურთელები ბალახზე უკვე შეხვდნენ ერთმანეთს - უიმბლდონის წინ, ჰალეს ტურნირის ფინალში გერმანელმა სამ სეტში მოუგო მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს.

ბოლო პარტიას თუ არ ჩავთვლით, კორტზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. ჰაასმა პირველ სეტში 5:5-ზე პირველი ბრეიკი გააკეთა მატჩში და სეტებში დაწინაურდა. მეორე პარტიაშიც გერმანელი 6:5-ზე სეტზე აწვდიდა, მაგრამ ჯოკოვიჩმა საპასუხო ბრეიკის გაკეთება მოახერხა და ტაი-ბრეიკი დაინიშნა. იქ ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, სანამ გერმანელმა 6:6-ზე ზედიზედ ორი ქულა არ აიღო და სეტებში უპირატესობა ორამდე არ გაზარდა.

ჯოკოვიჩმა ამ მატჩში მხოლოდ ერთხელ აჩვენა თავისი ჩვეული თამაში. მესამე სეტში მან დამაჯერებლად შეინარჩუნა ყველა თავისი მოწოდება, ერთი ბრეიკიც აიღო და სეტში 6:4 გაიმარჯვა. მაგრამ სერბის წარმატებები აქ დამთავრდა. გერმანელმა მეოთხე პარტიაში სამგეიმიანი უპირატესობა მოიპოვა - 4:1 და ბუნებრივია, ასეთი შანსი ხელიდან აღარ გაუშვია.

ფედერერისა და ჰაასის დუელი საინტერესო უნდა გამოვიდეს. მართალია, როჯერი ურთიერთშეხვედრებში 9:2-ს უგებს ტომის, მაგრამ დაძაბული ბრძოლის გარანტიას იძლევა ამ ჩოგბურთელების ბოლო მატჩი წლევანდელ როლან გაროსზე, სადაც ფედერერმა პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ შეძლო შეხვედრის გადარჩენა.

ესპანელი ვეტერანის **ხუან-კარლოს ფერეროს** გმირობები **ენდი მიურეისთან** მატჩში დასრულდა. ამჯერადაც განმეორდა სამი კვირის წინანდელი ისტორია, როცა „ქუინზ ქლაბის" ტურნირზე ბრიტანელმა ორ სეტში იოლად მოუგო ფეროროს.

გუშინდელ მატჩში ბრძოლა პირველ სეტში და მეორე სეტის დასაწყისში იყო. 6:5-ზე ენდიმ პირველი ბრეიკი გააკეთა და 7:5 მოიგო. მეორე პარტიაში ფერერო 3:1 დაწინაურდა და ამის შემდეგ, მიურეიმ ზედიზედ ხუთი გეიმის აღება მოახერხა. დაახლოებით ანალოგიური სცენარი იყო მესამე სეტში, სადაც ბრიტანელმა უკვე 1:2-ზე მოიგო ისევ ხუთი გეიმი და სხვებზე იოლად მოიპოვა ნახევარფინალის საგზური.

მეოთხედფინალური ეტაპის მშვენება გახდა ამერიკელი **ენდი როდიკისა** და ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტის** დაპირისპირება. ეს იყო თანაბარი ძალის მეტოქეთა მატჩი, სადაც იღბალი ოდნავ უფრო მეტად ამერიკელი ჩოგბურთელის მხარეს იყო. როდიკს იმანაც უშველა, რომ გადამწყვეტ მომენტებში უმაღლეს დონეზე ასრულებდა მოწოდებებს. ცნობისთვის, ამ მატჩში ამერიკელის ანგარიშზე 43 (!) ეისი მოდის.

როდიკი მეოთხედ გავიდა უიმბლდონის ნახევარფინალში, აქედან ორჯერ (2004, 2005) მან ფინალში თამაშის უფლება მიიღო, მაგრამ ორჯერვე როჯერ ფედერერთან დამარცხდა. ამჯერად ფინალამდე მისასვლელად ამერიკელს სეხნია ენდი მიურეის წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს.

**კაცები**

**1/4 ფინალი**

**ტომი ჰაასი (გერ, 24)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4) 7:5, 7:6(6), 4:6, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 22) 6:3, 7:5, 7:6(3); **ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 7:5, 6:3, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 6:3, 6:7(10), 7:6(1), 4:6, 6:4.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

როდიკი (6)-მიურეი (3); ჰაასი (24)-ფედერერი (2).

დევისის თასი

# ესპანეთი ნადალის გარეშე

გუშინდელ ნომერში დევისის თასის მეოთხედფინალში აშშ-ის ნაკრების შემადგენლობა გაგაცანით. ამერიკელები ხორვატიაში სათამაშოდ უძლიერესი შემადგენლობით (**როდიკი, ბლეიკი,** ძმები **ბრაიანები**) ჩადიან. გუშინ, ხორვატებმაც დაასახელეს შემადგენლობა. წინასწარ იყო ცნობილი, რომ მეოთხედფინალში ტრავმის გამო ვერ ითამაშებდა **მარიო ანჩიჩი**, თუმცა მის გარეშეც ხორვატებს ძლიერი შემადგენლობა ეყოლებათ. გუნდში შევიდნენ წლევანდელი უიმბლდონის მეოთხედფინალისტი **ივო კარლოვიჩი**, ATP-ის რეიტინგის მე-13 ნომერი **მარინ ჩილიჩი**, აგრეთვე **როკო კარანუშიჩი** და **ლოვრო ზოვკო**. ხორვატთა კაპიტანი გახლავთ **გორან პრპიჩი**.

ხორვატიისა და ამერიკის მატჩი 10-12 ივლისს ქალაქ პორეჩის დარბაზში, თიხნარის კორტზე გაიმართება.

დევისის თასის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები მარბელიაში უმასპინძლებს გერმანიას. ამ მატჩის გამოტოვება მოუწევს მსოფლიოს პირველ ჩოგანს **რაფაელ ნადალს**, რომელიც როლან გაროსის მერვედფინალში დამარცხების შემდეგ, მუხლის ტრავმას მკურნალობს. რაფას გარეშე **ალბერტ კოსტას** გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურება: **ფერნანდო ვერდასკო, ტომი რობრედო, დავიდ ფერერი** და **ფელისიანო ლოპესი.**

გუშინვე ცნობილი გახდა რუსეთის ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 10-12 ივლისს სტუმრად ითამაშებს ისრაელის წინააღმდეგ. რუსების რიგებში არ იქნება ამ გუნდის პირველი ნომერი **ნიკოლაი დავიდენკო** და როგორც ვარაუდობდნენ, **შამილ ტარპიშჩევმა** ისრაელში გასამგზავრებელი შემადგენლობა შემდეგი ჩოგბურთელებით დააკომპლექტა: **მარატ საფინი, დმიტრი ტურსუნოვი, იგორ ანდრეევი** და **მიხაილ იუჟნი.**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **საკვალიფიკაციო** | |
| ტრე ფიორი-სტ. ჯულია | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ორჰუსი-ჰორსენსი | 0:0 |
| სილკებორგი-ესბერგი | 0:2 |
| მიდტიულანდი-ჰერფიოლგე | 2:3 |
| რეგენსბურგი-რიდი | 0:1 |
| ალტახი-ლარისა | 3:0 |
| ციურიხი-არაუ | 2:1 |
| ტვენტე-გენტი | 0:2 |
| იგლზი-ჰერენვეენი | 0:1 |
| სიონი-თუნი | 3:0 |
| სტ. გალენი-ვილი | 2:1 |
| ვუპერტალი-ტომი | 0:2 |
| იანგ ბოიზი-ივერდონი | 1:0 |
| ვარეგემი-ბრიუგე | 5:0 |
| დაინცე-ვესტერლო | 2:3 |
| **ნორვეგია** | |
| ლილესტრიომი-სტარტი | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| როვანიემი-იუვიასკიულა | 2:1 |
| ტამპერე-ინტერი | 3:2 |
| ვაასა-ჰიკ | 3:4 |
| **ისლანდია** | |
| ფილკირი-ვესტმანაიეარი | 3:0 |
| **იაპონია** | |
| კავასაკი-გამბა | 1:0 |
| ნაგოია-კაშიმა | 0:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **უიმბლდონი** | |
| **კაცები. 1/4 ფინალი** | |
| ჯოკოვიჩი-ჰაასი | 5:7, 6:7, 6:4, 3:6 |
| ფედერერი-კარლოვიჩი | 6:3, 7:5, 7:6 |
| მიურეი-ფერერო | 7:5, 6:3, 6:2 |
| როდიკი-ჰიუიტი | 6:3, 6:7, 7:6, 4:6, 6:4 |

TV პროგრამა

**2 ივლისი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:10** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**06:40** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ბორდო.
**08:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რომა-ჩელსი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
**18:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლივერპული-ატლეტიკო.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:25** ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
**22:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:30** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
**00:15** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსჟ.
**02:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სპორტინგი-შახტარი.
**04:00** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**04:45** ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-კრუზეირო (ბრაზილია) (LIVE).

**EUROSPORT**

**10:30** ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი.
**11:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IV ეტაპი.
**12:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი.
**13:15** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIX ეტაპი.
**14:00** ცურვა. ხმელთაშუაზღვის თამაშები. V დღე. პესკარა. იტალია.
**15:00** სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი.
**17:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IV ეტაპი.
**18:15** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი.
**19:15** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIX ეტაპი.
**20:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. გუნდების პრეზენტაცია (LIVE).
**20:45** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**22:15** ველოსპორტი. გუნდი Columbia High Road. ტელეჟურნალი.
**22:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:30** პროერესტლინგი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** პლაჟის რაგბი. საჩვენებელი ტურნირი. მარსელი. საფრანგეთი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ლატვია.
**14:30** ახალი ამბები.
**15:00** სერფინგი. ბრაზილია.
**15:15** ახალი ამბები.
**16:00** რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. ახალი ზელანდია (იუნიორები)-ტონგა.
**17:00** უნივერსიადა 2009. ფრენბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. სამხრეთ აფრიკა-სამხრეთ კორეა. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
**19:00** ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
**20:00** უნივერსიადა 2009. ფრენბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-რუსეთი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
**21:45** ახალი ამბები.
**22:00** უნივერსიადა 2009. ფრენბურთი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-ლიბანი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
**00:00** სერფინგი. ბრაზილია.
**00:15** AIR RACE - ავიარბოლები. მსოფლიოს სერია. ვინძორი. კანადა.
**01:15** ახალი ამბები.

კალათბურთი

# ბუზერი ჯაზში რჩება

## დეტროიტ პისტონზმა მწვრთნელი გაუშვა



"იუტა ჯაზმა" სასტარტო ხუთეულის ორი წევრი შეინარჩუნა. "ჯაზმენების" წამყვანმა ფორვარდმა **კარლოს ბუზერმა** და თურქმა ცენტრმა **მეჰმეთ ოქურმა** გუნდში კიდევ ერთი წელი თამაში გადაწყვიტეს. ბუზერსა და ოქურს შეეძლოთ, 1 ივლისს თავისუფალი აგენტები გამხდარიყვნენ და ახალი კლუბი მოენახათ, მაგრამ ორივემ "იუტაში" კარიერის გაგრძელება ამჯობინა.

ბუზერმა ტრავმის გამო შარშანდელ რეგულარულში მხოლოდ 37 მატჩი ჩაატარა. "კარლოსის გადაწყვეტილებამ ძალიან გაგვახარა. იმედი გვაქვს, ის უმაღლეს დონეზე თამაშს გააგრძელებს და ტრავმებს თავიდან აიცილებს", - განაცხადა "ჯაზის" გენერალურმა მენეჯერმა **კევინ ო'კონორმა**, რომელმაც დაამატა, რომ "იუტას" ბოლოდროინდელი წარმატებები ოქურის სახელსაც უკავშირდება და კლუბის პრიორიტეტი თურქი მცველის შენარჩუნება იყო.

■ ■ ■

გუშინ, "დეტროიტ პისტონზის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **მაიკლ კარი**. ამ სპეციალისტმა დეტროიტელთა დამრიგებლად სულ ერთი სეზონი იმუშავა. "პისტონზმა" გასულ რეგულარულში 82-დან 39 მატჩი მოიგო და უარყოფითი ბალანსით დაასრულა ჩემპიონატი, რაც 2000-01 წლების სეზონის შემდეგ არ მომხდარა. "დეტროიტი" მერვე ადგილიდან გავიდა პლეი ოფში და პირველ წრეში "კლივლენდ კავალიერზთან" 0:4 დამარცხდა.

კარის შემცვლელად ექსპერტები **დაგ კოლინზის** კანდიდატურას ასახელებენ.

# სმიტი ციხეში წავა

"დენვერ ნაგეტსის" მცველი **ჯეი არ სმიტი** დამნაშავედ ალიარეს საავტომობილო ავარიაში, რომლის დროსაც კალათბურთელის 21 წლის მეგობარი **ანდრე ბელი** დაიღუპა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, სმიტი სამთვიანი პატიმრობით დაისაჯა, თუმცა კალათბურთელი ციხეში მხოლოდ 30 დღეს გაატარებს და ამას გარდა, 500 საათი საზოგადოებრივ სამუშაოებს შეასრულებს. კერძოდ, სმიტი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში ავადმყოფ ბავშვებს მოინახულებს. აგრეთვე "დენვერის" სათადარიგოს ორი წლით აეკრძალა ავტომობილის მართვა.

"ეს დიდი ტრაგედია იყო, - თქვა სმიტმა სასამართლოზე, - ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო. ასეთ რამეს შეგნებულად არასოდეს გავაკეთებდი".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხისელომანია



როგორც აღმოჩნდა, იმისთვის, რომ ჟურნალისტებმა საქვეყნოდ გამოგაცხადონ სექს-სიმბოლოდ, აუცილებელი სულაც არ არის განსაკუთრებული გარეგნობა გქონდეს. ამისთვის საკმარისია დაამარცხო... მეორე სექსსიმბოლო. საქმე ეხება 24 წლის არგენტინელ **ხისელა დულკოს**, რომელმაც მიმდინარე უიმბლდონზე რუს **მარია შარაპოვას** სძლია და უცებ გახდა ამ სეზონის ყველაზე სასურველი ქალი სპორტსმენი.

როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, ხისელა ყოველთვის ითვლებოდა კარგი ფიგურის მქონე მომხიბვლელ გოგონად, რომელსაც პერიოდულად იწვევდნენ მოდურ და მამაკაცთა ჟურნალებში გადასაღებად. მაგრამ შარაპოვას დამარცხების შემდეგ, ჟურნალისტებმა არგენტინელზე ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, დულკომ ათობით წინადადება მიიღო ფოტოსესიებსა სარეკლამო გადაღებებში მონაწილეობაზე. აღარაფერს ვამბობთ ახლადშეძენილი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებისგან მიღებულ წერილებზე.

სხვათა შორის, ლონდონში ჩოგბურთისა და ლამაზი ჩოგბურთელების მოყვარულებმა მაღაზიის დახლებიდან გააქრეს ხისელას გამოსახულებიანი პოსტერები. და როგორც ჟურნალისტები ირწმუნებიან, ეს "ხისელომანიის" მხოლოდ დასაწყისია.

თავად დულკოს არანაირი რეაქცია არ ჰქონია მისი პერსონის მიმართ ამტყდარ აჟიოტაჟზე. ამასთან, ბევრს იმედი აქვს, რომ გოგონა იპოვის თავის მეორე ნახევარს და პირად ცხოვრებას დაალაგებს. შეგახსენებთ, რომ ამ წლის დასაწყისში ხისელა დაცილდა ჩილელ **ფერნანდო გონსალესს**, რომელთანაც ხანგრძლივი რომანი ჰქონდა.





# ანამ ბარში იჩხუბა



ყოფილი რუსი ჩოგბურთელი **ანა კურნიკოვა** დიდ სკანდალში გაეხვია. რუს ვარსკვლავს ამერიკის ქალაქ ლას ვეგასის ერთ-ერთ ღამის კლუბში მეტად უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა. გასულ კვირას, კურნიკოვამ კლუბის ერთ-ერთ სტუმარ ქალბატონთან იჩხუბა, თუმცა ამ ამბავმა ამერიკულ პრესაში მხოლოდ ახლა გაჟონა.

როგორც ცნობილი გახდა, უცნობმა ქალმა ერთ-ერთი უახლოესი მაგიდიდან თავისი კუთვნილი კოქტეილი შეასხა ჩოგბურთელს, მხოლოდ იმის გამო, რომ კურნიკოვამ მაგიდასთან მისი ადგილი დაიკავა.

*"უცნობმა ქალბატონმა მოულოდნელად ანას კოქტეილიანი ჭიქა ესროლა, - გამოუტყდა "ნიუ იორკ პოსტს" სანდო წყარო. - ქალმა აღიარა, რომ კურნიკოვამ მისი ადგილი დაიკავა! და აი, ამის შემდეგ ნამდვილი ხელჩართული ჩხუბი დაიწყო!"*

საპასუხოდ, რუსმა ვარსკვლავმა "მეტოქეს" ყვირილი დაუწყო და ბოლოს ხელებიც ჩართო საქმეში. თვითმხილველთა თქმით, ჩხუბის შემდეგ, კურნიკოვას კისერზე საშინელი ნაკაწრები დარჩა. რაც შეეხება მისი მოწინააღმდეგის დაზიანებებს, ამის შესახებ პრესა არაფერს იტყობინება.

# ინგლისელთა ათეული

ინგლისურმა ტაბლოიდმა "სანმა" ათი ყველაზე ვარსკვლავური სტატუსის მქონე ჩოგბურთელის სია შეადგინა. გაზეთის აზრით, სწორედ ამ მოთამაშეების მიმართ იგრძნობოდა განსაკუთრებული ინტერესი წლევანდელი უიმბლდონის დროს.

ინგლისელი ჟურნალისტების ათეულს ხსნის ბრიტანელი **ენ კეოტავონგი** (როგორც ჩანს, პატრიოტიზმის გრძნობის გამო). მეცხრე-მეხუთე ადგილზე განლაგდნენ - ფრანგი **მარიონ ბარტოლი**, სერბი **ელენა იანკოვიჩი**, ამერიკელი **სერენა უილიამსი** და ჩეხი **ნიკოლ ვაიდიშოვა**.

საუკეთესო ხუთეული მთლიანად აღმოსავლეთმა ევროპამ დააკომპლექტა: მეხუთე ადგილზეა სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა**, მეოთხე - **მარია კირილენკო**, მესამე კიდევ ერთი სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვა** გახდა.

პირველ-მეორე ადგილები, როგორც ყოველთვის, **ანა ივანოვიჩსა** და **მარია შარაპოვას** შორის გათამაშდა. ამჯერად პირველობა რუსს ჩოგბურთელს ხვდა წილად, სერბი კი მეორე იყო.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# გაქურდული რადვანსკა

უილბლო გამოდგა სამშაბათი დღე პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკასთვის**. მან პირწმინდად წააგო მეოთხედფინალი **ვენუს უილიამსთან** (1:6, 2:6) და ამ მატჩის მსვლელობისას, პოლონელი ჩოგბურთელი გაქურდეს.

საბედნიეროდ, მძარცველებს ძვირფასი არაფერი წაუღიათ. პოლონელის გასახდელიდან დაიკარგა გატეხილი ჩოგანი, წინდები, ტანსაცმელზე დასაკრავი სპონსორთა ლოგოები და კიდევ ერთ-ორი წვრილმანი ნივთი.

*"ვერც კი წარმომიდგენია, ვის დასჭირდა ეს ყველაფერი, - განაცხადა აგნიეშკამ. - თითქოს, გასახდელს გასაღებით კეტავენ, მაგრამ ამან არ უშველა. "დიდი სლემის" ტურნირებზე ასეთი რამ მეორედ მემართება. ადრე, აშშ-ის ღია პირველობის დროს აიპოდი მომპარეს".*



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge